დეპუტატები სამორიგეოდ ემზადებიან A2

ფოსტა A8

გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 21 აგვისტო, 2004 წელი. №198 (747)

ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### ფოთის ხიდზე შეუზღუდავი მოძრაობა აღდგენილია



სამი-ოთხი წლის განმავლობაში ამ ხიდზე მოძრაობა შეზღუდული იყო. თუმცა, სულ რაღაც რამდენიმე დღის წინ საგზაო დეპარტამენტმა ხიდი სრული დატვირთვით აამუშავა.

A4

## უცხოეთი

### ვიეტნამის ომის ვეტერანები კერის რეპუტაციის შელახვას ცდილობენ



გარკვეული ხნის მანძილზე უბრალო დამკვირვებლის როლში მყოფმა ჯონ კერიმ, რომელსაც ვიეტნამის ვეტერანები უკვე რამდენიმე კვირაა, სიცრუეში ადანაშაულებენ, საპასუხო განცხადება გააკეთა.

A5

## საზოგადოება

### გადაიხადეთ ფული და ნაგვის სუნით "დატკბობა" აღარ მოგიწევთ

რა ხდება ქუჩების მიღმა, საცხოვრებელ სახლებსა თუ ეზოებში? ამისთვის, ჯერჯერობით, ვერც საკრებულომ მოიცალა და ვერც მერიამ.

A6

## სამართალი

### ორთაჭალის ციხის ყოფილი უფროსი საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს



სოფელ ბაკურციხეში, საკუთარი სახლიდან მანქანით გამოსულ, ორთაჭალის ციხის ყოფილ უფროსს ჯემალ ბაწაშვილს უეცრად თავს ორი ავტომატიანი შეიარაღებული პირი დაესხა და მანქანაში ჩაცხრილა.

A7

## ამინდი

| | 21/8 | 22/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 36 | 35 |
| ქუთაისი | 37 | 37 |
| ბათუმი | 33 | 32 |
| სოხუმი | 31 | 31 |
| ფოთი | 34 | 33 |
| თელავი | 36 | 35 |
| ზუგდიდი | 35 | 36 |
| გორი | 32 | 32 |
| ახმეტა | 34 | 34 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8150 |
| ევრო | 2.2444 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3245 |
| რუბლი | 0.0621 |

# ორმაგი სტანდარტების, ცინიზმისა და "დურაკულ გადაწყვეტილებათა" შესახებ

რამდენიმე კითხვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ვლადიმირ პუტინს



*მიუხედავად ქართული მხარის კომპრომისული წინადადებისა, გუშინდელ გამოსვლაში რუსეთის პრეზიდენტი კვლავ ძალის დემონსტრირებას ცდილობდა.*

**ბატონო პრეზიდენტო,**

გადაწყვეტილება, მოგმართოთ ღია წერილით, განპირობებულია თქვენი ინტერვიუთი, რომელიც გავრცელდა მასობრივი ინფორმაციის ყველა სახის საშუალებით ა.წ. 18 აგვისტოს. ხსენებულ ინტერვიუში თქვენ აცხადებთ, რომ კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გამოწვეული იყო 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზეთსა და ოსეთში ავტონომიების გაუქმების შესახებ მიღებული "დურაკული გადაწყვეტილებებით".

ბატონო პრეზიდენტო, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მრჩეველთა უნიათობის, ან განზრახ შეცდომაში შეყვანის გამო რუსეთის ლიდერები სრულიად გაუმართლებელ განცხადებებს აკეთებენ.

1989 წლიდან მოყოლებული, მე პირადად ვმონაწილეობდი საქართველოს ხელისუფლების მცდელობაში, დაეშოშმინებინა მოსკოვის მხარდაჭერით აღვირახსნილი სეპარატისტული მოძრაობები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

ფაქტები მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ სსრ კავშირის დაშლამდე სეპარატისტები აცხადებდნენ პრეტენზიას საქართველოსგან დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს შექმნაზე, რისთვისაც ღებულობდნენ ე.წ. კანონებს და დეკლარაციებს, თუმცა, ამავდროულად, გამოთქვამდნენ სსრ კავშირის (შემდგომ რუსეთის ფედერაციის) შემადგენლობაში შესვლის სურვილს.

მაგრამ მივმართოთ ე.წ. "დურაკულ გადაწყვეტილებებს":

გაგრძელება A3 გვერდზე

# ომი დამთავრდა, მშვიდობა მყიფეა

ნინო ბომართელი

ხუთშაბათს დილით, ქართულმა საჯარისო ნაწილებმა შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის ხელმძღვანელობით, ცხინვალის გარშემო სტრატეგიული სიმაღლეები დაიკავეს და უკანონო ფორმირებები განდევნეს, საღამოს კი, პრეზიდენტის განკარგულებით, აღნიშნული სიმაღლეები შერეულ სამშვიდობო ძალებს გადაეცა.

ქართველმა სამშვიდობოებმა ერედვი-ხეითის შემოვლითი გზის საწყისი მონაკვეთი დაიკავეს; ქართულ-რუსული შერეული საგუშაგო განთავსდა უშუალოდ გზის სიღრმეში, სოფელ ხეითში კი ჩრდილოოსური სამშვიდობო ბატალიონის ათეული განლაგდა. თითოეულ საგუშაგოზე 10-მდე ჯარისკაცი და ორი, ეგრეთ წოდებული, "ბმპ" იმყოფება. ყველა ამ საგუშაგოზე არსებულ ვითარებას ეუთო-ს სამხედრო დამკვირვებლები გააკონტროლებენ.

საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ამ ინიციატივას უწონებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი.

**"ჯარების გამოყვანის შესახებ თბილისის გადაწყვეტილება კარგი ნიშანია. მხარეებს მოვუწოდებთ, ამით ისარგებლონ დაძაბულობის შემცირებისა და პოლიტიკური პროცესის შემდგომი განვითარებისათვის,"** - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის მოადგილემ ადამ ერელიმ თეთრ სახლში გამართულ ბრიფინგზე.

მისი თქმით, შეერთებული შტატები შეშფოთებულია ცხინვალის რეგიონში მიმდინარე დაპირისპირებების გამო და აქტიურად მუშაობს საქართველოს და რუსეთის მთავრობებთან და ეუთოსთან, კონფლიქტის პოლიტიკური გზით დარეგულირების მიზნით.

**"აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი თბილისში კონსულტაციებს მართავს საქართველოს მთავრობის წევრებთან და ეუთო-ს წარმომადგენლებთან,"** - აღნიშნა მან.

გასაკვირია, მაგრამ მოსკოვშიც კმაყოფილებით მიიღეს მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილება კონფლიქტის ზონიდან იმ სამხედრო ქვედანაყოფების გაყვანის შესახებ, რომლებიც სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში არ შედიან.

გაგრძელება A2 გვერდზე

## "ხანდახან უფრო გონებამახვილი უნდა იყო, ვიდრე მართალი"

სოფო ბუკია

*საცეცხლე სიმაღლეების დაკავებისა და პირველივე მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ, ქართულმა საჯარისო ნაწილებმა კონფლიქტის ზონა დატოვეს. ღამის ბრძოლებისგან დაღლილ, შეშინებულ მოსახლეობას საქართველოს პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებამ თავზარი დასცა - "ჩვენი ბიჭები მიდიან," - შიშით იმეორებდნენ თამარაშენსა და სხვა ქართულ სოფლებში. მოსახლეობა წინ ეღობებოდა ჯარისკაცებს და სოფლებიდან არ უშვებდა. ქართული სოფლების დასაცავად ცხინვალის რეგიონში მხოლოდ ხუთასკაციანი სამშვიდობო ბატალიონი დარჩა. პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას არაერთგვაროვნად შეხვდა როგორც მოსახლეობა, ასევე პოლიტიკოსებიც. ბევრი მთავრობის ამ ნაბიჯს "აბსოლუტურად სწორს" უწოდებს, ზოგი ცხინვალის მოვლენებს პიარ-კამპანიას მიაწერს, ზოგი "სახელმწიფო ღალატად" ნათლავს, ზოგმა კი საერთოდ არაფერი იცის... ამ გადაწყვეტილების ავ-კარგიანობაზე ადამიანებზე უკეთ, ალბათ, დრო ისაუბრებს, მანამდე კი მხოლოდ ერთი რამ არის ცხადი - ბოლო ერთი კვირის განმავლობაში 20 აგვისტოს ღამე პირველი იყო, როდესაც სამაჩაბლოს ქართულ სოფლებში, მშვიდად თუ არა, ნახევრად მშვიდად მაინც ეძინათ - იმ ღამეს სამაჩაბლოში სროლები არ ყოფილა; ბოლო ერთი კვირის განმავლობაში 20 აგვისტოს ღამე პირველი იყო, როდესაც სამაჩაბლო განთიადს ქართველი ჯარისკაცების ცხედრების გარეშე შეხვდა...*

გაგრძელება A3 გვერდზე

## მოსკოველ პიარტექნოლოგებს არსენალი მოუძველდათ

რუსეთის ერთ-ერთმა სოციოლოგიურმა სამსახურმა გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც რუსეთში საქართველოს პრეზიდენტის პოპულარობის რეიტინგის ვარდნა დააფიქსირდა. მოსკოვის პოლიტიკურ და ჟურნალისტურ წრეებში კი კარგად იციან, რომ ამ კონკრეტული საიმიჯო გამოკითხვის უკან ერთ-ერთი ჩვეულებრივი რუსული ფინანსური ჯგუფის ინტერესები დგას.

კრემლის მთავარი მრჩევლები, მსგავსი "სოციოლოგიური გამოკითხვებით", საკუთარი პოლიტიკური ბოსების დაკვეთებს ასრულებენ. მსგავსი პოლიტტექნოლოგია კარგად არის ათვისებული, განსაკუთრებით საპრეზიდენტო არჩევნების წინ. ახლა იგივე ფინანსური ჯგუფი ჩეჩნეთის პრეზიდენტის არჩევნებში კრემლის რჩეულის ალუ ალხანოვის რეიტინგის აწევითაა გართული.

აი, რა აზრისაა ამ რეიტინგზე მოსკოვის კარნეგის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი ნატალია სმირნოვა: **"ჩვენი სოციოლოგიური სამსახურები არა მარტო სააკაშვილის, არამედ პუტინის რეიტინგის ვარდნასაც აფიქსირებენ. სინამდვილეში კი ორივე პრეზიდენტს ბოლომდე მიჰყავთ რეფორმები, დამოუკიდებლები არიან თავიანთ განცხადებებსა და გადაწყვეტილებებში. ის ფაქტი, რომ რუსეთის ტელევიზია არ აჩვენებს მთელ სიმართლეს ცხინვალზე, სულაც არ არის რუსეთის პრეზიდენტის მითითების შედეგი. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მოსკოვი თბილისთან ინფორმაციულ ომს აგებს. ომი არ შეიძლება იყოს პრიმიტიული სოციოლოგიური მოვლენა."**

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ფოსტა

B2 - B3 რეკლამა | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## მოსკოველ პიარტექნოლოგებს არსენალი მოუძველდათ

პირველი გვერდიდან

მოსკოველი დამოუკიდებელი ექსპერტები აფიქსირებენ ერთ საგულისხმო მომენტსაც - რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებულ ინფორმაციულ ომს თავად კრემლთან დაახლოებული პიარტექნოლოგები აგებენ. მაგალითად, პენსიონერებისათვის შეღავათების გაუქმებამ, რუსეთში ენერგომატარებლებზე ფასების გაზრდამ და, შესაბამისად, ცხოვრების გაძვირებამ, აფეთქებულმა კავკასიამ პუტინის იმიჯი საგრძნობლად ძირს დასწია. კრემლის უხილავი მრჩევლები კი იმპერიული აზროვნების ერთგულებით ახალი მექანიზმების გამოგონებისათვის, როგორც ჩანს, მზად არ არიან. ასეთ პირობებში, მაგალითად, იგივე საქართველოს თემაზე შეთხზული ანალიტიკა ხსენებული პოლიტტექნოლოგების რეაქციული სულისკვეთების მაჩვენებელი ხდება. ამის კარგი მაგალითია ე.წ. კრემლის ჯგუფის კარაგანოვ-ნიკონოვ-მარკოვის ბოლოდროინდელი შეურაცხმყოფელი გამონათქვამები მიხეილ სააკაშვილის მისამართით.

*რუსუდან ნიკურაძე*
*საკ.კორ.მოსკოვში*

## დეპუტატები სამორიგეოდ ემზადებიან

გუშინ პარლამენტის ბიუროს ოთახში შეკრებილმა დეპუტატებმა იმ 25 ჯგუფის შემადგენლობა დაამტკიცეს, რომლებიც დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში რამდენიმე დღით იმორიგევებენ ხოლმე.

კონფლიქტის ზონაში დეპუტატთა მორიგეობის დაწესების ინიციატივით პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტარების წინაშე ჯერ კიდევ ათიოდე დღის წინ წარდგა, თუმცა გუშინდელ დღემდე ეს მხოლოდ იდეა იყო, რომელიც, როგორც ჩანს, სულ მალე რეალობად იქცევა. თუ, რა თქმა უნდა, აღმასრულებელი ხელისუფლება ან თავად პრეზიდენტი დეპუტატთა ამ წამოწყებას მხარს დაუჭერს.

ამის მიუხედავად, პარლამენტის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ მთავრობა პარლამენტის ამ წამოწყებას ცალსახად დაუჭერს მხარს, რადგან, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, პარლამენტარები აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად კოორდინირებული ქმედებების აუცილებლობას უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევენ.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ოთხდეპუტატიანი ჯგუფები მორიგეობით გაემგზავრებიან კონფლიქტის ზონაში, შეისწავლიან არსებულ ვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის ოჯახებში იცხოვრებენ. **"ეს ჩვენი თანადგომა იქნება იმ ადამიანებისადმი, ვინც ამ რთულ ვითარებას გაუძლო,"** - ამბობს ნინო ბურჯანაძე.

თავად დეპუტატთა თქმით, პარლამენტი მზად არის, მონაწილეობა მიიღოს სროლების შედეგად დაზიანებული სახლებისა და სკოლების აღდგენაში არა მხოლოდ ქართულ სოფლებში. პარლამენტარები ოსური მოქალაქეებისათვის დახმარების გასაწევადაც ემზადებიან და იმედოვნებენ, რომ ამ ინიციატივას ოსური მხარეც გამოეხმაურება. **"ჩვენ არ დაგვიკარგავს ის განცდა, რომ ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსი მოსახლეობა საქართველოს მოქალაქეები არიან და ჩვენ მზად ვართ, მათთან ერთად აღვადგინოთ როგორც ადამიანური ურთიერთობები, ასევე დაზიანებული სახლები და სკოლები,"** - ასეთია მათი პოზიცია.

რაც შეეხება თავად ჯგუფებს. გუშინ მათი დაკომპლექტება თითქმის დასრულდა, თუმცა, როგორც პარლამენტარი რომან კუსიანი აცხადებს, უახლოეს დღეებში გარკვეული კორექტივები ამ სიაში მაინც შევა. თუმცა, თავად ჯგუფების ხელმძღვანელები, სავარაუდოდ, არ შეიცვლებიან.

ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი ალექსანდრე შალამბერიძე კი კმაყოფილია, რომ, ქვეყნის წინაშე არსებული გარე საფრთხეების პირობებში, პარლამენტართა ჯგუფები როგორც პოზიციის, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება და პარლამენტის შემადგენლობის უმრავლესობა მზად არის, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად, ცხინვალის რეგიონში ცხოვრების მშვიდობიანი წესის დასამკვიდრებლად და კონფლიქტის მოსაგვარებლად კოორდინირებულად იმოქმედოს.

*24 საათი*

## მოკლედ

### სოხუმი მოუწოდებს გაერო-ს, დაგმოს საქართველოს ხელისუფლების ქმედება

სოხუმის ხელისუფლება აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში ინციდენტების თავიდან ასაცილებლად, საქართველოში გაერო-ს სპეცწარმომადგენლობასა და გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებს საქართველოს მესაზღვრეთა მიერ, 30 ივლისს თურქული გემისათვის ცეცხლის გახსნის ფაქტის დაგმობისაკენ მოუწოდებს.

ამის შესახებ განცხადება აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯიმბამ სოხუმში, გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელთან ჰაიდი ტალიავინთან და საქართველოში გერმანიის საელჩოს პირველ მდივანთან მირკა შირბახთან გამართულ შეხვედრაზე გააკეთა. ხაჯინბას გარდა, შეხვედრაში მონაწილეობა სოხუმის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ახბამ და თვითგამოცხადებული პრეზიდენტის არძინბას მრჩეველმა პოლიტიკურ საკითხებში ასტამურ ტანიამ მიიღეს.

სოხუმის ხელისუფლების ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ 30 ივლისს, სოხუმის მახლობლად მდებარე სოფელ ეშერასთან თურქული გემისათვის ცეცხლის გახსნით, ქართულმა მხარემ დაარღვია 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულება, რაც გაერო-მ შესაბამისი შეფასების გარეშე არ უნდა დატოვოს.

აფხაზური მხარე იმედოვნებს, რომ საქართველოში გაერო-ს სპეცწარმომადგენლობა და გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნები თავიანთ გავლენას გამოიყენებენ და აფხაზეთის ტერიტორიალურ წყლებში ქართველი მესაზღვრეების მიერ ინციდენტების გამეორებას არ დაუშვებენ.

საქართველოს ტერიტორიალური წყლების აფხაზეთის მონაკვეთში, ქართველი მესაზღვრეების მიერ 30 ივლისს თურქული გემისათვის ცეცხლის გახსნის შემდეგ, აფხაზურმა მხარემ გააკეთა განცხადება ქარულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში აფხაზური მხარის მონაწილეობის შეჩერების შესახებ. **ინტერ-პრესი**

### ლეიბორისტების ჩრდილოური გამონათებები

მოსკოვში დაფუძნებული საქართველოსა და "ლეიბორისტული პარტიის" მხარდამჭერი საზოგადოებრივი კომიტეტი ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესებით შეშფოთებულია. ამას თავად კომიტეტის დამფუძნებელი, "ლეიბორისტთა" ლიდერი შალვა ნათელაშვილი ამტკიცებს.

ნათელაშვილმა პრესას მემორანდუმი გააცნო, რომლითაც კომიტეტმა რუსეთის პრეზიდენტს, მთავრობის მეთაურსა და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრებს მიმართა.

რუსეთში მოქმედი "ლეიბორისტული პარტიის" მხარდამჭერი კომიტეტი კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შეიარაღებული დაპირისპირების შეწყვეტისა და მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომისკენ მოუწოდებს. კომიტეტის წარმომადგენლები ასევე მიმართავენ რუსებსა და კაზაკებს, არ აჰყვნენ პროვოკაციებს, დაუყოვნებლივ დატოვონ კონფლიქტის ზონა და სახლებში დაბრუნდნენ.

რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტს, მთავრობის მეთაურსა და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრებს, კომიტეტი მათ მოუწოდებს, ყველა ძალისხმევას მიმართონ იმისათვის, რათა არ დაუშვან რუსეთის ჩათრევა არსებულ კონფლიქტში და მოხდეს დაპირისპირებული მხარეების მორიგება კავკასიაში მშვიდობის დამყარების მიზნით.

აღნიშნულ მემორანდუმს საზოგადოებრივი კომიტეტის თავმჯდომარე, რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების თავდაცვისა და მართლწესრიგის აკადემიის წევრი ვიაჩესლავ მოროზოვი აწერს ხელს. ***ინტერ-პრესი***

# ომი დამთავრდა, მშვიდობა მყიფეა



*ქართული ჯარი კონფლიქტის ზონიდან გამოდის.*

პირველი გვერდიდან

**"ეს სწორი და დიდი ხნის წინ მომწიფებული ნაბიჯია, რომელიც შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებების შესრულებისკენაა მიმართული,"** - აღნიშნულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში. **"დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი ხაზის თანმიმდევრულად გაგრძელებას და ყველა სხვა შეთანხმების შესრულების უზრუნველყოფას, უპირველესად, ცეცხლის შეწყვეტის პირობებში და ყველა პრობლემის მოლაპარაკებების არსებული მექანიზმების ფარგლებში განხილვის შესახებ, ძალისმიერი ზეწოლის ტაქტიკის გამოყენების გარეშე. მოსკოვში მომავალშიც მიადევნებენ თვალს სიტუაციის განვითარებას ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში და მისი მოგვარების საქმეში მშვიდობიან, არაკონფრონტაციულ კალაპოტში ურთიერთმისაღებ საფუძველზე მხარეებს ყველა შესაძლო დახმარებას აღმოუჩენენ,"** - ხაზგასმით აღნიშნავენ რუსეთის საგარეო პოლიტიკურ უწყებაში.

რუსული მედიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სააკაშვილის ამ გადაწყვეტილებამ რიგ პოლიტიკურ წრეებში გაკვირვება გამოიწვია, თუმცა ბოლმის გამომჟღავნების საუკეთესო საშუალებად იქცა.

ყოველდღიურმა ინტერნეტ-გაზეთმა "უტრო"-მ გუშინ ანალიტიკური სტატია გამოაქვეყნა სახელწოდებით "ქართულმა ჯარებმა მარშით იარეს... უკან", სადაც ავტორი ტიმოფეი გოლოვაშკინი საქართველოს პრეზიდენტის ამ ნაბიჯისათვის თავისი ლოგიკით ეძებს ახსნას.

სამხრეთ ოსეთში გუშინწინდელი მთელი დღის მოვლენების ქრონოლოგიური მიმოხილვის შემდეგ, იგი ასკვნის:

"მაგრამ ვინ უბიძგა პრეზიდენტ სააკაშვილს, მიეღო ეს გადაწყვეტილება, რომელსაც, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, არავინ ელოდა? რუსეთმა? ყველამ შეამჩნია საქართველოს ხელისუფლების მისამართით გაკეთებული არც ისე სასიამოვნო განცხადებები ჯერ რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის, შემდეგ კი რუსეთის პრეზიდენტის მიერ, რომელმაც თბილისში საკუთარი ვიზიტიც კი გადადო.

ტყუილუბრალოდ ასეთ განცხადებებს არავინ აკეთებს და ასეთ ქმედებებს არავინ ახორციელებს. მაგრამ, უკვე ტრადიციულად, რუსეთს აღიქვამენ, როგორც კავკასიაში საგრძნობლად დასუსტებულ გიგანტს. მაშინ, ვინ? და აქვე მოიძებნა კავკასიის მესამე ძალა - რეალური ძალა - ამერიკის შეერთებული შტატები. აღნიშნული ძალა, მართალია, არც ისე თვალსაჩინო, თუმცა საკმაოდ წონიანია. აბა, ტყუილად ხომ არ აფინანსებს შეერთებული შტატები საქართველოს ქვეყნის ბიუჯეტის ოდენობის თანხით? თანაც, ძირითადად, ფული ჩინოვნიკების ხელფასებს ხმარდება, სხვათა შორის, თავად ქვეყნის პრეზიდენტის ჩათვლით.

ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ შექმნილ ვითარებაში ვაშინგტონის ინტერესებში არ შედის ჩრდილოეთ კავკასიაში კონფლიქტის გაღვივება. ამერიკა ფულს იხდის და ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს, ან ამბობს, რომ იყოს სიჩუმე.

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილების გამო კმაყოფილება გამოთქვა".

რუსულ მედიაში საქართველოს პრეზიდენტის მოქმედებებს ზოგი აკვირდება, ზოგიც აფასებს, ზოგი კი საკუთარი ინტერესების განმტკიცებას ცდილობს, თანაც, ტენდენციურობის გზით. გაურკვეველია, საერთოდ რისი დამტკიცება სურთ რუსეთის რეაქციულ ძალებს, რომლებიც სააკაშვილის კეთილისმყოფელების მანტიას ადვილად ირგებენ.

გაზეთმა "იზვესტიამ" გუშინ, იმ დღეს, როდესაც სამაჩაბლოში პირველი უღრუბლო დილა გათენდა, ერთი საინტერესო ანალიტიკური სტატია გამოაქვეყნა, სახელწოდებით - "სააკაშვილის ამერიკული ილუზიები".

"მიხეილ სააკაშვილს შესაძლოა ჰქონდეს რომანტიკული ილუზიები, რომ იგი ამერიკულ-რუსული ქიშპობის ფონზე, შეძლებს მოკლე დროში თბილისის კონტროლქვეშ დააბრუნოს სეპარატისტული სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. თუმცა, ეს ილუზიები ძალიან მალე გაქარწყლდება, თუ იგი საკუთარ სახიფათო კურსს არ შეცვლის.

შეერთებული შტატების სრული მხარდაჭერის ხარჯზე კონფრონტაციული პოლიტიკის არჩევის დროს, სააკაშვილი თავის მიღწევებს, რაც დემოკრატიულ რევოლუციაში გამოიხატა, საფრთხეში აყენებს," - წერს ავტორი.

ამ სიტყვების შემდეგ, საკმაოდ მოულოდნელად გამოიყურება ედუარდ ლოზანსკის აღნიშნულ სტატიაში სააკაშვილის მიმართ დაწერილი რამდენიმე სტრიქონი. რა არის ეს - კეთილგონიერება და რეალური ინტერესების შენიღბვა? თავად განსაჯეთ:

"ჩვენ დიდი სიმპათიით ვართ გამსჭვალულნი იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც თავისი ქვეყნის კეთილდღეობისთვის დატოვა საკმაოდ კომფორტული ცხოვრება დასავლეთში და მთლიანად ჩაერთო ქაოტურ და სისხლიან კავკასიურ პოლიტიკაში. ჩვენ მას გულწრფელად ვუსურვებთ წარმატებას თავისი მრავალტანჯული ქვეყნის გაერთიანებაში. თუმცა, რეალურ ცხოვრებაში პრობლემების მოსაგვარებლად მხოლოდ ემოციები არ კმარა.

სააკაშვილს და მის გარემოცვას უნდა ესმოდეს, რომ ახლა, როდესაც ბოლო არ უჩანს ერაყის კამპანიას და როცა რუსეთი შეერთებულ შტატებს სჭირდება, როგორც მოკავშირე ტერორიზმთან ბრძოლაში და გლობალური ენერგეტიკული თუ ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში, არ ღირს იმის მოლოდინი, რომ ამერიკა თავს უფლებას მისცემს, კიდევ ერთ კონფლიქტში ჩაერთოს, თუნდაც ისეთი კეთილი მიზნების ომში, როგორიცაა საქართველოს გამთლიანება".

და კიდევ ერთი, არანაკლებ საინტერესო ამონარიდი ამ სტატიიდან: "სამწუხაროდ, რიგი რუსი პოლიტიკოსებისა ცდილობს, ამერიკის პოზიცია წარმოადგინოს, როგორც სააკაშვილისადმი უსიტყვოდ მხარდამჭერის პოლიტიკა. ეს მათ საშუალებას აძლევს, შექმნან დრამატული ეფექტი, თუმცა ეს რეალობის პროფესიონალურ ანალიზს არ შეესაბამება. რუსეთსა და აშშ-ს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ საერთო ინტერესები და თავს არ უნდა მისცენ უფლება, ჩათრეულ იქნენ კიდევ ერთ ეთნიკურ კონფლიქტში".

რაც შეეხება კონფლიქტის ზონაში ვითარებას, დღეს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი დავით შერვაშიძე ცხინვალის რეგიონში გაემგზავრება და კოკოითის მხარდამჭერი ბოევიკების მიერ დაბომბვის შედეგად დაზარალებულ სოფლებს 4.600 ტომარა ფქვილს ჩაუტანს. თითო კომლზე თითო ტომარაა გათვალისწინებული.



*სტრატეგიულ სიმაღლეებზე შერეული სამშვიდობო ძალები განლაგდნენ. მათ მშვიდობა უნდა დაიცვან.*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხუთშაბათს ბრძოლის დროს დაღუპული მამაკაცი, რომელსაც ქართული მხარე კაზაკად ასაღებდა, სინამდვილეში სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის მკვიდრი და სამხედრო მოსამსახურეა.

"ქართული მხარე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეს კაზაკად ასაღებდა, თუმცა სინამდვილეში ის სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ჯავის რაიონის მკვიდრია," - განაცხადა დღეს დე ფაქტო ხელისუფლების საგანგებო დავალებათა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა. მან თქვა, რომ დაღუპულის ცხედარი ამჟამად ქალაქ გორის მორგში იმყოფება.

"ეუთო-ს წარმომადგენლები ცხედრის სამხრეთ ოსეთში დაბრუნებაში დაგვეხმარებიან," - განაცხადა მინისტრმა. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ტყეების კონტროლი, დაცვის უზრუნველყოფა, აღდგენა და ხე-ტყის ბირჟის ფორმირება ახალ უწყებას, სააქციო საზოგადოებას დაევალება, რომლის დაფუძნება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეფორმით არის გათვალისწინებული. ამის შესახებ სამინისტროს ხე-ტყის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბიძინა გიორგობიანმა ხუთშაბათს, არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. სამინისტროს ფუნქციაში დარჩება მართვის პოლიტიკის განხორციელება. ახალი უწყებები სამინისტროს ინსტრუქტაჟით იმუშავებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა ერთი კვირის განმავლობაში 99,78 პროცენტი შეადგინა. ფასები შემცირდა ღორის ხორცზე, მზესუმზირის ზეთზე და ხახვზე, ხოლო ქათამზე ფასი 4,2 პროცენტით გაიზარდა. სტატისტიკოსთა ინფორმაციით, გასულ კვირასთან შედარებით, მიმდინარე კვირას ფასების საერთო დონე 0,22 პროცენტით შემცირდა. მათ შორის, სურსათზე - 0,68 პროცენტით. მომსახურებაზე ფასები 0,34 პროცენტით გაიზარდა, არასასურსათო საქონელზე კი ფასები უცვლელი დარჩა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში სლოვენიის საკონსულო გაქურდეს. როგორც პრაიმ-ნიუსს საკონსულოდან აცნობეს, მოპარულია 2 გენერატორი. საკონსულოს განცხადებით, ეს იმ დროს ხდება, როდესაც სლოვენიის საკონსულო 9 ქვეყნის დიპლომატთა მიერ ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოგვარების მხარდაჭერის აქციის ერთ-ერთი მოთავეა. სამწუხაროა, რომ ეს ზიანი, ამავდროულად, აფერხებს საკონსულოს მუშაობას, - ნათქვამია განცხადებაში. ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია საქმე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის პოლიციამ რამდენიმე დღის წინ ჩადენილი ყაჩაღობის საქმე გახსნა. 17 აგვისტოს, ოთხმა პირმა ქუთაისში ზაზა კორძაძეს, რომელიც საქალაქო ტრანსპორტის მძღოლია, კუთვნილი "მერსედესის" მარკის მიკროავტობუსი გასტაცეს. პოლიციამ აღნიშნულ დანაშაულში 25 წლის ვარლამ ვარდანიძე, ზედმეტსახელად "კუნა" ამხილა. სამართალდამცავები ამჟამად დანარჩენი სამი პირის ვინაობას ადგენენ. მიკროავტობუსი პატრონს შავი სამყაროს წარმომადგენლებთან ფულის გადახდის შემდეგ დაუბრუნდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის პირველი საპყრობილის თანამშრომლებმა საამანათო განყოფილებაში მანანა ოგანეზოვა დააკავეს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენელთა განცხადებით, მანანა ოგანეზოვა პატიმართან შესაგზავნი საკვებით, 0,362 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება "სუბოტექსის" შეტანას ცდილობდა. მიმდინარეობს მოკვლევა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** საგზაო პოლიციის ყოფილმა თანამშრომლებმა ბათუმში, აჭარის მინისტრთა საბჭოს შენობასთან გამართულ აქციაზე მათი სამსახურიდან უკანონო გათავისუფლება გააპროტესტეს და საპატრულო პოლიციაში ჩარიცხვა მოითხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ფართომასშტაბიანი აქციებით იმუქრებიან. ყოფილი პოლიციელები ასევე მოითხოვენ მთავრობის წევრებთან შეხვედრას, მაგრამ მათ, ჯერჯერობით, აჭარის ხელისუფლებიდან არავინ გამოხმაურებია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ფოთი.** გუშინ, 16.30 საათზე "მაგთიკომის" ფოთის ფილიალის ოფისში ორი ბოროტმოქმედი შეიჭრა. ერთ-ერთი თავდამსხმელი დანით იყო შეიარაღებული. მათ "მაგთიკომის" ფოთის ოფისის მენეჯერს გიორგი ფოფხაძეს მოსთხოვეს ფული, ხოლო უარის მიღების შემდეგ, დანით თავის არეში დაჭრეს. ამჟამად, გიორგი ფოფხაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ბოროტმოქმედებს "მაგთიკომის" თანამშრომლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, რის შედეგადაც თავდამსხმელები გაიქცნენ და მიიმალნენ. ფოთის პოლიციის განყოფილების უფროსის გია გურგენაძის თქმით, ასეთი ობიექტები არ არიან გაძლიერებული დაცვის რეჟიმში, რაც იწვევს კიდეც ხშირ დაყაჩაღებას. ეს უკვე "მაგთიკომის" დაყაჩაღების მეოთხე შემთხვევაა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბოლნისი.** ბოლნისის პარკში მდებარე მინიფეხბურთის სტადიონზე პირობით მსჯავრდებულთაგან დაკომპლექტებულ ბოლნისისა და მარნეულის გუნდებს შორის საფეხბურთო მატჩი გაიმართა, სადაც მასპინძლებმა სტუმრები 3:0 დაამარცხეს. საფეხბურთო მატჩი იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის ინიციატივით შედგა. დეპარტამენტის თავმჯდომარის ალექსანდრე არაყიშვილის თქმით, მსგავსი ღონისძიებები ხელს შეუწყობს პირობით მსჯავრდებულთა რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას. გარდა ამისა, გაიზრდება მათი ნდობა პრობაციის სამსახურის თანამშრომელთა მიმართ. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "ხანდახან უფრო გონებამახვილი უნდა იყო, ვიდრე მართალი"

პირველი გვერდიდან

"24 საათი" გთავაზობთ პოლიტიკოსებისა და ექსპერტების კომენტარებს.

ჩვენ მათ ერთადერთი კითხვით მივმართეთ: **როგორ შეაფასებდით საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ცხინვალის რეგიონიდან საჯარისო ნაწილების გაყვანის შესახებ?**



**კოტე გაბაშვილი:** ჩემი აზრით, ეს იყო აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლებოდა ამ ვითარებაში მიღებულიყო. საჯარისო ნაწილები მას შემდეგ გაიყვანეს, რაც გარანტირებული შეიქმნა ყველა იმ საცეცხლე წერტილის კონტროლი, საიდანაც ქართული მშვიდობისმყოფელების და მოსახლეობის შეწუხება ხდებოდა. ეს ნაბიჯი პარალელურად უზრუნველყოფილია საკმაოდ დიდი ჯგუფით ჯარისა, რომელიც იქვეა და, თუ ჩვენი მოსახლეობისთვის კვლავ რაიმე სახიფათო მოხდება, ეს ჯგუფი აქტიურად ჩაერთვება. ეს არის საქართველოს ხელისუფლების სერიოზული ნება მშვიდობის დამყარებისა. რუსეთმა, პრაქტიკულად, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს არ მომხდარიყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას ეყო პოლიტიკური გამჭრიახობა. უნდა გითხრათ, რომ დღევანდელი ინფორმაციებით, ამან ძალიან დიდი შედეგი გამოიღო საერთაშორისო დონეზე. უკვე დაიწყო სერიოზული საუბრები იმაზე, რომ ამ ნაბიჯის გამო საქართველო მართლაც დიდ ყურადღებას იმსახურებს.

საერთაშორისო კონფერენცია, ეუთო-ს მონიტორინგის ახალი ფორმები, ინტერნაციონალიზაცია - ეს საკითხები ახლა უფრო რეალური და აქტუალური გახდა, ამ ძალიან გონივრული ნაბიჯის შემდეგ. ეს ყველაფერი უნდა ამოქმედდეს, უნდა ჩავრთოთ საერთაშორისო საზოგადოება, რაც კონფლიქტის არა გაყინვის, არამედ რეალურად გადაწყვეტის საშუალებას მოგვცემს.



**ნოდარ ნათაძე:** ეს იყო პირდაპირი სახელმწიფო ღალატი სახელმწიფოს ხელისუფალთა მხრიდან. ეს იყო იგივე მოქმედება, რაც შევარდნაძემ ჩაიდინა 1993 წლის 27 ივლისს აფხაზეთში, როდესაც მოაწერინა ხელი ქართულ მხარეს მძიმე ტექნიკის გამოყვანის შესახებ. ეს არის ქართული სოფლების, ქართველი მოსახლეობის სავსებით შეგნებული გაწირვა გენოციდისათვის. ჟვანიამ, როგორც რუსეთის ყველაზე ღია აგენტმა, შემოაცურა დემილიტარიზაციის იდეა და, სამწუხაროდ, პრეზიდენტიც დაეთანხმა. ჭკუიდან გადასულია მოსახლეობა და ჭკუიდან გადასულები არიან სამხედროები.

**ვასილ მაღლაფერიძე:** ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ცოტა არასწორი ტერმინი იხმარება - იქიდან ჩვენ საჯარისო შენაერთები კი არ გამოვიყვანეთ, იქ ქართულმა მხარემ სიმაღლეები აიღო, იქიდან ის ხალხი გარეკა, ვინც ისროდა და მხოლოდ ამის შემდეგ შესთავაზა რუს სამშვიდობოებს და ოსეთის სამშვიდობო ნაწილებს - მოდით, დადექით ჩვენთან ერთადო. ასე რომ, დღეს იქ სამმხრივი



შერეული ჯარები დგანან. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი - საქართველომ, ერთი მხრივ, აჩვენა, რომ მას შეუძლია ძალიან ეფექტურად იმოქმედოს სამხედრო საშუალებებით, მეორე მხრივ კი, აჩვენა, რომ არ სურს სისხლისღვრა და მზად არის, კონფლიქტი მშვიდობიანად გადაწყვიტოს.

საქართველო თავიდანვე ყველას და ყველა დონეზე სთავაზობდა პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას, მაგრამ ეს ადეკვატურად აღქმული არ იქნა და, როგორც ჩანს, საქართველოს ამგვარი პოზიცია სისუსტეს მიაწერეს.

ვიმეორებ, ეს იყო ერთადერთი სწორი ნაბიჯი ამ სიტუაციაში და ეს გუშინ ღამითაც დამტკიცდა - ღამემ მშვიდად ჩაიარა.



**დავით ბერძენიშვილი:** მე ამ გადაწყვეტილებას არ ვიცნობ, თბილისში არა ვარ, ამიტომ ვერაფერს გეტყვით...



**აკაკი ასათიანი:** თუ პიარ-კამპანიები უსისხლოდ ტარდება, კიდევ აიტანს კაცი, მაგრამ თუ სისხლია, მაშინ ამას პიარი აღარ ჰქვია. ოც კაცამდეა, თუ მეტი არა, დაღუპული, ასე არ არის? ნამდვილად არ ღირდა ამად... მეეჭვება, რომ თავიდანაც რამე ჰქონოდა ხელისუფლებას წინასწარ გათვალისწინებული, ეს იყო ინსტინქტური მოქმედებები და ასეთ სერიოზულ საქმეებში ეს ძალიან სახიფათოა. როცა გამსახურდიასთან შედარება ხდება, უნდა ვიცოდეთ, რომ გამსახურდიამ იცოდა, რასაც აკეთებდა. შეგნებულად აკეთებდა; სწორი იყო თუ არასწორი, ეს სხვა საკითხია. ამ შემთხვევაში ჩვენ სპონტანურ ნაბიჯებს ვხედავთ. თავდაპირველად რამდენიმე სწორი ნაბიჯი გადაიდგა: ერგნეთის დახურვა, კონტრაბანდის გადაკეტვა, ჩვენი სამშვიდობოების კვოტის შევსება. შემდეგ სიტუაცია ნორმალური განვითარების რელსებს ასცდა, სიტუაციის შემდგომი გამწვავება ნამდვილად არ იყო საჭირო. ანუ დღეს მივედით ისევ იქამდე, რითაც დავიწყეთ. თავიდანვე შეცდომა იყო, როდესაც ხელისუფლებამ აჭარა, ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი გააიგივა - სამწუხაროდ, ისინი მართლა ასე თვლიდნენ, და ეს იყო პრინციპული შეცდომა.

გახსოვთ, ალბათ, გალში რაც მოხდა 1999-ში, მაშინაც ბედის ანაბარა დატოვეს მოსახლეობა და მერე ამბობდნენ, - სისხლისღვრა ავიცილეთ თავიდანო. მარტივი კითხვა ჩნდება - რატომ იწყებდით საერთოდ? უნდა ჩაკეტილიყო და ბლოკირება მომხდარიყო სამხრეთ ოსეთის რეჟიმის და თავდაპირველად, როდესაც ხელისუფლებამ ზემოთნახსენები სწორი ნაბიჯები გადადგა, მეგონა, რომ ისინი სწორედ ამისკენ მიდიოდნენ. მერე, როდესაც ჰუმანიტარული ომი გაჩაღდა, მივხვდი, რომ საქართველოს ხელისუფლებას მართლა ეგონა, სამხრეთ ოსეთის პრობლემას აჭარის მსგავსად მოაგვარებდნენ. ჯერ ერთი, აჭარაში ქართველები ცხოვრობენ, აჭარა რუსეთს არ ემეზობლება... თუნდაც ეს ორი ფაქტორი კმარა, რომ აჭარა და ე.წ. სამხრეთ ოსეთი განასხვავო.



**ალექსანდრე რონდელი:** ეს იყო ყველაზე რაციონალური და ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება შექმნილ ვითარებაში. ის ჭაობი, რომელიც არსებობდა, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ერგნეთის ბაზრობის მოსპობის შემდეგ, რაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეჟიმის მნიშვნელოვანი წყარო იყო, ბუნებრივია, ვითარება დაიძაბა. არ შეიძლება, არ დაძაბულიყო და ეს გათვლილიც იყო. სეპარატისტებმაც და მათმა მფარველებმაც თავიანთ შესაძლებლობებს გადაამეტეს - იარაღიც იყო შემოტანილი, ხალხიც იყო შემოყვანილი, ასეთ პირობებში არ შეიძლებოდა, გულგრილნი დავრჩენილიყავით.

ასე რომ, ეს იყო სწორი გადაწყვეტილება, მაგრამ ყოველთვის ჯობია, ეს უსისხლოდ გააკეთო. თუმცა, ჯერ კიდევ ბისმარკმა თქვა, რომ პოლიტიკის უდიდესი პრობლემები წყდება სისხლით და მახვილით და არა დეკლარაციებით და გამოსვლებით. თუ შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი სტატუს კვოს ცვლილებას გამოიწვევს, თუ ეუთო-ში ჩვენი საკითხის დაწინაურება, მონიტორინგის გაძლიერება და ამ პრობლემის ინტერნაციონალიზაცია მოხდება, მაშინ ეს იქნება ამ ყველაფრის ძალიან დადებითი შედეგი. ძნელია მოვლენების განვითარების პროგნოზირება. ჩემი აზრით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებული იქნება ის სტატუს კვო, რაც დამყარდა და ყველა მხარე მოვლენების უკეთესი გაგრძელების ძიებას დაიწყებს. ჩვენთვის უკეთესი გაგრძელება კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია და რუსეთის მიერ საბოლოოდ იმის აღიარება იქნება, რომ ფაქტობრივად, სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში უნდა დარჩეს. რუსეთმა რაღაც სამუშაო ფორმულა უნდა მონახოს. ჩვენც, გარკვეულწილად, სამართლიანი უნდა ვიყოთ რუსეთის მიმართ, თუმცა ძნელია, სამართლიანი იყო შენი დამჩაგვრელის მიმართ, ძნელია, ქართველი სამართლიანი იყოს რუსეთის მიმართ. მაგრამ ერთის თქმა შეიძლება - რუსეთი, როგორც იტყვიან, გაჭედილია კავკასიაში. კავკასია დენთის კასრს ჰგავს, სადაც რუსეთს დიდი პრობლემები აქვს, ძალიან დიდი პრობლემები. ამ ვითარებაში ჩვენს ავტონომიებში ტერიტორიების საკითხის გადაწყვეტა მათ ნაადრევად მიაჩნიათ. ისინი ამისთვის მზად არ არიან. რუსები კავკასიას მთლიანად განიხილავენ, ისინი არ გამოყოფენ სამხრეთ კავკასიას. ამდენად, მათთვის ძნელია მიატოვონ თავიანთი ერთგული მოკავშირეები, თუმცა, ამავე დროს, არც ის არის ადვილი, მთელი მსოფლიოს წინაშე საქართველოს წინააღმდეგ ასეთი პოლიტიკა ატარო. მეორე უფრო მისაღებია მათთვის, ამას მიჩვეულები არიან, მაგრამ რამდენი ხანი შეიძლება ასეთი პოლიტიკის თამაში?

კავკასიის ტერიტორიაზე ნებისმიერი ცვლილება და საქართველოს გაძლიერება ჩრდილოეთ კავკასიაში სხვა ხალხების მიერ გაგებული იქნება, როგორც რუსეთის დასუსტება. რუსეთისთვის კი ეს ძალიან მძიმე ასატანია. ესეც დამატებითი ფაქტორია რუსეთის ჯიუტობისა. ის ვერ უთმობს საქართველოს თუნდაც სამართლიან მოთხოვნებს. პოლიტიკაში შეიძლება ყოველთვის მართალი იყო, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, ხანდახან უფრო გონებამახვილი უნდა იყო, ვიდრე მართალი.

# ორმაგი სტანდარტების, ცინიზმისა და "დურაკულ გადაწყვეტილებათა" შესახებ

პირველი გვერდიდან

### კითხვა პირველი:

თუ იცით, ბატონო პრეზიდენტო, რომ საქართველოს ხელისუფლებას არც ზვიად გამსახურდიას დროს და არც შემდგომ სპეციალურად არ დაუსვამს საკითხი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმების შესახებ?

პირიქით, 1991 წლის ზაფხულში, როგორც პარლამენტის წევრი, ვაწარმოებდი მოლაპარაკებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სეპარატისტთა ლიდერ ვლადისლავ არძინბასთან. მიღწეული იქნა შეთანხმება აფხაზეთის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის მიხედვითაც აფხაზებს (ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 17 პროცენტს) უზენაეს საბჭოში ქართველებთან შედარებით ორი ადგილით მეტი მიენიჭათ. ქართველები კი ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 47 პროცენტს შეადგენდნენ.

დამერწმუნებით, რომ ასეთი უფლებები რუსეთის არც ერთ ავტონომიურ რესპუბლიკას არ გააჩნდა.

რაც შეეხება საქართველოს სამხედრო საბჭოს, რომელიც 1992 წლის იანვრიდან ჩაუდგა ხელისუფლებას სათავეში, სპეციალურ დეკლარაციაში, რომელიც მიღებულ იქნა 1992 წლის თებერვალში ხაზგასმით იყო განცხადებული, რომ აფხაზეთის და აჭარის ავტონომიების სტატუსი რჩება ხელუხლებელი არსებული რეალიების გათვალისწინებით.

რატომ მიგაჩნიათ ეს: "დურაკულ გადაწყვეტილებად"? იქნებ, ვილაპარაკოთ იმაზე, როგორ ამზადებდნენ აფხაზეთში კონფლიქტს და როგორ ეხმარებოდნენ სეპარატისტებს ომის წარმოებაში სსრ კავშირის, ხოლო შემდგომ რუსეთის ხელისუფალნი?! ჩვენ ამის დამადასტურებელი უამრავი ფოტო, ვიდეო და დოკუმენტური მასალა გაგვაჩნია.

### კითხვა მეორე:

თუ იცით, ბატონო პრეზიდენტო, რომ ჯერ კიდევ 1989 წლიდან სამხრეთ ოსეთის სეპარატისტები მოითხოვდნენ ავტონომიური ოლქისათვის სუვერენული სახელმწიფოს სტატუსის მინიჭებას, ხოლო 1990 წლის 9 დეკემბერს ჩაატარეს არჩევნები თვითმარქვია დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს უზენაეს საბჭოში. და ეს ხდებოდა მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ კომუნისტური პარტიის მმართველობის დროს დაძაბულობის მშვიდობიანად მოხსნისაკენ ყველა არსებული საშუალება იყო მიმართული. 1989 წელს შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომლის მიზანი იყო ამბოხებული ოლქის სტატუსის შემუშავება. ბათილდებოდა ოლქის ხელისუფლების არაკანონიერი აქტები, რომლებიც, პირველ რიგში თავად სსრ კავშირის კონსტიტუციას არღვევდა. საქართველო ხომ 1991 წლის აპრილამდე სსრ კავშირის შემადგენლობაში შედიოდა.

დამოუკიდებელი სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის გამოცხადება ავტონომიური ოლქის გაუქმებას ნიშნავდა.

მოსკოვი დუმდა, არაფრით რეაგირებდა ოსი სეპარატისტების ამბოხზე, რასაც ის არ დაუშვებდა რუსეთში მდებარე არც ერთ ავტონომიურ ოლქსა თუ რესპუბლიკაში.

11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა რესპუბლიკა და მისი ბაზა - ავტონომიური ოლქი, რომელიც არაკანონიერად შეიქმნა 1921 წელს წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, როგორც საჩუქარი დემოკრატიული საქართველოს დაპყრობაში დახმარების გაწევისათვის. მნიშვნელოვანი დეტალი: ჩრდილოოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეიქმნა.

რატომ იყო ასეთი გადაწყვეტილება "დურაკული"?

ჩრდილოოსეთში მცხოვრები ასეულ ათასობით ოსი, ერს, ხალხს წარმოადგენენ და აქვთ თვითგამორკვევის უფლება, რომელიც შეზღუდულია საერთაშორისო სამართლით და რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით. ხალხის ნებით ეს რესპუბლიკა რჩება რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. ჩეჩნებიც ის ხალხია, რომელსაც გააჩნია თვითგამორკვევის უფლება, გამოყოფის ჩათვლით. მაგრამ, ასევე საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ცალმხრივი გამოყოფა დაუშვებელია თუ ხალხი ცხოვრობს დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომლის ყველა რგოლის ხელისუფლება აირჩევა დემოკრატიული სამართლებრივი არჩევნებით. ომი ჩეჩნეთში დაიწყო იმის გამო, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკება ცენტრსა და ავტონომიას შორის მისი სტატუსის შესახებ ჩიხში შევიდა, რადგანაც ჩეჩნები დაჟინებით მოითხოვდნენ დამოუკიდებლობას. რაც ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას და, როგორც აღვნიშნე, საერთაშორისო სამართალს.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, მისი მოსახლეობა კლასიკური ეროვნული უმცირესობაა, რომლებსაც არ გააჩნიათ თვითგამორკვევის უფლება და მით უმეტეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა.

ამიტომ საქართველო ცნობდა და ცნობს რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას, მის უფლებას დაამყაროს კონსტიტუციური წესრიგი ამბოხებულ რეგიონში, თუმცა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის მეთოდები, რომლითაც ხორციელდებოდა ეს ოპერაციები, უხეშად არღვევდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს. და მაინც, საქართველო აღიარებდა და აღიარებს რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას და არასდროს არ ერეოდა მის საშინაო საქმეებში.

არა მგონია, რომ ის, ვისაც ასეთი მძიმე ტვირთი აწევს მხრებზე, უნდა ბედავდეს საქართველოს ხელისუფლების კრიტიკას, რომლის წადილსაც, მშვიდობიანად გადაეწყვიტა კონფლიქტი აფხაზეთში, წინ აღუდგა სეპარატისტების, რუსეთიდან გადმოსროლილი ჩეჩენი და სხვა "მოხალისეთა", რუსეთის რეგულარული და არარეგულარული სამხედრო ფორმირებები. ჩვენ გაგვაჩნია უამრავი ფაქტი რუსეთის აფხაზეთის ომში მონაწილეობის შესახებ. ბასაევის ასეულის სისასტიკე ხომ ყველა ზღვარს გასცდა.

საიდან მოხვდნენ მოხალისეები აფხაზეთში, თუ არა რუსეთის ტერიტორიიდან?! რუსეთის შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა კულიკოვმა ღიად აღიარა, რომ ბასაევის ჯარი მან გაატარა აფხაზეთში, მოსკოვიდან მიღებული ბრძანების შესაბამისად.

სოხუმის თავზე ჩამოგდებული რუსეთის სამხედრო თვითმფრინავი "სუ 27" და მფრინავის დოკუმენტები აბათილებდნენ რუსეთის თავდაცვის მინისტრის გრაჩოვის ცინიკურ ზღაპარს, თითქოს ქართველები თავად ბომბავენ საკუთარ ხალხს რუსეთის ფერებში გადაღებილი თვითმფრინავებით.

როგორ წააგავს ეს ზღაპარი იმ ზღაპრებს, რომლებსაც გვიყვებიან რუსი მშვიდობისმყოფელები და ოსი სეპარატისტები, თითქოს ქართველები თავად ესვრიან ქართულ სოფლებს, კლავენ საკუთარ ჯარისკაცებს.

### კითხვა მესამე:

როგორ აფასებთ "დუმელი" მარკელოვის განცხადებას იმის თაობაზე, რომ რუსეთში იკრიბებიან ცხელ წერტილებში ნაომარი "მოხალისეები", რომლებიც მზად არიან წამოვიდნენ თავისი ძმების და რუსეთის მოქალაქეების დასახმარებლად. მან არ თქვა, რომ ცხინვალის რეგიონში უკვე არიან კაზაკები (ისინი ტელეკამერების წინაშე პოზიორობენ), რისი ნათელი დადასტურებაცაა ქართულ მხარესთან შეტაკების დროს მოკლული 8 კაზაკი "მოხალისის" გვამი. კაზაკები და "მოხალისეები", დაუბრკოლებლად შემოდიან როკის გვირაბის გავლით, მაგრამ ამ გვირაბის ჩრდილოეთ შესასვლელთან ხომ რუსი მესაზღვრეები დგანან, სამხრეთით კი რუსი და ოსი მშვიდობისმყოფელები. ეს კი აშკარად აგრესიული აქტია რუსეთის მხრიდან, თუ გადავხედავთ გაერო-ს გენერალური ასამბლეის 1974 წლის რეზოლუციას "აგრესიის განსაზღვრების შესახებ". აქვე იბადება

### მეოთხე კითხვა:

ბატონო პრეზიდენტო, ალბათ, იცით, რომ 1995 წლის 11 თებერვალს ალმა-ატაში დსთ-ს სამიტმა მიიღო მემორანდუმი "დსთ-ში მშვიდობისა სა სტაბილურობის შესახებ". ამ დოკუმენტით დსთ-ში მონაწილე ყველა სახელმწიფოს ეკრძალება სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერა, მათთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობების დამყარება; ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო თუ სხვა სახის დახმარების აღმოჩენა.

მაშინ, ბატონო პრეზიდენტო, როგორ შევაფასოთ მოსკოვის ოფიციალური გადაწყვეტილება, რომლის შედეგად აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას მასობრივად ანიჭებენ რუსეთის მოქალაქეობას და ტრაბახობენ იმით, რომ თურმე ამ მოსახლეობის 90 პროცენტი უკვე რუსეთის მოქალაქეა, რომლებსაც მოსკოვი ყველა საშუალებით დაიცავს. რა არის ეს, თუ არა ინტერვენცია და ანექსია საქართველოს ტერიტორიისა?

მინდა მჯეროდეს, რომ თქვენს მიერ ნასროლი სიტყვები, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობის შედეგია და თქვენ ერთგული დარჩებით თქვენ მიერ წამოყენებული საინტერესო მოწოდებებისა დსთ-ს ქვეყნების მიმართ რუსეთის პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობაზე, რასაც საქართველოს მიმართ პოლიტიკის შეცვლით დაადასტურებთ.

პატივისცემით,

*აკადემიკოსი ლევან ალექსიძე*
*საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-1991), საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992-1993), საქართველოს პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი (1993-2003)*

# თელასმა 2004 წლისთვის თავის აუდიტორად "KPMG"აირჩია

20 აგვისტოს გამართულ "თელასის" აქციონერთა კრებას აქციების 75 პროცენტის მფლობელის - "სილკ როუდ ჰოულდინგ B.V."-ის, აქციათა 24,9 პროცენტის მფლობელის - საქართველოს საწარმოთა მართვის სააგენტოს წარმომადგენლები და დანარჩენი აქციების მფლობელ აქციონერთა ნაწილი ესწრებოდნენ. "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ცნობით, კრებამ მოიწონა და დაამტკიცა კომპანიის 2003 წლის ფინანსური ანგარიშგება, აირჩია დამოუკიდებელი აუდიტორი 2004 წლისათვის - კომპანია "KPMG", და წესდებაში სარედაქციო ხასიათის ცვლილებების შეტანა დაამტკიცა. მანამდე, "თელასის" სამეთვალყურეო საბჭომ განიხილა და აქციონერთა კრებაზე გასატანად მოიწონა კომპანიის 2003 წლის ფინანსური ანგარიში, 2004-2005 წლების შემოდგომა-ზამთრისათვის კომპანიის მზადების პროგრამა და დაამტკიცა კომპანიის 2004 წლის მეორე ნახევრის ბიუჯეტი. სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე ანდრეი რაპაპორტი. თავმჯდომარის უფლებამოსილებით, სხდომას "ინტერ-რაო"-ს იურისტი მარია ეფრემოვა დაესწრო.

*24 საათი*

# საბაჟო დეპარტამენტი რვა თვის გეგმას გადაჭარბებით ასრულებს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ინფორმაციით, საბაჟო დეპარტამენტმა გასული რვა თვის ბიუჯეტის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. მიმდინარე წლის 19 აგვისტოს მდგომარეობით, დეპარტამენტის გეგმა 500 ათასი ლარის გადაჭარბებითაა შესრულებული.

ფინანსთა სამინისტროს ცნობით, გეგმით საბაჟო დეპარტამენტს 349 ათას 249 ლარი უნდა ჰქონოდა მობილიზებული, თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, უკვე 19 აგვისტოსთვის მობილიზებულია 343 779,80 ათასი ლარი. **"ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დარჩენილ 12 დღეში საბიუჯეტო შემოსავლები საგრძნობლად გაიზრდება. ადმინისტრირების გამკაცრებასთან ერთად, მიმდინარე წლის ორი აგვისტოდან საბაჟო სისტემა ახალი სტრუქტურით მოქმედებს. ამასთან, საბაჟო გაფორმების პროცედურა ბათუმის და ფოთის პორტებში და თბილისის და ბათუმის აეროპორტებში 24-საათიან რეჟიმშია გადასული,"** - აცხადებენ საბაჟო დეპარტამენტში.

*24 საათი*

# შავი ზღვის ფსკერზე ნავთობის მოპოვება გაისად დაიწყება

შავ ზღვაში ნავთობის მოპოვება მომავალი წლის მაისიდან დაიწყება.

"საქნავთობის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, სოსო ცისკარიშვილმა პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ზღვაში ნავთობის მოპოვების პრეცედენტი საქართველოში არ არსებობს.

მისი ინფორმაციით, შავი ზღვის შელფზე კომპანია "ანადარკო ჯორჯიამ" სამგანზომილებიანი გეოფიზიკური კვლევები დაიწყო. ზღვის ნაპირიდან 40 კილომეტრის დაშორებით სეისმოლოგიურ კვლევით სამუშაოებს უზრუნველყოფს გემი, რომლის შლეიფის სიგრძე 6 კილომეტრია. ძიება ზღვის ფსკერზე 1200 მეტრ სიღრმეზე მიმდინარეობს და თურქეთის მიმართულებით სცდება საქართველოს ტერიტორიულ წყლებს.

წინასაძიებო სამუშაოებისთვის ამერიკული კომპანია "ანადარკო ჯორჯია" 9 მილიონი აშშ დოლარს დახარჯავს. კომპანია მე-4 წელია, შავი ზღვის შელფზე წიაღისეულის ძებნა-ძიებას აწარმოებს.

"ანადარკო ჯორჯიას" ფინანსურმა დირექტორმა, არჩილ ძოძუაშვილმა პრაიმ-ნიუსთან საუბარში აღნიშნა, რომ ამ ხნის განმავლობაში ორგანზომილებიანი სეისმოლოგიური კვლევა ორჯერ ჩაატარა.

სოსო ცისკარიშვილის ინფორმაციით, ზღვის ფსკერზე ნავთობის მომპოვებელი ჭაბურღილის დამონტაჟებას 40 მილიონამდე აშშ დოლარი ესაჭიროება.

*პრაიმ-ნიუსი*

# ფოთის ხიდზე შეუზღუდავი მოძრაობა აღდგენილია

დიანა ჩაჩუა

*საქართველოს, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობით, ბევრი სატრანზიტო დანიშნულების ხიდი გააჩნია. მათ შორისაა სენაკი-ფოთი-სარფის გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე, მდინარე რიონზე მდებარე ხიდიც. სამი-ოთხი წლის განმავლობაში ამ ხიდზე მოძრაობა შეზღუდული იყო. თუმცა, სულ რაღაც რამდენიმე დღის წინ საგზაო დეპარტამენტმა ხიდი სრული დატვირთვით აამუშავა.*



*ფოთის ხიდის აღსადგენად თანხა მსოფლიო ბანკმა გამოყო.*

სამი-ოთხი წლის წინ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მელიორაციის დეპარტამენტის მოთხოვნით, მთავრობის წინაშე ფოთის ხიდის ავარიულობის საკითხი დასვა (ხიდი მელიორაციის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფ ჰიდროელექტროსადგურზე გადის). საბოლოოდ, ეს პროცესი მთავრობის მიერ ხიდზე ტრანზიტული მოძრაობის აკრძალვით დასრულდა.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რომლის პრეროგატივაც ხიდის სავალ გზაზე მოძრაობის შეწყვეტა-არშეწყვეტაა, ხიდის გადაკეტვის წინააღმდეგი იყო. დეპარტამენტში ირწმუნებოდნენ, რომ ხიდი უსაფრთხო იყო. მაშინ მათ არავინ დაუჯერა. საგზაო დეპარტამენტში კი დღესაც დარწმუნებულნი არიან, რომ მელიორაციის დეპარტამენტი ამ ხიდის მდგომარეობას ხელოვნურად ამძიმებდა და, ვითომდა ავარიული ხიდის შესაკეთებლად, დონორებისგან დიდძალი სახსრების მოზიდვა ჰქონდა განზრახული.

ვინაიდან ეს სახიდე გადასასვლელი სტრატეგიული მნიშვნელობისაა (ის ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საკომუნიკაციო ქსელშია მოქცეული), საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე რომან დალაქიშვილი მის უწყვეტ ფუნქციონირებას აუცილებლად მიიჩნევს.

ამიტომაც, წელს მარტში, საგზაო დეპარტამენტმა კვლავ წამოწია ხიდის საკითხი და ხელოვნურ ნაგებობათა და კონსტრუქციების საგამოცდო ცენტრ "საქგზამეცნიერებას" ამ ხიდის შემოწმება დაუკვეთა. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ხიდი ავარიულ მდგომარეობაში არ არის და თავისუფლად შეიძლება მისი ექსპლუატაციაში დატოვება, თუმცა გარკვეული შეზღუდვით - ხიდზე მოძრაობა მხოლოდ 30 კმ/სთ სიჩქარით არის დასაშვები.

"საქგზამეცნიერების" დასკვნის გახმაურების შემდეგ, ანუ აპრილიდან, ხიდზე მანამდე არსებული რეჟიმი შერბილდა. ხიდი ტრანზიტული მოძრაობისთვის გახსნილად გამოცხადდა, მაგრამ, კომისიის მოთხოვნისამებრ, სიჩქარის შეზღუდვა დაწესდა. სიჩქარის გადაჭარბების თავიდან ასაცილებლად კი ხიდის ორივე მხარეს ხელოვნური ბორცვები გაკეთდა. **"ახლა აქ მძღოლი, დიდი სურვილის მიუხედავად, დაწესებულ სიჩქარეს ვერ გადააჭარბებს. ამის საშუალებას მას ჩვენს მიერ მოწყობილი ბორცვები არ მისცემს,"** - დააზუსტა დალაქიშვილმა.

ამ ცოტა ხნის წინ კი, სამტრედია-გრიგოლეთის ტრასაზე, ანუ ფოთის ხიდის შემოვლით გზაზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. შედეგად, შეიზღუდა მოძრაობა და საავტომობილო გზების დეპარტამენტს დილის ექვსი საათიდან საღამოს ცხრა საათამდე მოძრავი ტრანზიტული ავტოტრანსპორტის სენაკი-ფოთი-სარფის მიმართულებით გაშვება მოუწია. შესაბამისად, ამ ავტოტრანსპორტმა ფოთის ხიდითაც უნდა ისარგებლოს.

საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ფოთის ხიდზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება სამტრედია-გრიგოლეთის გზის რეაბილიტაციის დამთავრების შემდეგ იგეგმება, რისთვისაც სახსრები უკვე გამოყოფილია. **"ხიდის გასამაგრებლად საჭირო თანხა - 1,5 მილიონი დოლარი მსოფლიო ბანკმა გამოყო,"** - დააკონკრეტა დალაქიშვილმა.

# იაპონელებმა უდიდესი ბანკი შექმნეს

*იაპონიაში ფორმდება გარიგება, რომელიც საფუძველს ჩაუყრის მსოფლიოში უდიდეს ბანკს. "მიცუბიში ტოკიო ფაინენშალ გრუპი" თავის ერთ-ერთ მეტოქეს, "იუეფჯეი ჰოლდინგს" შეისყიდის, რომელიც ბოლო დროს ფინანსურ პრობლემებს განიცდიდა და კრიზისიდან გამოსვლისათვის ძლიერ პარტნიორს დაეძებდა. შერწყმის შედეგად შეიქმნება საბანკო, სატრასტო და საბროკერო გიგანტი, რომლის ქონების ღირებულება 188,7 ტრილიონი იენს (1,7 ტრილიონ დოლარს) შეადგენს. გიგანტი უკან ჩამოიტოვებს ყველა მეტოქეს, მათ შორის ამერიკულ "სიტიგრუპსა" და შვეიცარიის გაერთიანებულ ბანკს.*

თორნიკე შარაშენიძე

ახალი ბანკი, რომელსაც "მიცუბიში იუეფჯეი" დაერქმევა, 2005 წლის 1 ოქტომბრიდან უნდა ამუშავდეს. თუმცა, მანამდე კიდევ რამდენიმე სერიოზული საკითხია გასარკვევი. კერძოდ, "იუეფჯეისათვის" კიდევ ერთი იაპონური ბანკი, "სუმიმოტო" იბრძვის, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედები.

"მიცუბიში," "სუმიმოტო" და იუეფჯეი იაპონურ საბანკო სექტორის წამყვან მოთამაშეებს წარმოადგენენ და მათ პრაქტიკულად მთელი ეს სფერო უჭირავთ. საერთოდ, ამომავალი მზის ქვეყანაში წვრილ და საშუალო ბიზნესს ნაკლები უპირატესობა ეძლევა, ვიდრე თუნდაც იგივე დასავლეთ ევროპაში და ეკონომიკა რამდენიმე კონგლომერატის მიერ კონტროლდება.

"იუეფჯეიმ" გასულ ფინანსურ წელს 420 მილიარდი იენი დაკარგა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი საბაზრო ფასი მაინც მაღალია - 23 მილიარდი დოლარი. "სუმიმოტო" მზადაა, დაფაროს ეს თანხა "იუეფჯეის" ხელში ჩასაგდებად, მითუმეტეს რომ ადრე ამ უკანასკნელს მისგან სატრასტო შტოს შესყიდვაზე შეუთანხმდა. მაგრამ ამ შეთანხმებას თითქმის დაუკარგა ფასი სასამართლოს გაადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვითაც მოლაპარაკებები სატრასტო შტოს თაობაზე კიდევ უნდა გაგრძელდეს.

"მიცუბიშისა" და "იუეფჯეის" შერწყმა ერთობ მომგებიანი იქნება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პირველი მათგანი ძირითადად აღმოსავლეთ, მეორე კი დასავლეთ იაპონიაში მოღვაწეობს. თუმცა, დიდ გარიგებებს ყოველთვის ახლავს ხოლმე დიდი სირთულეები და წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია. შერწყმა ჯერ კიდევ უნდა დამტკიცდეს აქციონერთა და ანტიმონოპოლიური სამსახურების მიერ, მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ იაპონელთა ზემოთნახსენებ მიდრეკილებას კორპორატიზმისადმი, გარიგებას სერიოზული წინააღმდეგობა არ უნდა შეხვდეს. "მიცუბიში იუეფჯეი" კიდევ ერთ წამყვან მოთამაშედ იქცევა მსოფლიოს კორპორაციულ სამყაროში, სადაც ამომავალი მზის ქვეყნის სახელით კიდევ რამდენიმე გიგანტი მოქმედებს - მაგალითად "ტოიოტა," რომელმაც ცოტა ხნის წინ თვით "ფორდი" ჩამოიტოვა უკან, ავტომწარმოებელთა სიაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა და "სონი," რომელიც დიდი ხანია ელექტრონული ბიზნესით აღარ კმაყოფილდება და ჰოლივუდშიც მყარად აქვს მოკიდებული ფეხი.



# ვიეტნამის ომის ვეტერანები კერის რეპუტაციის შელახვას ცდილობენ

გარკვეული ხნის მანძილზე უბრალო დამკვირვებლის როლში მყოფმა ჯონ კერიმ, რომელსაც ვიეტნამის ვეტერანები უკვე რამდენიმე კვირაა, სიცრუეში ადანაშაულებენ, საპასუხო განცხადება გააკეთა. დემოკრატი სენატორის თქმით, "საბრძოლო კატერების ვეტერანები სიმართლისათვის" ბუშის საარჩევნო კამპანიის წინა ხაზის მებრძოლები არიან და პრეზიდენტი მათ "საკუთარი ბინძური სამუშაოს შესასრულებლად" იყენებს.



ჯონ კერიმ მეხანძრეებთან შეხვედრისას საკუთარი რეპუტაცია დაიცვა.

ორგანიზაციის წევრებმა, რომელთაც 1968-1969 წლებში კერის მხარდამხარ მებრძოლი ერთ-ერთი საბრძოლო კატერის მეთაური ხელმძღვანელობს, მასაჩუსეტსის სენატორს ბრალი დასდეს იმაში, რომ მედლებისა და სამხედრო ჯილდოების მოსაპოვებლად მან საკუთარ საბრძოლო მიღწევებზე ცრუ ინფორმაცია გაავრცელა და ფაქტები დაამახინჯა.

ბუშის საარჩევნო შტაბის წევრებმა განაცხადეს, რომ მათ აღნიშნულ რეკლამასთან საერთო არაფერი აქვთ და ვიეტნამში სენატორის მიღწევები თავად ეჭვის ქვეშ არასოდეს დაუყენებიათ. თუმცა, ხუთშაბათს მეხანძრეთა საერთაშორისო ასოციაციის წინაშე სიტყვით გამოსვლისას, კერიმ აღნიშნა, რომ პრეზიდენტი ცრუობს და ვიეტნამის ვეტერანთა მოცემულ ჯგუფთან კავშირს შეგნებულად უარყოფს.

"ყველაფერი, რაც მათ შესახებ უნდა იცოდეთ, არის ის, რომ მათ ტეხასელი რესპუბლიკელი ასი ათასობით დოლარით აფინანსებს. ისინი ბუშის საარჩევნო კამპანიის წინა ხაზის მებრძოლები არიან. ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი მათ რეკლამას არ აკრიტიკებს და არ აუქმებს, ყველაფერს ნათელს ჰფენს - ბუშს ისინი საკუთარი ბინძური სამუშაოს შესასრულებლად სჭირდება," - განუცხადა კერიმ მეხანძრეებს.

ბუში-ჩეინის საარჩევნო კამპანიის პრეს-მდივანმა სტივ შმიდტმა განაცხადა, რომ კერის მტკიცება, ვითომდა მოქმედი პრეზიდენტის საარჩევნო შტაბი აღნიშნული რეკლამის უკან დგას, აბსოლუტური სიცრუეა.

კერიზე "თავდასხმა" იმავე დღეს დაიწყო, როდესაც გაზეთ "ვაშინგტონ პოსტში" კერის ერთ-ერთი ყოფილი თანამებრძოლის, ლარი თარლოუს სამხედრო მიღწევების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა. თარლოუ ამჟამად სენატორის ყველაზე დიდი კრიტიკოსი გახლავთ, რომლის ვიეტნამის ომში განვითარებული მოვლენების ვერსიებიც კერის ვერსიებს ეწინააღმდეგება.

თარლოუ, რომელიც ერთ-ერთი საბრძოლო კატერის მეთაური გახლდათ და კერის მხარდამხარ იბრძოდა, აცხადებს, რომ სენატორი კერი 1969 წლის 13 მარტს განვითარებულ მოვლენებსა და ფაქტებს ამახინჯებს. ოფიციალური ვერსიით, ამ დღეს მათი კატერები ვიეტკონგის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გაძლიერებული ცეცხლის ქვეშ მოხვდა. უმცროსმა ლეიტენანტმა ჯონ კერიმ წყლის ნაღმის ერთ-ერთი აფეთქების დროს წყალში გადავარდნილი თანამებრძოლი გადაარჩინა. ამისათვის მან ბრინჯაოს ვარსკვლავი მიიღო. ცოტა ხნის წინ კი თარლოუმ განაცხადა, რომ იმ დღეს მათი კატერების მიმართულებით არავინ ისროდა.

თუმცა, "ვაშინგტონ პოსტმა", რომელმაც თარლოუს სამხედრო სამსახურის მონაცემები ინფორმაციის თავისუფლების აქტის თანახმად მოიპოვა, მის მიერ ბოლო დროს გაკეთებული განცხადებები ეჭვის ქვეშ დააყენა. მონაცემების თანახმად, ხუთი კატერისაგან შემდგარი მცირე ფლოტილია მსუბუქი და ავტომატური იარაღის ინტენსიური ცეცხლის ქვეშ იმყოფებოდა. თარლოუმაც, კერის მსგავსად, დაზიანებული კატერისათვის დახმარების აღმოჩენისათვის ბრინჯაოს ვარსკვლავი მიიღო.

ის, რომ მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებში ორივე კანდიდატის მიერ 35 წლის წინანდელ ომში შესრულებული როლები ამგვარ ფურორს ახდენს, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ 11 სექტემბრის მოვლენების შემდგომ მსოფლიო პოლიტიკაში ომისა და კარგი ლიდერის საკითხებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

სოციოლოგიურ გამოკითხვებში ამომრჩევლები ეროვნული უსაფრთხოებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ, რაც მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებში გარკვეულწილად მათ არჩევანსაც განაპირობებს. მიუხედავად იმისა, რომ ბუშმა ანტიერაყულ კამპანიაზე, როგორც მისი ხელმეორედ არჩევის წინაპირობაზე, დიდი ფსონები გააკეთა, ამომრჩევლები მის საგარეო პოლიტიკას მაინც აკრიტიკებენ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უბრალო ამერიკელები ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეების მიმართ მის დამოკიდებულებას მხარს უჭერენ.

მაშინ, როდესაც ორი კანდიდატი დავობს იმაზე, თუ რომელია უფრო უკეთესი ლიდერი, ვიეტნამის ომის დროს მათი სამხედრო სამსახური კითხვის ქვეშ დგას. საბრძოლო კატერების ვეტერათა ჯგუფის მიერ რეკლამის გავრცელებიდან მოკლე დროში, დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერმა ლიბერალურმა ჯგუფმა "MoveOn.org"-მა გაავრცელა რეკლამა, რომელიც ტეხასის საჰაერო ეროვნული გვარდიის რიგებში ჯორჯ ბუშის სამსახურს ეჭვის ქვეშ აყენებს.

აღნიშნული რეკლამა, რომელიც მიმდინარე კვირაში სამი შტატის ტელევიზიებით გადაიცა, ბრალს სდებს ბუშს, რომ იგი ოჯახური კავშირების გამოყენებით საჰაერო ეროვნულ გვარდიაში მოხვდა, რათა ვიეტნამის ომში მონაწილეობისათვის თავი აერიდებინა. ამავე დროს, იგი ეროვნულ გვარდიაში თავის სამხედრო მოვალეობებს ჯეროვნად ვერ ასრულებდა.

მიმდინარე კვირის დასაწყისში, არიზონელი სენატორის ჯონ მაკკეინის თხოვნით, რომელიც კერის მეგობარი და ვიეტნამის ომის ვეტერანი გახლავთ, კერის საარჩევნო შტაბმა ბუშის საწინააღმდეგო რეკლამა გააუქმა. ამ ნაბიჯს გარკვეული გავლენა ბუშის კამპანიაზეც უნდა მოეხდინა, რათა ამ უკანასკნელსაც გაეუქმებინა კერის საწინააღმდეგო რეკლამა. თუმცა, რესპუბლიკელი სენატორი მაკკეინის მოწოდების მიუხედავად, ეს ასე არ მოხდა.

რეკლამის იმ ნაწილის გაშვება, სადაც ვიეტნამის ვეტერანები კერის სიცრუეში ადანაშაულებენ, წინა კვირას შეწყდა. თუმცა, აღნიშნული ჯგუფი ირწმუნება, რომ სულ მალე მეორე ახალ რეკლამასაც გაუშვებენ.

"საბრძოლო კატერების ვეტერანები სიმართლისათვის" და "MoveOn.org" საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ე.წ. 527 კომიტეტი გახლავთ. მათ განუსაზღვრელი რაოდენობის ფულადი შემოწირულობების მოზიდვისა და რეკლამების გაშვების უფლება მანამ აქვთ, ვიდრე ფედერალური კანდიდატის არჩევნებში გამარჯვება ან დამარცხება ოფიციალურად არ გამოცხადდება. როგორც წესი, აღნიშნული ორგანიზაციები კანდიდატის საარჩევნო შტაბს თავიანთ ოპერაციებს უთანხმებენ და დამოუკიდებლად მოქმედებენ.

## ორი სიტყვით

**გერმანია.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიზანი გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრობაა. ამჟამად გაერო-ს მუდმივი სამუშაო ჯგუფი ორგანიზაციის რეფორმირების კონცეფციას ამუშავებს, რომელიც უშიშროების საბჭოს გაფართოების მექნიზმსაც მოიცავს.

თუმცა, უშიშროების საბჭოს შემადგენლობასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ არაა მიღებული. სამუშაო ჯგუფის წინადადება გაერო-ს გენერალურ მდივანს კოფი ანანს განსახილველად, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის დეკემბრის დასაწყისში გადაეცემა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი მიიჩნევს, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეფორმა "კარგა ხანია, მომწიფებულია". მასში მუდმივი წევრობა აუცილებელია იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში. გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრად გახდომისათვის გაერო-ს გენერალური ასამბლეის ხმათა ორი მესამედია აუცილებელი. გარდა ამისა, ამ გადაწყვეტილებას უნდა ეთანხმებოდეს უშიშროების საბჭოს ყველა ძველი წევრი-ქვეყანა: რუსეთი, აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთი. **იტარ-ტასი**

▪ ▪ ▪

**ჩრდილოეთი კორეა.** გუშინ ჩრდილოეთ კორეამ ჩინელ ტურისტებზე, რომლებიც ფხენიანში ექსკურსიით ჩადიოდნენ, ვიზების გაცემა შეწყვიტა. როგორც იაპონური გაზეთი "ტოკიო სიმბონი" იუწყება, ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება "მოძმე ჩინელი მოქალაქეების" წინააღმდეგ გადადგმულ ასეთ ნაბიჯს "ჩრდილოეთ კორეაში შექმნილი ვითარებით" ხსნის. თუმცა, კონკრეტულად რა იგულისხმება "ჩრდილოეთ კორეაში შექმნილ ვითარებაში", ჯერჯერობით უცნობია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩრდილოეთი კორეა ფხენიანში ტურისტების შეშვებას რამდენიმე დღით სექტემბრის შუა რიცხვებში ყოველწლიურად წყვეტს.

ამ პერიოდში ჩრდილოეთ კორეა სახელმწიფოებრიობის აღნიშნავს და ამასთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებებსაც ატარებს. თუმცა, წელს ჩინელ ტურისტებს კორეელებმა უარი მოულოდნელად და გაცილებით ადრე გამოუცხადეს. "ტოკიო სიმბუნის" ვერსიით, "მრავალრიცხოვან დამკვირვებელთა აზრით, ფხენიანში სადღესასწაულო ღონისძიებებთან დაკავშირებული ტურისტების შემოსვლის აკრძალვა გაცილებით პოლიტიზირებულ ხასიათს უნდა ატარებდეს, ვიდრე უბრალოდ სახელმწიფოებრიობის აღნიშვნის მომიზეზებას". თუმცა, არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის თანახმადაც, ჩრდილოეთ კორეას ჩინეთიდან ამ ბოლო დროს მკვეთრად გაზრდილი რაოდენობის ტურისტების მიღებასთან დაკავშირებით უბრალოდ ტექნიკური სირთულეები შეექმნა, რაც არავითარ კავშირში არაა პოლიტიკურ ვითარებასთან. **იტარ-ტასი**

▪ ▪ ▪

**ლიტვა.** 10-15 სექტემბერს ლიტვაში ნატო-ს სამხედრო კომიტეტის გასვლითი სხდომის ჩატარებაა დაგეგმილი. ბალტიის რესპუბლიკაში ასეთი პრესტიჟული ღონისძიების გამართვას ქვეყნის ხელისუფლება მიესალმება. მინისტრთა კაბინეტმა უკვე ნება დართო, ლიტვის ტერიტორიაზე სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის, ნატო-ს სამოქალაქო პირებთან ერთად, სატრანსპორტო საშუალებებით, შეიარაღებითა და აღჭურვილობით სამხედროთა ჯგუფი იქნეს განთავსებული. ლიტვაში 25 ქვეყნიდან 370 ადამიანი ჩავა. უკვე შექმნილია ადგილობრივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამ ღონისძიების ჩატარებისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს შეასრულებს. კომიტეტის გასვლით სხდომაზე უმაღლესი ხელმძღვანელობის დონეზე განხილული იქნება სამხედრო ბლოკის პოლიტიკის საკითხები და წარდგენილი იქნებიან ალიანსის ახალი წევრები. ვარაუდობენ, რომ სხდომას დაესწრებიან ნატო-ს ორი უმთავრესი შტაბის მაღალჩინოსნები და 26 წევრი-ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა მეთაურები. **იტარ-ტასი**

▪ ▪ ▪

**ბელორუსი.** მინსკში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელის ჰეიდი სმიტის განცხადებით, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ბიუროს წარმომადგენლები პირველად ესტუმრებიან ბელორუსს დამკვირვებელთა სტატუსით. ბელორუსის საპარლამენტო არჩევნები 17 ოქტომბერს ჩატარდება, ხოლო წინასაარჩევნო კამპანია 30 აგვისტოს იწყება. 300 დამკვირვებელი სულ ერთი კვირის მანძილზე დარჩება ქვეყანაში. **24 საათი**

# დემოგრაფიული მდგომარეობა მსოფლიოში 2050 წლისთვის

მოსახლეობის აღწერის ბიუროს მონაცემებით, 2050 წლისთვის რუსეთი მოსახლეობის რიცხოვნობით ამჟამად დაკავებული მერვე ადგილიდან მეთოთხმეტეზე გადაინაცვლებს. აღნიშნული ინსტიტუტი ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს, რომელიც წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოპოვებული დემოგრაფიული ინფორმაციის დამუშავების შედეგად იწერება.

როგორც მოხსენებაშია ნათქვამი, 2050 წლისთვის რუსეთს მოსახლეობის რაოდენობით გაუტოლდება ვიეტნამი, რომლის მოსახლეობის რაოდენობა 41 პროცენტით გაიზრდება, რაც დაახლოებით 115.1 მილიონი ადამიანია.

რაც შეეხება მთლიანად მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობას, იმ დროისათვის მისი ციფრი დაახლოებით 9.276 მილიარდს მიაღწევს, ანუ იქნება 45 პროცენტით მეტი, ვიდრე დღესაა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქედან მხოლოდ 4 პროცენტი იქნება განვითარებულ ქვეყნებზე, ხოლო განვითარებადი მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა 55 პროცენტითაა ნავარაუდევი.

2050 წლისთვის მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე ქვეყნების ათეულში გარკვეული ცვლილებები შევა. თუ დღეს ათეულში მყოფი ქვეყნების სია ასე გამოიუყურება: ჩინეთი, ინდოეთი, აშშ, ინდონეზია, ბრაზილია, პაკისტანი, ნიგერია, რუსეთი, ბანგლადეში, იაპონია. 46 წლის შემდეგ ათეულში იქნებიან: ინდოეთი - 1.628 მილიარდი, ჩინეთი - 1.437 მილიარდი, აშშ - 419.9 მილიონი, ინდონეზია - 308.5 მილიონი, ნიგერია - 307.4 მილიონი, პაკისტანი - 295 მილიონი, ბანგლადეში - 280 მილიონი, ბრაზილია - 221.4 მილიონი, კონგო - 181.3 მილიონი და ეთიოპია - 173.3 მილიონი ადამიანი.

# ქალაქის მერი დაღესტანში ამბოხს აწყობს

მაგომედ ისაევი
IWPR

დისიდენტი მერი და მის დაქვემდებარებაში მყოფი ადგილობრივი პოლიციელები დაღესტანში პოლიტიკური კრიზისის მიზეზი ხდებიან.

დაღესტანის ლიდერის მაგომედალი მაგომედოვის ძალაუფლება კითხვის ნიშნის ქვეშ ხასავიურტის მერის მიერ ინიცირებულმა პოლიტიკურმა ამბოხმა დააყენა, რომელსაც ადგილობრივმა მილიციელებმაც აუბეს მხარი.

მას შემდეგ, რაც დასავლეთ დაღესტანის, ჩეჩნეთთან მოსაზღვრე 100 ათასიანი ქალაქის, ხასავიურტის მთავარმა მილიციელმა მისი გადაყენების შესახებ ბრძანება არაფრად ჩააგდო, რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრმა საგამოძიებო ჯგუფი გაგზავნა ადგილზე ვითარების გასაცნობად და დაპირისპირების მიზეზების გამოსარკვევად. საგულისხმოა, რომ დაღესტანში დაპირისპირების გამწვავება მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში დესტაბილიზაციის საფრთხის მატარებელია.

17 აგვისტოს, მაგომედოვმა განაცხადა, რომ განდგომილი მერის საიგიდფაშა უმახანოვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და რომ იგი ყველაფერს იღონებს, რათა მერი თანამდებობიდან გადააყენოს და ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანო დაითხოვოს.

პრობლემები 29 ივლისს დაიწყო, როდესაც ხასავიურტში დიდი მიტინგი გაიმართა. მართალია, უმახანოვი უარყოფს ამ აქციის ორგანიზებაში მონაწილეობას, მაგრამ ფაქტია, რომ მიტინგზე განცხადებებით სწორედ ქალაქის თავი გამოდიოდა. უმახანოვმა სერიოზული ბრალდებები წაუყენა რესპუბლიკის ხანდაზმულ ლიდერს და მთელი პასუხისმგებლობა კორუფციის აყვავებაში, იმაში, რომ ვერ ხერხდება ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, მას დააკისრა. მერის თქმით, 1998 წელს რესპუბლიკის მუსლიმთა ყოფილი სულიერი ლიდერის, მუფთი საიდ-მუჰამედ-ჰაჯი აბუბაკიროვის მკვლელობის უკან სწორედ მაგომედოვი იდგა.

"დარწმუნებული ვარ, ყველამ ვიცით სინამდვილეში, ვინ დგას დაღესტანის პრობლემების უკან, - ამბობს უმახანოვი მიტინგზე გამოსვლისას, - ხალხმა ყველაფერი მშვენივრად იცის". შემდეგ იგი ეკითხება შეკრებილებს - "ვინ მოკლა დაღესტანის მუფთი?" - და პასუხად ბრბოს შეძახილს იღებს: "მაგომედალი!"

"რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ბრძოლა გამოუცხადა საკუთარ ხალხს და იგი უნდა წავიდეს," - არ ცხრება უმახანოვი.

ხასავიურტის მიტინგზე მოწოდებაც გაისმა, რომ 10 სექტემბერს დემონსტრაციები მთელი რესპუბლიკის მასშტაბით გაიმართოს.

საპასუხოდ, მაგომედოვმა, რომელმაც კიდევ ორი წელი უნდა გაატაროს რესპუბლიკის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, 5 აგვისტოს დაღესტანის სახელმწიფო საბჭო, მთავრობა, ეროვნული ასამბლეის დეპუტატთა უმრავლესობა, ყველა ადგილობრივი მმართველი, რასაკვირველია ხასავიურტის გარდა, მიიმხრო. ზემოჩათვლილებმა მაგომედალის სრული მხარდაჭერა აღუთქვეს. "მაგომედალი მაგომედოვი უკანასკნელი წლების განმავლობაში სტაბილურობის გარანტი იყო დაღესტანში", - ეუბნება ცუნტის რაიონის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე აბდულა ტაგიროვი IWPR-ის კორესპონდენტებს. "იმ დროს, როდესაც მეზობელ ჩეჩნეთში ომი მძვინვარებდა, როდესაც კავკასიის რეგიონებს ერთმანეთის მიყოლებით პრობლემები ატყდებოდათ თავს, სასწაულის ფასად ჩვენი რესპუბლიკა მაინც მშვიდობიანად ცხოვრობდა. ჩვენ გვწამს, რომ მაგომედალი მაგომედოვი 2006 წლამდე, ვადის ამოწურვამდე უნდა დარჩეს პოსტზე."

74 წელს მიღწეული მაგომედოვი 1994 წლიდან მართავს დაღესტანს. იგი უკანასკნელი რეგიონული ლიდერია რუსეთის ფედერაციაში, რომელიც არჩეული არ ყოფილა. დღემდე მაგომედოვი მოსკოვის დიდი მხარდაჭერით სარგებლობს, რადგანაც რესპუბლიკაში, სადაც ათეულობით ეთნიკურ ჯგუფის წარმომადგენელი 2 მლნ ადამიანი ცხოვრობს, იგი ცენტრალური ხელისუფლების დირექტივების უსიტყვო შემსრულებელია. შარშან კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანეს, რომელთა მიხედვით 2006 წელს დაღესტანში პირდაპირი არჩევნები პირველად ჩატარდება. მაგომედოვს სრული უფლება ექნება, სხვა კანდადატთა მსგავსად ამ არჩევნებში მონაწილოეობა მიიღოს და კიდევ უფრო გაიხანგრძლივოს მმართველობა.

იგი დარგინთა ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნის, მაშინ როდესაც უმახანოვი დაღესტანის უდიდესი ეთნოსის, ავართა წარმომადგენელია.

წარსულში მოჭიდავე უმახანოვი 1997 წელს აირჩიეს ხასავიურტის მერად და მთავარი პირობა ის იყო, რომ იგი შეძლებდა, ხასავიურტისთვის თავიდან აეცილებინა მეზობლად მიმდინარე ჩეჩნურ კონფლიქტში ჩათრევა.

თავდაპირველად უმახანოვსა და რესპუბლიკის პირველ პირს შორის ურთიერთობებში პრობლემები არ იყო, მაგრამ შემდგომ რაღაც შეიცვალა. ცოტა ხნის წინ მაგომედოვმა ქალაქის მერი ხასავიურტის სეპარატისტულ ანკლავად გადაქცევაში დაადანაშაულა, ისეთად, როგორებიც იყო ორი რადიკალური ისლამური სოფელი - ყარამახი და ჩაბანმახი, რომლებიც 1999 წლამდე პრაქტიკულად ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ. "თუ ხასავიურტის ადმინისტრაცის ხელმძღვანელი აზრს შეიცვლის, ჩვენ მზად ვართ, მხარი დავუჭიროთ და დავეხმაროთ მას, - ამბობს მაგომედოვი, - თუ არა და, ჩვენ ვაიძულებთ, ასე მოიქცეს. ჩვენ ველარ მოვითმენთ დაღესტანის ტერიტორიაზე ახალ "ყარამახებს". დღეს დაღესტანი ის აღარაა, რაც უწინ იყო, არც რუსეთია იგივე".

დაპირისპირება კიდევ უფრო გაამწვავა იმ ფაქტმა, რომ ხასავიურტის ადგილობრივმა მილიციამ ქალაქის მერის მხარე აშკარად დაიჭირა. მაგომედოვმა დაღესტანის შინაგან საქმეთა მინისტრს ადილგერეი მაგომედტაგიროვს დაავალა გამოეძია, თუ როგორ გახდა შესაძლებელი ხასავიურტში 29 ივლისს მრავალრიცხოვანი მიტინგის ჩატარება. ამისთვის ადგილზე საგამოძიებო კომისიაც გაიგზავნა. კომისიის მოხსენებაზე დაყრდნობით ხასავიურტის მილიციის უფროსი ომარ ტუპალიევი და სხვა მაღალი თანამდებობის პირები ოფიციალურად გადააყენეს. თუმცა, ტუპალიევი არ დაემორჩილა ამ გადაწყვეტილებას და განაცხადა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი ძალები დანარჩენი დაღესტანისგან ავტონომიურად იმუშავებენ.

ხასავიურტის მილიციამ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს, რაშიდ ნურგალიევსაც გაუგზავნა წერილობითი მიმართვა, ადგილზე კომისიის მოვლინების თხოვნით. კომისიის დასკვნა ამ კვირის ბოლოს გახდება ცნობილი.

პოლიტოლოგები მოსაზრებებს გამოთქვამენ, რომ მაგომედოვის მოწინააღმდეგე ოპოზიცია სერიოზულ ძალებს იკრებს, და ეს მხოლოდ უმახანოვი და მისი ხასავიურტი არ არის. მის წინააღმდეგ გამოდიან რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი მაგომედ გაჯიევი და ბიზნესმენი სულეიმან კერიმოვი. "გასული დეკემბრის რუსეთის საპარლამენტო არჩევნებმა უჩვენა, რომ მაგომედოვი რესპუბლიკაში სიტუაციას სრულად ვერ აკონტროლებს", - ამბობს ერთ-ერთი პოლიტოლოგი ყურბანოვი.

მაგომედოვმა სცადა, ძალაუფლების კონსოლიდაცია მოეხდინა, და ამ მიზნით რამდენიმე რაიონის ხელმძღვანელობა შეცვალა. დაღესტნის ხელისუფალმა 2010 წლამდე ეკონომიკური და სოციალური პროგრამებიც შეიმუშავა. მიუხედავად ამისა, ოპოზიციას მძლავრი ბერკეტები რჩება ხელისუფლების კრიტიკისთვის - ესაა გადაუჭრელი ეკონომიკური პრობლემები და დაღესტანის ცნობილი მოღვაწეების გაუხსნელი მკვლელობები.

შემაშფოთებელი განცხადებები უკვე გაისმის იმის შესახებ, თუ რას უქადის ახალი კრიზისი რესპუბლიკის მყიფე უსაფრთხოებას.

ხასავიურტის მილიციის სერჟანტმა ჰაიდარ იბრაგიმოვმა თავისი შიში IWPR-ს გაუზიარა. "ჩეჩენმა მებრძოლებმა იციან რა დაღესტანის შიდა დაპირისპირების შესახებ, შესაძლოა, იგივე გაიმეორონ, რაც ივნისში ინგუშეთში განახორციელეს (მაშინ ჩეჩენ მებრძოლთა თავდასხმის შედეგად 90 ადამიანზე მეტი დაიღუპა). და აქ ისინი საკმაოდ ნახავენ ადგილობრივ ექსტრემისტებს, ვინც მოხარული იქნება, მხარში ამოუდგეს მათ, - ამბობს იგი, - ჩვენ თავად უნდა გამოვნახოთ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი: დაღესტანში განხეთქილება მხოლოდ ჩვენი მტრების წისქვილზე ასხამს წყალს"

# გადაიხადეთ ფული და ნაგვის სუნით "დატკბობა" აღარ მოგიწევთ

## სანამ მერია რამეს მოიფიქრებდეს

*ჩვენი დედაქალაქის მთავრობის საქციელი ხანდახან ქართულ ანდაზას ამართლებს - გარედან მტერს უბრმავებს თვალს, შიგნიდან კი მოყვარეს. თბილისის გარეგნული იერ-სახის მოწესრიგება ხელისუფლებამ მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა და ვერ ვიტყვით, რომ ამ პრობლემის მოგვარებას არ ცდილობს. ქალაქის ქუჩები, წინა წლებთან შედარებით, მართლაც, საგრძნობლად დასუფთავდა, უმსგავსი სარეკლამო დაფები ჩამოიხსნა; უხეიროდ და უკანონოდ აშენებული ნაგებობების ბედიც, ალბათ, უმეტეს შემთხვევაში, დედაქალაქის სასარგებლოდ გადაწყდება; მაგრამ, რა ხდება ქუჩების მიღმა, საცხოვრებელი სახლებსა თუ ეზოებში? ამისთვის ჯერჯერობით ვერც საკრებულომ მოიცალა და ვერც მერიამ.*

ნანა ქადაგიშვილი

ახლახან მოსკოვის გამზირზე მდებარე ერთ-ერთი კორპუსის მოსახლეობა დაგვიკავშირდა და დახმარება გვთხოვა. ჩვენ უკვე აღარ ვიცით, რა მოვიმოქმედოთ და ვის მივმართოთ, - შემოგვჩივლეს. ამ კორპუსის მისამართს არ ვაკონკრეტებთ, რადგან მსგავს მდგომარეობაში მხოლოდ ეს სახლი არ გახლავთ. თბილისის არაერთი კორპუსის მაცხოვრებელს ადგას მსგავსი გასაჭირი - ანუ, დიდი ხანია, კორპუსის კარმონგრეული ბუნკერიდან ნაგავი არავის გაუტანია.

**"ქალაქის დასუფთავების სამსახურები საკუთარ ფუნქციას ცუდად ასრულებენ. ეს პრობლემა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს",** - ქალაქის მთავრობის მიერ დასუფთავების სამსახურების მისამართით გამოთქმული პრეტენზიები მხოლოდ სიტყვებად დარჩა. მართალია, პრობლემის მოგვარების გზებზე, კარგა ხანია, ლაპარაკობენ, მაგრამ ამას საქმე არ მოჰყვება. ამასობაში კი მოსახლეობამ და სახლმმართველობების მემკვიდრე სერვისცენტრების წარმომადგენლებმა, ლამის, "დაჭამონ" ერთმანეთი (შეგახსენებთ, რომ სახლმმართველობა შუამავალია მოსახლეობასა და დასუფთავების სამსახურებს შორის და კორპუსის მობინადრეებმა დასახმარებლად მას უნდა მიმართონ). **"ნაგავი რომ გაიტანონ, სახლმმართველობას ერთი კვირის განმავლობაში უნდა ურეკო და გული გაუწყალო. ახლა აღარც ეს ხერხი ჭრის. კვირაზე მეტია, ვეხვეწებით ნაგავი მოგვაშორონ, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავს. ბუზებითა და კოღოებით გაივსო აქაურობა. ამას ისიც დაემატა, რომ ვიღაცამ ბუნკერის კარი მოანგრია და ისეთი სუნი დგას, ამ სიცხეში ფანჯრებსაც ვერ ვაღებთ",** - ჩივის მოსახლეობა.

დილით ფანჯრებიდან, სუფთა ჰაერის ნაცვლად, შემოსულ ნაგვის "სურნელებას" რომ თავი დავანებოთ, ჯანმრთელობისთვის მოსალოდნელ საფრთხეს ხომ ვერსად გავექცევით? დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ყოველ ზაფხულს სასტიკად გვაფრთხილებს, რომ, ანტისანიტარიის გამო, მომრავლებული მწერები ათასნაირი ინფექციის გადატანის წყაროა. ერთი ნაგვით გატენილი კორპუსის მობინადრეთაგან გავრცელებული ინფექცია კი საშიშროებას დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებსაც უქმნის და ქალაქის მთავრობასაც. დამნაშავე კი ყოველი მათგანია.

**"რაც ისნისა და სამგორი რაიონები გაერთიანდა, ნაგვის გატანა გაჭირდა, რადგან მანქანები არ გვყოფნის. თუმცა, დასუფთავების სამსახური, ვისთანაც ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული, საკუთარ უბანში ერთი კორპუსის ბუნკერის გასუფთავებას თვეში ორჯერ მაინც ახერხებს. იმ კორპუსის მობინადრეები კი, რომელთაც თქვენთან დარეკეს, ამისი ღირსნი არ არიან. რამდენი ხანია, ვეხვეწებით ნარჩენების გატანის საფასური გადაიხადონ, მაგრამ ყურს არც იბერტყავენ. ამ თვეში ორჯერ გავაგზავნეთ დისტრიბუტორი ფულის ასაკრებად. 130 მობინადრიდან მხოლოდ 13 ლარის მოგროვება მოახერხა. მოსახლეობის უმრავლესობას 100-200 ლარი აქვს დავალიანება, მაგრამ ძველ ვალს არ ვჩივით, თვეში თითოეულმა მათგანმა ერთი-ორი ლარი მაინც გადაგვიხადოს. ამდენი ყველა ოჯახს აქვს. თვის ბოლოს დისტრიბუტორს კიდევ გავაგზავნით და ვნახოთ, ეგებ, ინამუსონ ფულის გადახდა",** - აცხადებს ისანი-სამგორის რაიონის ერთ-ერთი სერვისცენტრის ხელმძღვანელი ნუგზარ მალლაკელიძე.

სერვისცენტრების თანამშრომლებს ანაზღაურება მოსახლეობიდან ნარჩენების გატანის საფასურის ამოღებაზეა დამოკიდებული. მათ ამოღებული თანხის 12 პროცენტი ეკუთვნით. დანარჩენი თანხა კი ბანკში დასუფთავების სამსახურის ანგარიშზე ირიცხება. ჰოდა, შუამავალიცა და შემსრულებელიც, ძირითადად, გადახდისუნარიან კორპუსებს წყალობს. ურჩი გადამხდელები კი საკუთარი ნაგვის სუნს ყნოსავენ. **"აბა, რა ვქნათ? - "თელასი" შუქს უთიშავს, "წყალკანალი" - წყალს, ჩვენი დამსჯელი მექანიზმი კი ეს არის",** - თავს იმართლებს მალლაკელიძე. თუმცა, შეუგნებელი მეზობლის გულისთვის დასჯილმა პატიოსანმა გადამხდელმა რა ქნას? მის უფლებებს არავინ იცავს.

ქალაქის ხელისუფლება, დიდი ხანია, აცხადებს რომ პრივატიზებული კორპუსების პრობლემის მოსაგვარებლად სხვა გზებია მოსაძებნი. მერია ჯერ მამასახლისობის ინსტიტუტის შემოღებას გეგმავდა. რამდენიმე თვის წინთ გამგეობებმა, მთავრობის დავალებით, მამასახლისების არჩევაც დაიწყეს, მაგრამ ეს პროცესი შეჩერდა, რადგან მამასახლისების ანაზღაურების საკითხი ვერ გადაწყდა; თანაც, მამასახლისობის ინსტიტუტის შემოღების იდეას ხელისუფლების ნაწილი ეწინააღმდეგებოდა. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თამჯდომარე დავით იოსელიანი კი ამხანაგობების შექმნის მომხრეა. **"ეს იდეა ჩემი მოგონილი არ არის. დასავლეთის ქვეყნებში ასეთი მეთოდით მოაგვარეს კორპუსების მოვლის პრობლემა. ამხანაგობა ირჩევს თავმჯდომარეს, მის შრომას კი, არა სახელმწიფო ბიუჯეტი, არამედ გრანტი ან საწევროები ანაზღაურებს. ამ საქმეში USIAD-იც დაგვეხმარება",** - ამბობს იოსელიანი და იმასაც გვპირდება, რომ ამ საქმეს სექტემბრიდან სერიოზულად მოჰკიდებს ხელს.




# ეს ხე არ უნდა გახმეს

*წერეთლის 12 ნომერში მდებარე დიდი კორპუსის მაცხოვრებლები ერთი "პატარა" კაცის საქციელმა ისე შეაშფოთა, რომ მათ რედაქციაში დარეკეს და სასწრაფოდ შველა ითხოვეს. თურმე, ვიღაც მათი კორპუსის გვერდით მდგომ მათივე ხელით დარგულ და გახარებულ ნაძვის ხეს სპეციალურად ახმობს.*

მივედით და ვნახეთ, რომ ულამაზესი ნაძვის ხე ვიღაცას მსხვილი საჭრისით სამ ადგილას გაებურღა, შიგ ბენზინი ჩაესხა და ცეცხლიც მოეკიდებინა. ეს ვიღაცა, როგორც მეტროს წინ მოვაჭრე ქალბატონებმა გვითხრეს, იმ კორპუსის პირველ სართულზე მდებარე აფთიაქის გამგე, ბატონი ილოა. მისი გვარი ვერავინ გაიხსენა და ვერც ჩვენ დავადგინეთ, ვინაიდან აფთიაქი და ყველა სხვა მიმდებარე სავაჭრო დაწესებულება დაკეტილია.

"მანდ რაც არის, ყველაფერი აფთიაქის გამგემ შეისყიდა. ჯერ "ძონძებად" გადააქცია აქაურობა, ახლა კი, ალბათ, გაფართოება უნდა და იმ ხესაც იმიტომ ახმობს"! - ჩამოგვძახა აივნიდან კორპუსის მაცხოვრებელმა.

"პირველად მე დავინახე, როგორ ტრიალებდა ილო ამ ხესთან. ვიფიქრე, - რას აკეთებს-მეთქი. მოვედი და... სულ დაუხვრეტია ხე", - ამბობს მეტროსთან მოვაჭრე ქალბატონი.

"ეს არის, შვილო, ლიბანის ხე - 36-45 წლისაა. ამ კორპუსის ბინადარი არა ვარ. აქვე, ბათუმის ქუჩაზე ვცხოვრობ, მაგრამ ამ ხის ამბავი რომ გავიგე, გული მომიკვდა. ძალიან ღრმადაა გაბურღული. ნახეთ, რამდენი ნაჭერი დამჭირდა, რომ ცოტათი მაინც ამომესუფთავებინა, მაგრამ ბენზინის სუნი ვერ გამოვლიე. ახლა ყოველ დღე მოვდივარ და ნაკურთხ წყალს ვასხამ, რომ იქნებ გადავარჩინოთ. ეს ხე არ უნდა გახმეს. ამის გამკეთებელი კი უნდა დაისაჯოს", - გვითხრა ქალბატონმა ბარბარე მჭედლიშვილმა.

დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობაში შეგვპირდნენ, რომ ნაძვის ხეს აუცილებლად მიხედავენ.

**24 საათი**



*"ახლა ყოველ დღე მოვდივარ და ნაკურთხ წყალს ვასხამ, რომ იქნებ გადავარჩინოთ. ეს ხე არ უნდა გახმეს. ამის გამკეთებელი კი უნდა დაისაჯოს"*

ზაზა ფარუაშვილის ფოტო

# საჩუქრები, წყალი და ექსკურსია

*ვიდრე სამაჩაბლოს რეგიონი სამხედრო და პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების ეპიცენტრია, კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ბავშვებს კეჩხობის სანატორიუმი მასპინძლობს. საბრძოლო ოპერაციებს გამორიდებული მოზარდები საომარი მოქმედებების დასრულებასა და სახლში მშვიდობიან დაბრუნებას ელიან. მანამდე კი მათ სრულფასოვან დასვენებას "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" უზრუნველყოფს. გუშინ ბორჯომის კომპანიამ მათ კიდევ ერთი სიურპრიზი მოუწყო. კომპანიის ხელმძღვანელობამ ბავშვებს საჩუქრები და ბორჯომის წყალი ჩაუტანა, შემდეგ კი პატარები ექსკურსიაზეც წაიყვანა.*

მადი სერებრიაკოვა

კეჩხობის სანატორიუმში ამჟამად სამაჩაბლოს რეგიონის მკვიდრი 90 ბავშვი ისვენებს. მათი უმრავლესობა შერეული, ქართული-ოსური ოჯახების წარმომადგენლები არიან. ვანათი, ერედვი, თამარაშენი, ქურთა, ხეითი - ეს მათი სოფლებია, რომლებიც დღემდე კონფლიქტური ზონის ყველაზე ცხელ წერტილებად ითვლება. ბავშვებს, განსაკუთრებით კი მათ მშობლებს, საზეიმო განწყობა არ აქვთ. თითოეული მათგანი საკუთარ სახლსა და ნათესავებს, დარდს ვერ ივიწყებს: **"დასვენებისთვის განწყობა არ გვაქვს,** - აღნიშნავენ ბავშვების მშობლები, რომლებიც მცირეწლოვან შვილებთან ერთად ისვენებენ, - **ჩვენი ნათესავები, მშობლები, ძმები, ქმრები იქ არიან. ჩვენს სახლებში ბომბები ფეთქდება, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს. მადლობა იმ ხალხს, ვინც ასე გულთბილად მიგვიღო და გვიმასპინძლა".**

კეჩხობში დამსვენებელ ბავშვებთან ჩასულ სტუმრებს შორის იყვნენ - ბორჯომის კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი ლევან ბაღდავაძე, კომპანიის სხვა წარმომადგენლები, ასევე, ბორჯომის გამგებელი ვანო გელაშვილი. სამაჩაბლოელი ბავშვები ბლომად ტკბილეულით დაასაჩუქრეს. კეჩხობში მწვავედ დგას სასმელი წყლის პრობლემა. მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ დამსვენებლები "ბორჯომის" წყლითაც უზრუნველყო. აქციის დასასრულს კი ბავშვები და მათი მშობლები ექსკურსიაზე მიიწვიეს. ტიმოთეს უბნის მონასტერი კეჩხობიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს. ისტორიული ეკლესიისა და მამათა მონასტრის დათვალიერებამ ახალი შთაბეჭდილებებითა და დადებითი ემოციებით დამუხტა სახლში დაბრუნების მომლოდინე ბავშვები. კეჩხობში ისინი იმ დრომდე დარჩებიან, ვიდრე სახლში დაბრუნება სრულიად უსაფრთხო არ იქნება. იქამდე კი ბორჯომის კომპანიის წარმომადგენლები მათ კიდევ ბევრ დახმარებას ჰპირდებიან.

# რატომ უნდა შევიძინოთ შეფუთული რძე?



ერთი შეხედვით ყიდვის პროცესი არის რაციონალურ მოტივებზე აგებული ქცევა. თვითოეული მყიდველი, ირჩევს პროდუქტს, საკუთარი პრიორიტეტებიდან გამომდინარე. ეს პრიორიტეტები შეიძლება იყოს ფასი, ხარისხი, პრესტიჟულობა, სანდოობა, წარსული გამოცდილება და მრავალი სხვა. გარდა ამისა, არსებობს სხვა ფაქტორები, რომლებიც დიდი გავლენას ახდენს მყიდველის ქცევაზე. ისეთები, როგორებიც არის სოციალური ჯგუფები, პიროვნული თვისებები, ფსიქოლოგიური ფაქტორები... ამიტომ ყიდვის პროცესის, არჩევანის გაკეთების დროს ხშირად ხდება ირაციონალური გადაწყვეტილების მიღება, თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს იმას რომ მყიველი ცდება.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ, "სკანაგრის" მიერ თბილისში ჩატარებული მომხმარებელთა კვლევის შედეგებს და მის ანლიზს, რომელიც ეხება რძის მიმართ მყიდველების დამოკიდებულებას.

კვლევის მიზანი იყო გამოგვევლინა, რომელი ფაქტორები ახდენს გავლენას მყიდველზე რძის შეძენისას, რატომ და რა ტენდენციები არსებობს მომხმარებლის დამოკიდებულებებში.

თითქმის ყველასათვის ცნობილია, რძის დადებითი თვისებების შესახებ. ის შეიცავს ყველაზე მეტ სასარგებლო ნივთიერებას, ვიდრე ნებისმიერი სხვა პროდუქტი. მისი მიღება აუცილებელია ორგანიზმის მინერალებისა და ვიტამინების დღიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

რძე, ქართული ბაზრისთვის და ქართველი მომხმარებლისთვის ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული პროდუქტია. ამიტომ რძისადმი მოთხოვნები მყიდველის ცნობიერებაში საკმაოდ ნათლად არის ჩამოყალიბებული. ეს მოთხოვნები შემდეგში მდგომარეობს.

რძე უნდა იყოს ნატურალური

დამზადებისას დაცული უნდა იყოს ჰიგიენის და შენახვის პირობები.

**რომელი რძე აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს?**

სკანაგრის მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგების მიხედვით 1999 წელს ქუჩის რძის ბაზრის წილი იყო 90%. 2003 წლისთვის ეს მაჩვენებელი 75% მდე შემცირდა.

იგივე კომპანიის მიერ ჩატარებული ქუჩის რძის ლაბორატორიული ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ რძე ძალიან ხშირ შემთხვევაში გაზავებულია წყლით, დამატებული აქვს *ანტიბიოტიკები ამჟავების საწინააGმდეგოდ*, მისი მომზადებისას არ არის დაცული ელემენტარული ჰიგიენის ნორმები, რის გამოც ის შეიცავს ორგანიზმისათვის მავნებელ ბაქტერიებს. ეს ინფორმაცია გააჩნიათ ქუჩის რძის მომხმარებლებელთა თითმის 50%, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი მაინც ამ ტიპის პროდუქტით სარგებლობენ. რატომ? ეს განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით.

ტრადიციაზე დამყარებული ქცევა: უმრავლეს შემთხვევაში რძის გამყიდველს წლების განმავლობაში აქვს ურთიერთობა მომხმარებელთან. ეს ურთიერთობა, ცილდება გამყიდველსა და მყიდველს შორის ჩვეულებრივ კავშირს. შემოდის პიროვნული სიმპატიების ფაქტორებიც, რაც საბოლოო ჯამში პროექცირდება პროდუქტზე. ქუჩის რძე გაზავებულია წყლით, მაგრამ ეს რძე დააქვთ მეზობელ სადარბაზოში, მეზობელ ეზოში, სხვა ქუჩაზე. "მე ვენდობი ჩემს გამყიდველს." ასე ხსნიან მყიდველები თავიანთ ქცევას. საინტერესოა რომ, როდესაც ხდება რძის შეძენა ბავშვებისათვის, მაშინ იგივე მყიდველების უმრავლესობა არჩევანს ქარხნული რძის სასრგებლოდ აკეთებს. მათივე თქმით ქარხნული წესით დამზადებული პროდუქცია ისხმევა ერთჯერად შეფუთვაში, რაც თავისთავად უსაფრთხოა და საიმედოა ჰიგიენური თვალსაზრისით. შეფუთული რძე დამუშავებისას გადის ისეთ პროცესს, რაც მას მოხმარებისათვის უსაფრთხოს ხდის. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქუჩის რძის მოხმარება, ძირითადად განპირობებული იყო ტრადიციაზე დამყარებული ქცევით, ეკონომიური ფაქტორით და ალტერნატივის არ არსებობით. ჩვენ შევეცადეთ აგვეხსნა, თუ რა რისკთან არის დაკავშირებული ამ ტიპის რძის მოხმარება, რაც შეეხება ეკონომიურ ფაქტორს, რომ ქუჩის რძე იაფაია ქარხნული წესით დამზადებულ რძესთან შედარებით. ქუჩის რძის შეძენისას უნდა ვიცოდეთ, რომ ის შეიცავს ნაკლები რაოდენობით სასრგებლო ვიტამინებს და მინერალს, ვიდრე სრულფასოვანი, მარალი ხარისხის რძე. ამის გამო ორგანიზმი ვერ იღებს საჭირო რაოდენობით სასრგებლო ნივთიერებებს. ასე რომ, მან, ვინც ქუჩის რძეს ფასის გამო მიანიჭა უპირატესობა უნდა იცოდეს, რომ ნაკლები თანხით ყიდულობს ნაკლები ვიტამინისა და გაზრდილი რისკის მქონე პროდუქტს. რაც შეეხება ალტერნატივეს, როგორც აღვნიშნეთ, უკანასკნელი წლებისს განმავლობაში სულ უფრო მეტი მომხმარებელი ყიდულობს ქარხნული წესით დამზადებულ რძეს. მიუხედავდ ამისა, ფართოდ არის გავრცელებული აზრი რომ, ქარხნული რძე დამზადებულია ფხვნილისაგან და ის შეიცავს ქიმიურ დანამატებს, შენახვის ვადის გასაზრდელად. მაშინ რომელი რძე უნდა შევიძონოთ?

**გამოსავალი -- UHT (ულტრა მაღალი ტეპერატურა) რძე**

**UHT -ანუ ულტრა მაღალი ტეპერატურა** წარმოადგენს რძის დამუშავების მოწინავე ტექნოლოგიას, რომელიც სამოციანი წლებიდან ფართოდ გავრცელდა ტრადიციულად რძის მწარმოებელ ისეთ ქვეყნებში როგორიც არის ჰოლანდია, შვეიცარია, გერმანია, სკანდინავიის ქვეყნები, აშშ, კანადა, ავსტრალია და მრავალი სხვა.

ამ ტექმოლოგიით ხდება რძის გაცხელება 137-140გრადუს ცელსიუსამდე 2-4 წამის განმავლობაში და შემდეგ ხდება მისი მომენტალური გაცივება, რაც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად შენარჩუნდეს რძეში არსებული ვიტამინები და მინერალები. ამ პროცესის შედეგად რძეში მთლიანად ნადგურდება არასასურველი ბაქტერიები და რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, არ ხდება კვებითი ღირებულების შემცირება. UHT რძე ვიტამინებსა და მინერალებთან ერთად მაქსიმალურად ინარჩუნებს ნატურალურ გემოს. ამის შემდეგ ხდება რძის დაფასოება ასეპტიკური შეფუთვაში. რას იცავს მას ჰაერისა და სინათლისგან. აღნიშნული ტექნოლოგია იძლევა პროდუქტის ხანგრძლივად შენახვის შესაძლებლობას მაცივრის გარეშე ნებისმიერ ტემპერატურაზე. UHT რძე არ შეიცავს არავითარ ქიმიურ დანამატებს. მისი შენახვის ხანგრძლივობა (გაუხსნელ მდგომარეობაში) 60-90 დღეა.

ქუჩის რძის არსებობა არ არის მხოლოდ ქართული ბაზრისთვის დამახასიათებელი. ამ ტიპის პროდუქტები არსებობს ეკონომიურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. რძის ხარისხის და უსაფრხოების პრობლემა იდგა ევროპის ქვეყნების წინაშეც გასული საუკუნის 30 იან წლებამდე. გავრცელებული იყო ტუბერკულიოზის შემთხვევები, რისი ძირითადი მიზეზიც იყო დაუმუშავენელი რძის მოხმარება. ამის შემდეგ მაგალითად შვედეთში მიღებული იქნა კანონი, რომლის ძალითაც აიკრძალა დაუმუშავებელი რძის გაყიდვა. (ანალოგიური კანონები მიღებული ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაშიც) შედეგად ტუბერკულიოზის შემთხვევები აღარ დაფიქსირებულა. ტუბერკულიოზის პრობლემა საქრთველოშიც ჯერ კიდევ არსებობს, ამიტომ განსაკუთრებით ჩვენთან არის აუცილებელი UHT რძის მოხმარებაზე გადასვლა. მითუმეტეს, რომ ქართულ ბაზარზე უკვე არსებობს ამ ტექნოლოგიით დამზადებული ადგილობრივი რძე.

რძის მრეწველობა, მომხმარებლის დამოკიდებულება მის მიმართ, გარკვეულწილად წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ინდიკატორს. მოთხოვნა მაღალი ხარისხის პროდუქტებზე პირველ რიგში უნდა მოდიოდეს მომხმარებლისაგან. ხოლო თავისუფალი ბაზრის და კონკურენციის პირობებში მწარმოებლები აუცილებლად დააკმაყოფილებენ ამ მოთხოვნას.

**"სკანაგრი-პროექტი საქართველოში"**
**ტელ: 232926**
**www.scanagri.ge**

# ორთაჭალის ციხის ყოფილი უფროსი საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*გუშინ, დილის ცხრა საათზე, გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში, საკუთარ სახლთან ახლოს, ორთაჭალის ციხის ყოფილი უფროსი ჯიმშერ ბაწაშვილი მანქანაში ჩაცხრილეს. მას გვერდზე შვილი, ალეკო ბაწაშვილი ეჯდა, რომელიც სროლის შედეგად მარჯვენა ხელში დაიჭრა.*



ზვიად რუაძის ფოტო

*სოფელ ბაკურციხეში, საკუთარი სახლიდან მანქანით გამოსულ, ორთაჭალის ციხის ყოფილ უფროსს ჯემალ ბაწაშვილს უეცრად თავს ორი ავტომატიანი შეიარაღებული პირი დაესხა და მანქანაში ჩაცხრილა.*

მიუხედავად დიდი მცდელობისა, კახელი სამართალდამცველები რეგიონში კრიმინალური ვითარების გამოსწორებას ვერ ახერხებენ. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ზედიზედ უკვე ორი შემზარავი მკვლელობა მოხდა. გუშინ, დილის ცხრა საათზე, სოფელ ბაკურციხეში, საკუთარი სახლიდან მანქანით გამოსულ, ორთაჭალის ციხის ყოფილ უფროსს ჯემალ ბაწაშვილს უეცრად თავს ორი ავტომატიანი შეიარაღებული პირი დაესხა და მანქანაში ჩაცხრილა. მასთან ერთად მანქანაში შვილი, ალექსანდრე ბაწაშვილი იჯდა, რომელიც სროლისას მსუბუქად დაიჭრა: **"მე და მამა სახლიდან საქმეზე გავდიოდით. უეცრად სროლა ატყდა. ყველაფერი ისე უეცრად მოხდა, რომ გაანალიზებაც ვერ მოვახერხე, გვერდზე რომ მივიხედე, მამა უკვე მკვდარი იყო,"** - ამბობს მკვლელობის თვითმხილველი, ჯიმშერ ბაწაშვილის ვაჟი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯიმშერ ბაწაშვილი მრავალი წელი ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდა. წლების მანძილზე ორთაჭალის ციხის უფროსის თანამდებობა ეკავა, ოთხი წლის წინ პენსიაში გავიდა და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. ამ წლების განმავლობაში, როგორც მისი ოჯახის წევრები აცხადებენ, მასზე არანაირი მუქარა არ ყოფილა: **"მუქარის ზარიც კი არ ყოფილა. ასეც რომ ყოფილიყო, დარწმუნებულები ვართ, რომ საქმე აქამდე არ მივიდოდა,"** - ამბობს ბაწაშვილების რძალი.

მომხდართან დაკავშირებით ოფიციალურ კომენტარს ძალოვანი უწყების არც ერთი წარმომადგენელი არ აკეთებს, თუმცა, კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსს იმედი აქვს, რომ ეს მკვლელობა სხვა დანაშაულებივით არ მიიჩქმალება და დამნაშავე საკადრისად დაისჯება: **"ეს საქმე გაუხსნელი არ დარჩება და დამნაშავეს საკადრისი მიეზღვება. მე ამის პირობას ვიძლევი, კმარა რაც აქ ხდება"**, - ამბობს თეიმურაზ ანჯაფარიძე.

გავრცელებული ვერსიით, ჯიმშერ ბაწაშვილის მკვლელობა მის წარსულ საქმიანობას უკავშირდება. კერძოდ, როგორც ბაკურციხელები ამბობენ, ბაწაშვილს ციხეში ბევრი განაწყენებული პატიმარი ჰყავდა. ამ ვერსიას ნაწილობრივ თეიმურაზ ანჯაფარიძეც ადასტურებს, თუმცა კონკრეტული პასუხისგან თავს იკავებს.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჯიმშერ ბაწაშვილის მეზობლებს უკვე რამდენიმე კვირაა, რაც უბანში ორი უცხო პიროვნება ჰყავთ შემჩნეული. უფრო მეტიც, ერთ-ერთი მეზობელი საეჭვო პირებმა იარაღის მუქარით დააშინეს და გაჩუმება ურჩიეს: **"არ ვიცი, უნდა გითხრათ თუ არა... რამდენიმე დღის წინ ორი, 20-22 წლის ახალგაზრდა გავაჩერე და ვკითხე, ვისი სტუმრები იყვნენ, მათ კი პასუხის ნაცვლად შემიბღვირეს და გაცლა მირჩიეს, ასე დამემუქრნენ, თუ ვინმეს ეტყვი, იცოდე გესვრითო"**, - ამბობს ბაწაშვილის მეზობელი.

ალეკო ბაწაშვილის გარდა, მკვლელობას კიდევ რამდენიმე თვითმხილველი ჰყავს. მათი თქმით, ორი ახალგაზრდა, რომელსაც ხელში იარაღით სავსე წითელი ხელჩანთა ეჭირა, სროლის შემდეგ ტყისკენ მიიმალა. პოლიცია კი მათ მოგვიანებით გამოუდგა.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ციხის ყოფილი უფროსის ერთ-ერთი შვილი, გელა ბაწაშვილი სამხარეო პოლიციის თანამშრომელია. როგორც ანჯაფარიძე აცხადებს, გამორიცხულია, რომ მკვლელობა მის სამსახურებრივ მოვალეობას უკავშირდებოდეს: **"რამდენიმე თვე არც არის, რაც გელამ ჩვენს უწყებაში დაიწყო მუშაობა და შეუძლებელია, ამ ხნის განმვალობაში მტერი გაეჩინა,"** - ამბობს ანჯაფარიძე.

ამჯერად, მომხდართან დაკავშირებით მასალების მოკვლევას გურჯაანის პროკურატურა აწარმოებს. შემთხვევის ადგილიდან კი ამოღებულია "აკაემის" სისტემის ავტომატის მასრები.

# ერთ საქმეზე დაკავებული ოთხივე ყოფილი თანამდებობის პირი თავისუფალია

*სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შემდეგ საპყრობილეს კედლები კიდევ ერთმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა დატოვა. მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ გუშინ, საბაჟო დეპარტამენტის ყოფილ უფროსს ლევან ქისტაურს თითქმის ხუთთვიანი წინასწარი პატიმრობა გაუსვლელობის ხელწერილით შეუცვალა და იგი საპყრობილედან გაათავისუფლა.*

ლევან ქისტაური, რომელიც საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე რევოლუციის შემდეგ დაინიშნა, გენერალურმა პროკურატურამ ძველი, აქციზური მარკების სამსახურის უფროსობის დროინდელი საქმიანობის გამო დააპატიმრა. მასთან ერთად იმავე დღეს და იმავე საქმეზე წინასწარი დაკავების იზოლატორში აღმოჩნდნენ ქისტაურის მაშინდელი მოადგილე გიორგი ბეროზაშვილი და საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ლევან კალანდაძე, მოგვიანებით კი მათი ბედი საგადასახადო დეპარტამენტის იმდროინდელმა უფროსმა იასე ზაუტაშვილმაც გაიზიარა.

აღნიშნული თანამდებობის პირების დაპატიმრების მიზეზი გახდა შპს "იმედის" და მისი უფროსის ლევან კეჟერაშვილის საქმიანობა. კეჟერაშვილი ამჟამადაც მიმალვაშია და მასზე გამოცხადებულია ძებნა. გამოძიების მასალების თანახმად, შპს "იმედის" ანგარიშზე 2002 წლიდან 2003 წლამდე საბაჟო და საგადასახადო სამსახურების თანამდებობის პირების ხელშეწყობითა და სხვადასხვა მაქინაციებით, აქტივის სახით, 900 ათასი ლარი დაირიცხა. ანუ სახელმწიფოს ხელოვნურად დაედო აღნიშნული ფირმის ვალი. მოგვიანებით კი "იმედს", რომელსაც თამბაქოს წარმოებასთან არანაირი შეხება არ ჰქონდა, კანონის დარღვევით, დაახლოებით 5 მილიონი სიგარეტის აქციზური მარკა გადაეცა. ამით ფირმას, რომელსაც "იმედმა" აქციზები მიჰყიდა საშუალება მიეცა, აღურიცხავი სიგარეტი ეწარმოებინა. სწორედ, აღნიშნული ფირმის უკანონო საქმიანობის გამო, დასახელებულ თანამდებობის პირებს ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში წარედგინათ.

გამოძიების მიერ აქამდე დასახელებული თანხის დიდი ნაწილი დაპატიმრებულმა თანამდებობის პირებმა თითქმის გადაიხადეს და თავისუფლებაც სწორედ ამის შემდეგ მიიღეს. გამოძიების მტკიცებით, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალიდან, ანუ 900 ათასი ლარიდან, ყველაზე დიდი წილის - 300 ათასი დოლარის გადახდა რამდენიმე თვის წინ იასე ზაუტაშვილს მოუწია. 50-50 ათასი ლარის სანაცვლოდ მიიღეს თავისუფლება გიორგი ბეროზაშვილმა და ლევან კალანდაძემ, ხოლო გუშინ, ასევე პატიმრობიდან თავის დაღწევის მიზნით 100 ათასი ლარი გადაიხადა ლევან ქისტაურმა.

მართალია, ხუთთვიანი პატიმრობის შემდეგ დასახელებული თანამდებობის პირებიდან დღეს პატიმრობაში არც ერთი მათგანი აღარ იმყოფება, მაგრამ როგორც საქმის გამომძიებელი, გენერალური პროკურატურის უფროსი გამომძიებელი დავით მინაშვილი ირწმუნება, გამოძება კიდევ გრძელდება და არ არის გამორიცხული, რომ ამ საქმეში სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალი კიდევ უფრო გაიზარდოს, რისი გადახდაც ამ, უკვე გათავისუფლებულ, ყოფილ თანამდებობის პირებს მოუწევთ.

*24 საათი*

# იუსტიციის სამინისტრო საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად ევროსასამართლოს დამკვირვებელს იწვევს

როგორც უკვე ცნობილია, სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის, ამჟამად პატიმრობაში მყოფი დავით მირცხულავას ჯანმრთელობით ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო დაინტერესდა და ყოფილი მაღალჩინოსნის სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობა მოითხოვა.

თუმცა, ვიდრე სტრასბურგის სასამართლო მირცხულავას საქმესთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, საქართველოში მისი ადვოკატები, მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაგზავნილ ინფორმაციას სადავოს ხდიან.

სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის ადვოკატის ეკა ბესელიას განცხადებით, მან ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოდან იმ დოკუმენტების ასლები მიიღო, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ სტრასბურგის სასამართლოში გააგზავნა. **"ამ დოკუმენტების თანახმად, მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და იგი საპყრობილეში კარგ პირობებში იმყოფება,"** - განაცხადა ბესელიამ, რომელიც მიიჩნევს, რომ აღნიშნული ინფორმაცია სიცრუეა.

მირცხულავას დაცვის მხარე 31 აგვისტომდე სტრასბურგში საქართველოს ხელისუფლების მიერ გადაგზავნილი მასალების კომენტარების და მისი დაცვის ქვეშ მყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაციის გაგზავნას გეგმავს. ბესელიას განმარტებით, სასამართლოს ისიც ეცნობება, რომ მირცხულავას მკურნალობის ხარჯებს (სასწრაფო დახმარება, მედიკამენტები) მისი ოჯახის წევრები ფარავენ, მაშინ, როცა ამას იუსტიციის სამინისტრო უნდა უზრუნველყოფდეს.

დავით მირცხულავას ადვოკატის ინფორმაციით, ექსმინისტრი თბილისის N7 საპყრობილეში იმყოფება. არადა, სტრასბურგის სასამართლოს რეკომენდაციით, იგი 16 აგვისტომდე სამკურნალო დაწესებულებაში უნდა გადაეყვანათ, რაც დღემდე არ შესრულებულა.

ადვოკატის მიერ გავრცელებული ინფორმაციის საპირისპირო ცნობებს ავრცელებს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

**"იუსტიციის სამინისტრო აცხადებს, რომ სამედიცინო დეპარტამენტის დასკვნით, რომელიც შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო კონსილიუმის დასკვნას ემყარება, სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა სტაციონარულ მკურნალობას არ საჭიროებს და მისი მკურნალობა შესაძლებელია ამბოლატორიულ პირობებში,"** - აღნიშნულია პრესსამსახურის პრესრელიზში.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა მტკიცებით, ევროსასამართლოდან მიღებულ სარეკომენდაციო წერილში დაკონკრეტებული არ ყოფილა, რომ მირცხულავა აუცილებლად მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში უნდა გადაეყვანათ.

მათივე ინფორმაციით, მირცხულავა 24 ივნისს თბილისის №7 საპყრობილის სამედიცინო ნაწილის სუფთა, ფანჯრიან ოთახში გადაიყვანეს, სადაც მას აქვს ტელევიზორი, მაცივარი, წყალი და ყველა საჭირო პირობა ნორმალური ცხოვრებისათვის.

როგორც პრესრელიზშია დაფიქსირებული, **"მირცხულავა არასოდეს ყოფილა №7 დაწესებულების №12 საკანში, როგორც ამას ადვოკატი ამტკიცებს"**.

იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ ექსმინისტრი ნორმალურ პირობებშია, ევროსასამართლოდან მიღებული წერილის შემდეგ თბილისის №1 საპყრობილის სამედიცინო ნაწილში გადაყვანა შესთავაზეს, რაზეც მან უარი განაცხადა.

**"იუსტიციის სამინისტრომ ევროსასამართლოს შესთავაზა, მირცხულავას ადგილსამყოფელი მათი ნდობით აღჭურვილმა პირმა მოინახულოს,"** - აღნიშნულია პრესრელიზში.

*24 საათი*

კოდი 04-ლ-01

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

### ა ც ხ ა დ ე ბ ს   კ ო ნ კ უ რ ს ს

### სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემაზე

**კონკურსის საფუძველი:**

კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის ლიტერატურის განვითარების და ჟურნალ-გაზეთების გამოცემათა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაის სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს და დააფინანსოს ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები 2004 წლის ბოლომდე. კონკურსის ამოცანაა სტიმულირება გაუწიოს ახალი ნაწარმოებების შექმნას, თარგმნას და გამოქვეყნებას, გაზარდოს საზოგადოების ინტერესი ლიტერატურის მიმართ და დააკმაყოფილოს მკითხველის მოთხოვნილება თანამედროვე და მაღალმხატვრული კრიტერიუმების შესაბამისი სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემაზე.

**კონკურსის პირობები**:

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ლიტერატურის განვითარების და ჟურნალ-გაზეთების გამოცემათა ხელშეწყობის 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის მიზნებს და შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში გამომავალ ნებისმიერ სალიტერატურო პერიოდულ ორგანოს (ჟურნალი, გაზეთი), ლიტერატურული და საგამომცემლო მოღვაწეობით დაკავებულ კერ`ძო და იურიდიულ პირებს და საინიციატივო ჯგუფებს.Mმონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ უნდა იქნას ჟურნალის (გაზეთის) გამოცემის გეგმა 2004 წლის ბოლომდე.

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 12 000 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ვადები:**

**პროექტის სამინისტროში განსახილველად წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქN4*
*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო*
*ხელოვნების დეპარტამენტი*
***ინფორმაციისათვის დარეკეთ:***
*ტელ. 99 03 06*

*მოკლედ*

## ნოდარ ჯავახიშვილი პატიმრობაში დატოვეს

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, ყოფილი პარლამენტარი ნოდარ ჯავახიშვილი თბილისის საოლქო სასამართლომ წინასწარ პატიმრობაში დატოვა.

სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჯავახიშვილის ადვოკატების მოთხოვნა, რომელიც 13 აგვისტოს კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მიერ ჯავახიშვილის პატიმრობის სანქციის გაუქმებას შეეხებოდა.

როგორც ცნობილია, ჯავახიშვილს 2000 წლის 5 ოქტომბერს მომხდარი ავტოავარიის გამო ედავებიან, რასაც საქართველოს მოქალაქის, ეროვნებით გერმანელი ალბერ ფერნგერის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ამ ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, იმის გამო, რომ ჯავახიშვილს პარლამენტარის იმუნიტეტი იცავდა, შეჩერებული იყო და ცხრა თვის წინათ განახლდა.

ნოდარ ჯავახიშვილის ადვოკატის დავით ნიშნიანიძის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს გამოძიება ედავება გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში, რაც წინასწარი პატიმრობის შეფარდებას არ ითვალისწინებს. გარდა ამისა, ყოფილი პარლამენტარი, იმუნიტეტის მიუხედავად, გამოძიებასთან თანამშრომლობდა და მისი მიმალვის საშიშროება, რის გამოც პატიმრობა შეეფარდა, არ არსებობდა.

*მედია-ნიუსი*

## გატაცებული გალელი მოკლული იპოვეს

გუშინ გალის რაიონის სოფელ მუხურში, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გალის რაიონის სოფელ სიდადან ერთი თვის წინ გატაცებული ბიჭიკო ალფენიძის გვამი იპოვეს.

საქართველოს ხელისუფლებას დაქვემდებარებული აფხაზეთის უშიშროების მინისტრის მოადგილის ბადრი დგებუაძის ინფორმაციით, გარდაცვლილის ცხედართან, მასთან ერთად გატაცებული მისი მეუღლეც იპოვეს, რომელიც სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად გალის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

დგებუაძის ინფორმაციით, გალის რაიონის სოფელ სიდაში მცხოვრები ცოლ-ქმარი ალფენიძეები ფულის გამოძალვის მიზნით, ერთი თვის წინ აფხაზურმა კრიმინალურმა ჯგუფმა გაიტაცა. გამტაცებლები ალფენიძეების ნათესავებს ცოლ-ქმრის გასათავისუფლებლად საკმაოდ დიდ თანხას სთხოვდნენ.

*ინტერ-პრესი*

## ერგნეთის ბაზრობის დახურვის შემდეგ კონტრაბანდა კვლავ ფიქსირდება

როგორც ცნობილია, ერგნეთის ბაზრობა საქართველოსთვის ეკონომიკური დივერსიის ტოლფასი იყო. მისი გაუქმებით საქართველომ კონტრაბანდის დიდი გზა ჩაკეტა და მას მერე შემოსავლებიც, კერძო ჯიბეების ნაცვლად, საქართველოს ბიუჯეტში ხვდება.

"ბაზრობის გაუქმების შემდეგ, რა თქმა უნდა, კვლავ იყო შემოვლითი ბილიკებით აღურიცხავი პროდუქციის შემოტანის მცდელობა, თუმცა ფინანსური პოლიციის ოპერატიული სამსახურის თანამშრომელთა წყალობით, ყველა ფაქტი აღკვეთილია.

მაგალითად, ერგნეთის ბაზრობის გაუქმების შემდეგ, ამავე ტერიტორიიდან კონტრაბანდული და აღურიცხავი პროდუქციის შემოტანის 110 ფაქტი დაფიქსირდა.

ჯარიმის სახით სხვადასხვა პირებზე დარიცხულია და მათ მიერ ბიუჯეტში უკვე გადახდილია, დაახლოებით, ნახევარი მილიონი ლარი. ცხინვალიდან შემოდიოდა ნავთობპროდუქტები, სიგარეტი, სასმელები, საკვები პროდუქტები და სხვადასხვა დასახელების სამრეწველო საქონელი. კონტრაბანდული წესით პროდუქციის შემოტანის ფაქტები მას მერეც დაფიქსირდა, რაც ცხინვალთან ურთიერთობა მკვეთრად დაიძაბა. მხოლოდ ამ პერიოდში ფინანსურ პოლიციას სამართალდარღვევის 30 ფაქტი აქვს გამოვლენილი", - აცხადებს ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის უფროსი ალუდა ჯოხაძე.

*მედია-ნიუსი*

# ქართველ მეცნიერთა ჯგუფის ღია წერილი

**საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს,**

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს,**

**საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ჟვანიას.**

ამ წერილის დაწერის საბაბი მეცნიერებათა აკდემიის ფორუმის საინიციატივო ჯგუფის მიერ შემუშავებული კანონპროექტის "*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ*" პირველადი ვარიანტია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რეფორმების სამუშაო ჯგუფმა ეს დოკუმენტი საფუძვლად დაუდო თავის მოღვაწეობას, რომელიც მიზნად ისახავს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებისა და ზოგადად მეცნიერების განვითარების პერსპექტიული გეგმის შექმნას. ამ დოკუმენტმა ჩვენი შეშფოთება გამოიწვია და სერიოზული კრიტიკული შენიშვნები გაგვიჩინა.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, მკაფიოდ გავმიჯნოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, როგორც აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების ერთობლიობა და მეცნიერთა ის ძირითადი მასა, რომელიც მუშაობს აკადემიის ინსტიტუტებში. ამ წერილში "მეცნიერებათა აკადემიას" ვუწოდებთ მხოლოდ აკადემიის წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების ერთობლიობას.

ფაქტია, რომ ამჟამად აქტიურად მომუშავე და საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე ქართველ მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობა არ არის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. მიგვაჩნია, რომ მომავალი რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სწორედ ამ მეცნიერთა ხელშეწყობა უნდა იყოს. საქართველოში, წლების მანძილზე, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი კეთდებოდა მეცნიერების განვითარებისთვის. ამ მიზეზით დღეს ქართველ მეცნიერთა დიდი ნაწილი იძულებულია, უცხოეთში იმუშაოს. ცხადია, რომ მეცნიერების რეფორმის პროექტის შექმნასა და განხორციელებაში უნდა მონაწილებდნენ, როგორც საქართველოში ასევე უცხოეთში აქტიურად მომუშავე ქართველი მეცნიერები.

კანონპროექტი "*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ*", ჩვენი აზრით, ჯეროვნად არ ითვალისწინებს ამ გარემოებას. მაგალითად, ჩვენი ყურადღება მიიქცია მეათე მუხლმა, სადაც საუბარია *აკადემიის ასამბლეის* დაკომპლექტების წესზე. ავტორები გვთავაზობენ შემდეგ სქემას: ასამბლეის წევრთა ნახევარი (135 წევრი) ავტომატურად (ყოველგვარი არჩევითობის გარეშე!) შეივსება აკადემიის ამჟამინდელი წევრებით და წევრ-კორესპონდენტებით. ასამბლეის მეორე ნახევარს კი "შეადგენენ აკადემიის სამეცნიერო ერთეულების მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩეული სამეცნიერო ხარისხის მქონე წარმომადგენლები." ამდენად მივიღებთ 270 წევრისგან შემდგარ ორგანოს, რომელშიც "პირველი" და "მეორე" ნახევრები სრულიად ასიმეტრიული გზით მოხვდებიან. ეს ნამდვილად ვერ ჩაითვლება ასეთი მნიშვნელოვანი ორგანოს შედგენის "დემოკრატიულ" მეთოდად. ვფიქრობთ, რომ ამგვარი მრავალრიცხოვანი საკრებულო ვერ იქნება ქმედითი და ეფექტური, ძნელად თუ შეძლებს იტვირთოს რეფორმისტული მისია.

ფუნდამენტურ მეცნიერებებში შეიძლება გამოიყოს სამი მიმართულება: (1) ჰუმანიტარული, (2) საზოგადოებრივი და (3) საბუნებისმეტყველო. ამ მიმართულებების სპეციფიკა იმდენად განსხვავებულია ერთმანეთისგან, რომ უმჯობესია რეფორმაზე იმუშაოს სპეციალისტების სამმა ჯგუფმა. ჩვენი წერილი ეხება მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მართვის რეორგანიზაციას.

ჩვენი აზრით, მეცნიერებათა აკადემია როგორც ადმინისტრაციული ორგანო, უნდა ჩამოშორდეს მეცნიერების მართვის პროცესს და გარდაიქმნას მეცნიერთა ერთ-ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციად. უნდა შეიქმნას მმართველობის ისეთი სისტემა, რომელშიც ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება მკვლევარი მეცნიერის მხრიდან იქნება გარკვეული დათმობა: თანამდებობა ასეთ შემთხვევაში იქცევა დროებით, საპასუხისგებლო ტვირთად და არა პრივილეგიად, როგორც ეს დღეს ჩვენთან არის მიღებული.

ბოლო ხანებში გავრცელდა აზრი, რომ შიდააკადემიური საკადრო ცვლილებებითა და აკადემიის ხელმძღვანელობის გადახალისებით შესაძლებელია ქართულ მეცნიერებაში დღეს არსებული პრობლემების გადაწყვეტა. ჩვენი აზრით, მეცნიერების გადარჩენა და განვითარება მხოლოდ ძირეული რეფორმის გზითაა შესაძლებელი, რომელსაც კანონპროექტი "*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ*" არ ითვალისწინებს. მხოლოდ ხელმძღვანელი პირების შეცვლა ვერავითარ დადებით შედეგს ვერ მოუტანს ქართულ მეცნიერებას. ვიმეორებთ, საჭიროა **სისტემური, ძირეული რეფორმა.** რეფორმის პროექტის შედგენაში უპირველეს ყოვლისა უნდა მონაწილეობდნენ აქტიურად მომუშავე მეცნიერები: ისინი, ვისაც ბოლო წლებში გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომები მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. ლოგიკურია, რომ ხელისუფლება სწორედ მათ გამოცდილებასა და რეკომენდაციებს უნდა დაეყრდნოს რეფორმის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისას.

ჩვენი აზრით რეფორმა უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ პრინციპებს:

**1.** დროა დასრულდეს აკადემიის ჰეგემონია საქართველოს მეცნიერების მართვის საქმეში. საბჭოთა სინამდვილეში აკადემიას თავისი როლი და ფუნქცია გააჩნდა სამეცნიერო ცხოვრებაში. დღევანდელი სინამდვილე სულ სხვაა, სსრკ-ს დაშლიდან ათწლეულზე მეტია გასული და ალბათ დროა (დაგვიანებულიც კი არის) გავაცნობიეროთ, რომ მიზანშეწონილია მეცნიერებათა აკადემია ჩამოშორდეს მეცნიერების მართვის პროცესს და გარდაიქმნას მეცნიერთა ერთ-ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციად. ამ ორგანიზაციის შიდა მოწყობის წესი, რასაკვირველია, მისი წევრების გადასაწყვეტია, მაგრამ ამ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია იყოს "მეცნიერების ზესამინისტრო".

**2.** საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს **"მეცნიერების ნაციონალური ფონდი."** აქ "ველოსიპედის გამოგონება" არ არის საჭირო, საკმარისია ვნახოთ როგორაა ორგანიზებული ასეთი ფონდები იმ ქვეყნებში, სადაც მეცნიერების სახელმწიფოებრივი განვითარების პროგრამები ეფექტურად მუშაობს (მაგალითად, აშშ, ბელგია, პოლონეთი და ა.შ.) და ანალოგიური სისტემა ჩვენთანაც დავნერგოთ. მეცნიერების ნაციონალური ფონდი უნდა იყოს შუალედური რგოლი სახელმწიფოსა და მეცნიერებს შორის. მან უნდა გაანაწილოს ბიუჯეტიდან მეცნიერების განვითარებისთვის გამოყოფილი სახსრები დემოკრატიული, გამჭვირვალე და საკონკურსო (საერთაშორისო რეფერირების ჩათვლით) პრინციპების საფუძველზე. ფონდის მმართველი ორგანო უნდა შედგებოდეს ორი ნაწილისაგან: სახელმწიფოს მიერ დანიშნული მოხელეებისა და მეცნიერების მიერ თავისივე წრიდან დემოკრატიულად არჩეული პირებისაგან. ერთი ნაწილი უნდა მართავდეს ფინანსურ, ხოლო მეორე - სამეცნიერო პოლიტიკას.

**3.** ცალკეულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში არსებითად მიგვაჩნია მართვის პრინციპების რეალური (და არა კოსმეტიკური) დემოკრატიზაცია და მათი ავტონომიის თვისობრივი გაძლიერება. სამეცნიერო ინსტიტუტებს უნდა მიეცეთ საშუალება თავად აირჩიონ შესაბამისი თანამდებობის პირები, "ზემდგომი ორგანოების" მიერ ამ არჩევნების შედეგების დამტკიცების გარეშე. ნიშანდობლივია, რომ კანონპროექტი "*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ*" კვლავ გულისხმობს ინსტიტუტების თანამდებობის პირების არჩევასა და დანიშვნას მეცნიერებათა აკადემიის მიერ რაც მართვის ავტორიტარული სისტემის გადმონაშთია. ასევე არსებითად მიგვაჩნია მართვის პრინციპების დემოკრატიზაცია. ჩვენი წინადადებაა (ცხადია, თუ ამას გაიზიარებს მეცნიერთა უმეტესობა ამა თუ იმ ინსტიტუტში) სამეცნიერო დაწესებულება მართოს რამდენიმე (მაგალითად ხუთი) წევრისგან შემდგარმა "დირექტორატმა", რომელსაც ინსტიტუტის თანამშრომლები აირჩევენ დემოკრატიული, პირდაპირი არჩევნების გზით. დირექტორატის წევრები კოლეგიალურობის პრინციპებით განახორციელებენ ინსტიტუტის მართვას. თითოეული მათგანი ხანმოკლე და მკაცრად განსაზღვრული დროის განმავლობაში (მაგალითად ერთწლიანი ვადით) რიგრიგობით შეასრულებს "მოქმედი დირექტორის" ფუნქციას. ასეთი როტაციული სისტემის ფარგლებში დირექტორატის წევრობა და დირექტორობა დაკარგავს პრივილეგიის სტატუსს, და საპასუხისმგებლო მოვალეობად იქცევა მათთვის, ვინც იტვირთებს ამ საქმეს და ისარგებლებს კოლეგების ნდობითა და მხარდაჭერით. ასეთი მოდელი მოსპობს ადმინისტრაციულ კარიერიზმს, რომელიც მეცნიერების განვითარების ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად გვესახება.

4. უმნიშვნელოვანესია ასაკოვანი მეცნიერების საპენსიო უზრუნველყოფა მათი ღვაწლისა და ღირსების შესაბამისად. აქ ასევე აუცილებელია დემოკრატიული და ნათელი კრიტერიუმების შემოღება და დაცვა. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა იღონოს ღვაწლმოსილ მეცნიერთათვის მათი ადამიანური და პროფესიული ღირსების შესაფერისი პირობების შექმნისათვის. გარდა ამისა, თავისი წვლილი ამ საქმეში უნდა შეიტანონ ცალეკულმა ინსტიტუტებმა, მათი კუთვნილი სახსრების საფუძველზე და მეცნიერების ნაცონალურმა ფონდმა მის მიერ განხორციელებული სპეციალური მიზნობრივი სოციალური პროგრამის ფარგლებში.

5. მეცნიერების განვითარებისათვის აუცილებელია ახალგაზრდა მეცნიერთა დახმარების კონკრეტული და ქმედითი მექანიზმების დანერგვა. მეცნიერების ნაციონალური ფონდი უნდა ახორციელებდეს სპეციალურ პროგრამას, რომლის მიზანი იქნება ასპირანტებისა და "PostDoc"-ებისათვის დროებითი სამუშაო ადგილების შექმნა, დაფინანსება, მათი დაკავებისთვის ნაციონალური კონკურსების ჩატარება და გამარჯვებული კანდიდატებისთვის სწავლისა და მუშაობის პირობების ორგანიზება.

იმედია, ჩვენი მოსაზრებები სასარგებლო იქნება ხელისუფლებისთვის მეცნიერების რეფორმის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

*თეიმურაზ ზაქარაშვილი*
*თინათინ კახნიაშვილი*
*გიორგი მაჩაბელი*
*გიორგი მელიქიძე*
*ალექსანდრე ნერსესიანი*
*ანდრია როგავა*
*გრიგოლ ღოღობერიძე*
*დავით შაფაქიძე*
*ბიძინა შერგელაშვილი*
*დევი ცხაკაია*
*დავით ხეჩინაშვილი*
*რამაზ ხომერიკი*

# დაგვიანებული პასუხი ომბუდსმენ ლადარიას

მანამ, სანამ ნოდარ ლადარიას სათაურვერშერჩეულ წერილზე (გაზეთი "24 საათი", 22 ივლისი. 2004, №175) ვისაუბრებდეთ, უფალს პატიებას შევსთხოვ, რომ ამისთანა ავის მოჩემარ ადამიანს ვეპასუხები. შემინდე, უფალო, განა არ ვიცი: "ნუ განსჯით, რათა არ განისაჯოთ" (მათე 7,1-8), ან კიდევ: "აცხოვნე, უფალო, და შეიწყალენ მოძულენი და მაჭირვებელნი ჩემნი...", მაგრამ ნოდარ ლადარიას დარ გულღრძო ადამიანს "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, თანაც ვითომცდა ხელისუფლების მხარდამჭერს, სინამდვილეში კი მისი პოლიტიკის მოწინააღმდეგეს, არ შევხვედრივარ ჯერ და იმისთვის, რომ რიგ საკითხებში გაუცნობიერებელ ადამიანებს, მით უფრო ახალგაზრდებს, მისმა ნაბჟუტურევმა შეხედულება არ გაუმრუდოს, იძულებული ვარ შევეპასუხო.

უპირველესად გაზეთ "24 საათის" რედაქციისა და მისი რედაქტორის ქმედებამ თუ უმოქმედობამ გამაკვირვა, გაზეთი, რომელიც აღიარებულია ხელისუფლების ორგანოდ, ბეჭდავს პრეზიდენტისა და სახელმწიფოს პოლიტიკის გამქილიკებელ წერილს, ეს ერთი. მეორე, ასეთი სუსტი ჭკუა-გონების, ომბუდსმენია თუ დამსმენ-მოთვალთვალე, არ უნდა ჰყავდეს ასეთ სახელგანთქმულ გაზეთს, რომლის წვალებითა და ჭინთვა-გრეხვით დაწერილი, არ ვიცი, როგორი ჟანრის წერილს, დაუფიქრებლად შეიძლება "არაფრობა" ეწოდოს.

ჩასაფრებული და ცუდის მაძებარი კაცი რომაა ლადარია, ამას წყალი არ გაუვა, თანაც დამწყები, უნიჭო მწერალივით იხრჩობა და არ იცის, რისი თქმა უნდა და ამდენს რისთვის წვალობს.

ძვირფასო მკითხველო, ლადარიას წერილი, "არაფრობა" რომ შევურჩიეთ სათაურად, კულტურაზე "ფიქრითა და დარდით" იწყება. ვერც მე და, იმედია, ვერც თქვენ ვერ გაიგებდით, კულტურისა და კულტურის მოღვაწეთა ხსენებითა და სიტყვების რახარუხით რისი თქმა უნდოდა ამ ცნობილი გაზეთის ომბუდსმენს, პოლიტოლოგს, პუბლიცისტსა თუ, რა ვიცი, კიდევ რა პროფესიისა და შესაძლებლობის პიროვნებას, მაგრამ ეს არაა მთავარი.

კულტურაზე დაწერს ლადარია თუ სიყვარულზე, ეგ რა ჩვენი საქმეა. აძლევენ კაცს საშუალებას და უბერავს თავისებურად. მე და ჩემნაირად შეურაცხყოფილ მრავალ ადამიანს კი გვაინტერესებს: ვის გულისხმობს "გარეწრებში" ეგ ყაყლაჩა და ბენტერა ომბუდსმენი და რატომ აძლევს თავს იმის უფლებას, რომ საქართველოზე თავდადებულ, მამულისთვის, კანონიერებისთვის ნატანჯ-ნაგვემ ადამიანებს მიმართოს ისეთი უშვერი სიტყვებით, როგორითაც მხოლოდ მისი და მისთანების მოკითხვა იქნება სწორი და უპრიანი.

შინაგანმა უარყოფითმა ემოციამ იმის წინააღმდეგ გაალაშქრინა ლადარიას, რომელმაც უნდა გააერთიანოს და გადაარჩინოს მთელი ერი. გარეშე იმპერიული ძალები მუდამ ლადარიას დარ რენეგატებთან და ავყია პოლიტიკოსებთან პოულობდნენ საერთო ენასა და დასაყრდენს. აბა, ნორმალური ადამიანი, უფრო სწორად, სამშობლოს ხვალინდელ დღეზე მოფიქრალი პიროვნება იტყვის იმას, რომ ეროვნული თანხმობის მისაღწევად გადადგმული ნაბიჯი შეცდომა იყოო?!

რაც ყველაზე მეტად ჩვენს ქვეყანას უჭირდა და აწუხებდა, და რაც გარეშე ძალისგან იყო თავს მოხვეული, მიმართული გახლდათ ერის დაყოფა-დაქუცმაცებისკენ, რომელსაც ჩვენმა მტერმა კანონიერი ხელისუფლების დამხობითა და უკანონობის, ქაოსის დამკვიდრებით მიაღწია. მღვრიე წყალში თევზების ჭერა ადვილი რომაა, იცის გამოცდილმა ლადარიამ, ვითომ მრავლისმთქმელი იერსახით რომ გადმოგვცქერის გაზეთის ფურცლებიდან.

**"... რამდენიმე თვის წინ სწორედ ამ იაფად ნაყიდი გარეწრების წარმომადგენლებთან გავმართეთ პომპეზური "შერიგება" ქაშუეთის ტაძარში, შევარჩინეთ ყველაფერი და აღარ ვიხსენებთ, რას ჰგავდა იმ ავადსახსენებელ წლებში ქართული პრესა და ტელევიზია, რა მარაზმი სუფევდა ქვეყნის მართვაში, ვინ იტანჯებოდა უსამართლო რეპრესიების გამო და ვის ისტერიულ კაპრიზებს გადაურჩა სრულიად საქართველო."** (ხაზგასმა ჩემია, - ლ.გ.).

მკითხველთან ბოდიშს მოვიხდი, პირს (გრამატიკულს) შევიცვლი და პირდაპირ მივმართავ ლადარია ომბუდსმენს: კი, მაგრამ, შე მართლაცდა ღმერთგამწყრალო ავყიავ, "გავმართეთო", - მრავლობითში რომ წერ და შენი თავიც რომ შეგყავს ამ უდიდესი საქმის ორგანიზატორთა და მხარდამჭერთა რიგებში, რომელი გამოჩენილი პოლიტიკური ან საზოგადო მოღვაწე შენ მყავხარ, ვის დაეკარგე, ვის გაუჩნდი, ვინ გეკითხებოდა და ვინ დაგეკითხება საერთოდ - ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი რას გააკეთებენ, ახლად წვერშეღინღლული, მოარშიყე ბიჭუნასავით რომ აცუნდრუკებულხარ, გამოგიშვერია ფეხი და დამჭედეთ მეცო, რომ გაიძახი?!

ყველაფერი კარგად იცი შენ, ლადარიავ, და შეგნებულად, მიზანმიმართულად ურევ ვიღაც ფურთხიებს ეროვნული ხელისუფლების ლიდერებთან და მათ მხარდამჭერებთან. ეს ყოველივე იმ ქვეყნისთვის სასიცოცხლო პროცესის - ეროვნული თანხმობის, ერის საბოლოო კონსოლიდაციის წინააღმდეგაა მიმართული და რომ იცოდე, ის ფურთხიები, შენ და შენისთანები, ერთ საქმეს აკეთებთ, ერთად უთხრით ძირს ქვეყნის სახელმწიფოებრიობას.

ჩვენს ხელისუფლებას, მართლაცდა არ გადაუდგამს სახელმწიფოებრივად უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ვიდრე ეროვნული თანხმობის იდეის სახელმწიფოებრივ დონეზე აყვანა და ამისათვის პირველი ნაბიჯების გადადგმაა. ჯერ, ძალიან ბევრია გასაკეთებელი, წინ უდიდესი ბრძოლები და წინააღმდეგობები გველოდება, რადგან შენი დარი ყლარტაყლურტა პოლიტიკანები ჯერაც დაიარებიან ამ მართლაცდა ღალატითა და ორგულობით ქანცგამოცლილ ქვეყანაში.

ლადარია ჩემო, ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათ მომხრეებსა და მხარდამჭერებს ბატონ გურამ აბსანძის ხელმძღვანელობით, შენი და შენი დარი ამხანაგების მსგავსად გულნამცეცობა არ გამოუჩენიათ, ქვეყანას, ერს კრიჭაში არ ჩასდგომიან და მოჩემარი ადამიანის პოზიცია არ დაუკავებიათ. მრავალგზისი უსამართლო და არაადამიანური ტანჯვა-წამების მიუხედავად, ხელი გაუწოდეს სრულიად საქართველოს, მათ, ვისაც ჯერაც შერჩენიათ უნარი და შინაგანი ძალა ქვეყნის ინტერესების წინა პლანზე წამოწევისა, მონანიებისა და ბოროტებაზე წინ სიკეთის, სიყვარულის დაყენებისა. მაგრამ შენისთანებზეა ზედგამოჭრილად ნათქვამი: "არ გათეთრდების ყორანი..."

"ვინ იტანჯებოდა უსამართლო რეპრესიების გამოო" (ხაზგასმა ჩემია - ლ.შ.), რომ წერ, ეშმაკს შეფიცულო თითლიბაზო, რა ისეთ სამუცლავს ელოდები გასამრჯელოდ, თუ მართლა შინაგანი სიმყრალე ვერ დაგიოკებია და ანთხევ გულისამრევ სიბინძურეს?

ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის რიგებში, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა შემადგენლობაში იშვიათად შეხვდებით ადამიანს, რომელიც ციხეებსა და ჯურღმულებში არ იყოს გამონამწყვდევი და მოუშუშებელი დაღი არ დასმოდეს სულსა და სხეულზე!

"Их надо смешать сдерьмом". - ეს რომ წავიკითხე, უცებ ისე ავღელდი, რომ მინდოდა მეცემა შენთვის, ლადარიავ ჩემო, რომელიც მართლაც არ გამიჭირდებოდა, მაგრამ დოსტოევსკის ცნობილი გმირის სოლოვიევის ნათქვამი გამახსენდა: "არ დაარტყა გიჟს, სულელს, ის თავის თავს ურტყამს, ამიტომაც არიან ამდენი დარტყმულები..."

დარტყმულო ლადარიავ, რომ დაგიღია თაღარივით პირი და იძახი: "რას გავდა ქართული პრესა და ტელევიზიაო", შე მართლა ულმერთოვ და უყველაფროვ, ნახევარ წელიწადში როგორ უნდა მოესწრო კანონიერ ხელისუფლებას ის, რასაც თორმეტი წელიწადია ვერ მიაღწიეთ შენ და შენისთანა "გამოჩენილმა და დიდმა" პრესის მუშაკებმა?!

შენი და შენისთანა უზღაპრულესი სიმახინჯის (სულიერს ვგულისხმობ) ვაიქართველების დამსახურებაა ის, რომ ქვეყანაში დიდი ზარ-ზეიმით დაწყებული თანხმობის პროცესი ფერხდება და, ამასთანავე, საომარ მდგომარეობამდე რომ ვართ მისულები.

ეროვნული თანხმობის პროცესს ხიდი უნდა გაედო - ოსებსა და ქართველებს, აფხაზებსა და ქართველებს, თვით ქართველებსა და ქართველებს შორისაც. თანხმობის პროცესი თითოეული ქართველის და საქართველოს არაქართველი მოქალაქის უპირველესად საკეთებელი საქმე უნდა გამხდარიყო, მაგრამ შენ და შენისთანები ძალისხმევას არ იშურებთ იმისათვის, რომ ყველაფერი ის, რაც სამომავლოა - ჩაიშალოს, დაიბლოკოს...

შენ, ჩემო ლადარიავ, ისე გაუტიე, რომ შენი "ბრძნულმეტყველებით" ჩირქი მოსცხე ერის საუკეთესო ნაწილს, რომელშიც არა მარტო შენს მიერ "გარეწრებად" ნაგულისხმევი დიდი მამულიშვილები, არამედ ქვეყნის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, კათოლიკოს-პატრიარქი და კიდევ ის ადამიანები შედიან, რომლებიც, შენგან განსხვავებით, ფრანცისკო ასიზელის სიტყვების - "უფალო, მექმენ შემწედ და მომეც უნარი ვემსახურო სიმშვიდეს შენსას, სადაც სიძულვილი მძვინვარებს - სიყვარული მათესინე!.." - შესაბამისად ცხოვრობენ.

მე კი ჩემდათავად დავძენ: უფალო, შემინდე ყველაფრისათვის, მომეცი ძალი მერმისისთვის, ჩუმღიმილით შევხვდე ისეთი ტყლარჭია და სიტყვაუნაყოფო ადამიანების ბოდვა-ბოდიალს, როგორიც მონა შურისა ნოდარ ლადარიაა! ვიცი, განა არ ვიცი, რომ "დავბადებულვარ იმისთვის, რომ მიყვარდეს და არა იმისთვის, რომ მძულდეს" (ანტიგონე), მაგრამ მოდი და შეიყვარე ახლა ლადარია! "არა, რა გაჭირვებაა, თვარა კი!.."

*ლაშა გვასალია*

საჩუქრის ახალი ფორმა! გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991


უპონტო
"PONTO"

ფესტივალის პროგრამის
ყოველი დილა, 11 საათზე
"პახმელია შოუთი" იწყება.
B6

ძველი
არისტოკრატი

9 ოქტომბერს
ქაუნთ ბეისის დღე დაერქმევა.
B7

არშემდგარი
სენსაცია

ამბავი "ბითლზის" ნივთებით სავსე
ჩანთის აღმოჩენის შესახებ,
არ გამართლდა.
B8

ოლიმპიური თამაშების ისტორიიდან

# მადლობა ბაბუა ჰიტლერს ოლიმპიური ჩირაღდნისა და რგოლებისთვის


*პირველი ოლიმპიური ჩირაღდანი.*


*ოლიმპიური რგოლები და ცეცხლი ჰიტლერის იდეოლოგების დანერგილია.*

მელორ სტურუა
*საქ. კორ. აშშ*

ოლიმპიური ჩირაღდანი, რომელიც ჩემპიონმა ნიკას კაკლამანიკისმა 13 აგვისტოს ოლიმპიურ სტადიონზე აიტანა ათენში, 25 მარტს დაინთო ოლიმპიის მზის სხივებით; იმოგზაურა 46.800 მილი ჩვენი პლანეტის პარალელებსა და მერიდიანებზე და 26 ქვეყანა მოიარა. მტკიცედ გვარწმუნებდნენ, რომ ეს ტრადიცია დაკავშირებულია ძველი საბერძნეთის ოლიმპიურ რიტუალებთან. ახლა ის ხალხთა მეგობრობის სიმბოლოდ და ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალის კულმინაციაა.

ისტორია კი სრულიად სხვას ამტკიცებს. წმიდა ცეცხლი მართლაც ენთო დღეღამის განმავლობაში ოლიმპზე თამაშების დროს. ის ენთო სამსხვერპლო თასებსა და სხვა ანტიკური ფესტივალების ქვაბებში. მაგრამ ძველი ბერძნები ოლიმპიური თამაშების დაწყებას ცეცხლით კი არა, სიტყვით იტყობინებოდნენ. ქუჩებში დარბოდნენ არა ჩირაღდნიანები, არამედ ჰერალდები.

ჩირაღდნიან მარათონს არც ისე დიდი ხნის ტრადიცია აქვს, რომელიც არა საუკუნეების სიღრმიდან იღებს სათავეს, არამედ ჩვენი ახლანდელი ბნელი წარსულიდან. პირველი ოლიმპიური ჩირაღდანი მორბენალმა სტადიონზე 12 დღიანი მარათონის შემდეგ 1936 წელს ბერლინში ოლიმპიურ თამაშებზე აიტანა. ამ ტრადიციის ფესვებთან იდგა გერმანელი ფიურერი ადოლფ ჰიტლერი. ფაშისტთა ლიდერი აფასებდა ძველი ბერძნების ღმერთების აურას, განსაკუთრებით კი ზევსის, და სურდა გამოეყენებინა ის არიული რასის უპირატესობის დასამტკიცებლად. ჩირაღდნიანი მსვლელობები ჰიტლერის გერმანიაში "შტურმავიკებისა" და ნაცისტების ყრილობების წესად იქცა ჯერ კიდევ 1936 წლის ოლიმპიადამდე. როგორც ისტორიკოსი ტონი პეროტე წერს ახლახანს გამოსულ წიგნში "გაშიშვლებული ოლიმპიადები" (The Naked Olympics), **"ჩირაღდნიანი მსვლელობები იმდენად ჩაეწერა თანამედროვე ოლიმპიურ ქორეოგრაფიაში, ადამიანთა უმრავლესობა მას აღიქვამს, როგორც რესტავრირებულ წარმართულ ტრადიციას. სინამდვილეში მას დასაბამი დაედო ჰიტლერის თამაშებზე ბერლინში"**. ჩირაღდნიანი მარათონი, რომელიც უკვდავყო თავის დოკუმენტურ ფილმში "ოლიმპია" ლენი რიფენშტალმა, ისტორიკოსის სიტყვებით, **"იყო ჰიტლერის მიერ კარგად გათვლილი ძალისხმევა, მიეცა ოლიმპიური თამაშებისთვის მითოლოგიური, ანტიკური, ბრწყინალე ეფექტი და იმავდროულად დაეშინებინა წინასაომარი ევროპა. ჰიტლერის თვალში ჩირაღდანი გერმანელი ერის სრულყოფილებისა და უძლეველობის სიმბოლო იყო"**.

ტონი პეროტეს ვერსიას ადასტურებს ისტორიკოსი დევიდ იანგიც. თავის წიგნში "თანამედროვე ოლიმპიადები: ბრძოლა აღორძინებისთვის" (The Modern Olympies: A Stage for Revival) წერს, რომ ჩირაღდნის რელე, "გამოყენებული იყო კარლ დიემის მიერ; ადამიანის, ვისაც ჰიტლერმა 1936 წელს ოლიმპიური თამაშების ორგანიზება დაავალა". სხვათა შორის, ეს ის დიემია, ვინც ოლიმპიურ თამაშებს 1916 წელს გეგმავდა ბერლინში, რასაც ხელი შეეშალა პირველი მსოფლიო ომის გამო. იანგი შემდეგ აგრძელებს: "ჰიტლერი პირადად ძალიან დაინტერესებული იყო ოლიმპიური თამაშებით და არ ენანებოდა ფული მის რეკლამაზე. ნაცისტური პროპაგანდა მონურად აშუქებდა ჩირაღდნიანი მარათონის მსვლელობას. რადიო გადასცემდა რეპორტაჟებს ყველა ეტაპის პუნქტიდან და ანტიკურ თამაშებს ბერძნული ათლეტიზმის ხატებით ამდიდრებდა..."

ჰიტლერს უნდა ვემადლიერებოდეთ ხუთი ოლიმპიური რგოლისთვისაც. ოლიმპიური თამაშების ეს უნივერსალური სიმბოლო პირველად 1920 წელს ანტვერპენში (ჰოლანდია) გამოჩნდა. ხუთი რგოლი - ბარონ პიერ დე კუბერტენის, თანამედროვე ოლიმპიური თამაშების დამაარსებლის დიზაინია. ასეთი დიზაინი შეიქმნა 1913 წელს საერთაშორისო ოლიმპიური კონგრესისთვის, რომელიც 1914 წელს უნდა გამართულიყო პარიზში. მაგრამ კონგრესი ჩაიშალა სარაევოში ავსტრიის ერც-ჰერცოგ ფერდინანდის მკვლელობის შემდეგ, რაც პირველი მსოფლიო ომის დაწყების საბოლოო მიზეზი გახდა.

ამჟამად ხუთი რგოლი ჩვენი პლანეტის ხუთი კონტინენტის ოლიმპიური ერთობის სიმბოლოა. მაგრამ, მისი შექმნისას კუბერტენი სულ სხვას გულისხმობდა - ოლიმპიური თამაშების პირველ ხუთ შეჯიბრს. ხუთ რგოლს მისტიურობა მიანიჭა ლენი რიფენშტალმაც, ჰიტლერის კინობიოგრაფმა. მან ამოაკვეთინა ხუთი რგოლი მარმარილოს საკურთხეველში ანტიკურ დელფებში ცნობილი ორაკულის მახლობლად, შემდეგ კი გაავრცელა ხმები იმის შესახებ, რომ ეს სიმბოლო ორიათასწლოვანია. ლენის ეს იდეა ჰიტლერსაც მოეწონა და დააკანონა ბერლინის ოლიმპიადაზე მის სიმბოლოდ.

ჰიტლერი მალე წავიდა, ხუთი რგოლი კი დარჩა. შესაძლოა, ფიურერს ისინი ეჩვენებოდა ხელბორკილებად და კანდალებად, რითაც კაცბრიობის დაპყრობას აპირებდა? ვინ იცის. დარჩა ჩირაღდნიანი მარათონიც. შესაძლოა ჩირაღდანი ფიურერს აგონებდა რაიხსტაგის კვარცხლბეკს, რაზეც საკუთარი ძალაუფლება გააძლიერა? ან ეს ვინ იცის?! მაგრამ დღეს, სანამ ათენში ჩავიდოდა, ოლიმპიური ჩირაღდანი გაატარეს ახალ, დემოკრატიულ გერმანიაში; გერმანიაში, სადაც აღარ არის ჰიტლერი. ამ 32 მილიანმა ეტაპმა გერმანულ მიწაზე სტარტი აიღო იმ სტადიონზე ბერლინში, სადაც 1936 წელს არიული რასის უპირატესობის უმაღლესმა ტრუბადურმა, სასტიკი სილა მიიღო შავკანიანი ჯესი ოუენისგან.


*გერმანიის დელეგაცია გახსნაზე.*


*ჯესი ოუენსმა ფიურერს "სილა გააწნა".*


*ნიჩბოსნების შეჯიბრება.*

**კოდი 04-ს-01**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა**
**და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს   კ ო ნ კ უ რ ს ს**

**თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების საზღვარგარეთ პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის**

**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტი: თანამედროვე ქართული ვიზუალური ხელოვნების პოპულარიზაციისა და მსოფლიო კულტურულ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია მხარი დაუჭიროს პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობს:
1. ქართული კულტურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ;
2. ქართული სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების ექსპონირებას საზღვარგარეთ; 3. ქართველ ხელოვანთა მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენებში, ფესტივალებსა და ბიენალეებში.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს ზემოჩამოთვლილი მიზნების/მიზნის განხორციელებას და შეესაბამებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახვითი ხელოვნების კომისიის მიერ შემუშავებულ პრიორიტეტებს.
პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ხელოვანს, ხელოვანთა ჯგუფს და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 7 000 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის სამინისტროში განსახილველად წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი:* თბილისი, სანაპიროს ქN4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ხელოვნების დეპარტამენტი

*შენიშვნა:* კონკურსის გამოცხადებამდე სამინისტროში შემოსული საპროექტო განაცხადები შემოტანილ უნდა იქნეს განმეორებით, დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
***ტელ. 99 03 06***
***სამშაბათს და ხუთშაბათს***
***14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.***

**კოდი 04-ს-02**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა**
**და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს   კ ო ნ კ უ რ ს ს**

**გამოფენების მოწყობაზე საქართველოში თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობისთვის**

კონკურსი ცხადდება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.
თბილისსა და რეგიონებში თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის შესაბამისდ;

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია მხარი დაუჭიროს პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინდივიდუალური და ჯგუფური გამოფენების მოწყობას, როგორც თბილისში ასევე საქართველოს სხვსდსხვა რეგიონებში. Gგამოიწვევენ შემოქმედთა სტიმულირებას, ვიზუალური ხელოვნების ახალი მიმართულებების და სახეები წარმოჩენას, რეგიონებში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს ზემოჩამოთვლილი მიზნების/მიზნის განხორციელებას და შეესაბამებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახვითი ხელოვნების კომისიის მიერ შემუშავებულ პრიორიტეტებს.
პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ხელოვანს, ხელოვანთა ჯგუფს და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**პროექტის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3. 000 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნიათ თანადაფინანსების წყარო

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი:* თბილისი, სანაპიროს ქN4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ხელოვნების დეპარტამენტი

*შენიშვნა:* კონკურსის გამოცხადებამდე სამინისტრიში შემოსული საპროექტო განაცხადები შემოტანილ უნდა იქნეს განმეორებით, და მრჩეველთა საბჭოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
***ტელ. 99 03 06***
***სამშაბათს და ხუთშაბათს***
***14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.***

**კოდი 04-ს-03**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა**
**და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს   კ ო ნ კ უ რ ს ს**

**სახვითი ხელოვნების სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობისთვის**

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია იმ პროექტებისა და ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც შეესაბამება საქართველოს პროფესიული სახვითი ხელოვნების განვითარების 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის მიზნებს, მაგრამ არ თავსდება ერთი რომელიმე პრიორიტეტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ჩარჩოებში.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახვითი ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ხელოვანს, ხელოვანთა ჯგუფს და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ლარს.

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**
ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

***მისამართი:* თბილისი, სანაპიროს ქN4**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**
**ხელოვნების დეპარტამენტი**

*შენიშვნა:*
კონკურსის გამოცხადებამდე სამინისტრიში შემოსული საპროექტო განაცხადები შემოტანილ უნდა იქნეს განმეორებით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
***ტელ. 99 03 06***
***სამშაბათს და ხუთშაბათს***
***14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.***

**საქართველოს კულტურის,**
**ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ღონისძიებათა მხარდასაჭერად

**კონკურსის მიზანია:**
მხარი დაუჭიროს იმგვარ პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ხელი შეუწყოს იმ ვაკუუმის შევსებას, რომელიც ქართული კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა დარგის შესახებ არსებობს ჩვენში და უცხოეთში. წაახალისოს ის ღონისძიებები, რომლებიც კონკურენტუნარიან გარემოში ქართული კულტურის ღირსეული წარმოჩენისკენაა მიმართული.

**კონკურსის პირობები:**
კონკურსი დააფინანსებს ქართულ-უცხოენოვანი ალბომების, ბარათებისა თუ საცნობარო ლიტერატურის მომზადებასა თუ გამოცემას, კინო თუ ელექტრონული პროდუქციის შექმნას საქართველოს კულტურული მემკვდრეობის შესახებ, აგრეთვე იმგვარ პროექტებს, რომლებიც ქართული ხელოვნებას მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ფონზე წარმოჩენას გულისხმობს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი პროფილის ნებისმიერ პროფესიონალს, ან პროფესიონალთა საინიციატივო ჯგუფს, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებს. კონკურსში წარმოდგენილ პროექტს თან უნდა ახლდეს იმგვარი მასალა, რომელიც ამომწურავად და თვალსაჩინოდ დაახასიათებს პროექტის საბოლოო შედეგს.

კონკურსში უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებსაც გააჩნიათ თანადაფინანსების წყარო

პროექტის ბიუჯეტი:
თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 20 000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წელი

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს

**საქართველოს მუზეუმებში კოლექციათა შენხვის პირობების გაუმჯობესებისა და უნიკალურ ექსპონატთა რეაბილიტაციისათვის**

**კონკურსის მიზანია:**

ხელი შეუწყოს საქართველოს მუზეუმებში დაცული უნიკალური ექსპონატების შენახვისა და დაცვის პირობების გაუმჯობესებას, უზრუნველყოს პროფესიონალ რესტავრატორთათვის ძეგლთა საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა მათი დაცვისა და გადარჩენის მიზნით.

კონკურსის პირობები:
ექსპონატთა შენახვის რეჟიმის გაუმჯობესების ღონისძიებები თუ მათი კონსერვაციის მეთოდი დაფუძნებული უნდა იყოს კვალიფიციურ სამეცნიერო დასკვნებზე, სარეაბილიტაციო ძეგლები უნდა შეირჩეს მათი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობისა და გადაუდებლობის კრიტერიუმით. კოლექციათა შენახვის პირობების გაუმჯობესება სასურველია ითვალისწინებდეს მათი დაცვის პრევენციულ ღონისძიებებსაც. განსახორციელებელი საქმიანობა საჭიროებს წინასწარულ კომპლექსურ ექსპერტიზას, დადებითი შედეგის უცილობლად მისაღწევად.

განაცხადის წარმოდგენა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მუზეუმს ან მუზეუმთან დაკავშირებულ პროფესიონალებს, რომლებიც შექმნიან საინიციატივო ჯგუფს.

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 15 000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

**კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ახალი თაობის სპეციალისტთა მოზიდვისა და პროფესიული დაოსტატების ხელშესაწყობად**

**კონკურსის მიზანია:**

იმ ღონიოსძიებათა მხარდაჭერა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ძველი და ახალი თაობის სპეციალისტთა გამოცდილების უწყვეტობის შენარჩუნებას, ახალი თაობის პროფესიულ დაოსტატებასა და შეძენილი ცოდნის რეალიზების ატმოსფეროს ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად

კონკურსის მეშვეობით შეირჩევა ის ღონისძიებები - მასტერკლასები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები, პრაქტიკული მეცადინეობა და სხვა - რომლებსაც მაქსიმალური სარგებლის მოტანა შეუძლია სტუდენტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა დაოსტატების პროცესში.

**კონკურსის პირობები:**
განაცხადი დაფინანსებისათვის შეუძლია წარმოადინოს როგორც პროფესიონალთა ჯგუფმა, ისე პროფესიონალმა, რომელსაც აქვს სიძველეთა აღრიცხვის, რესტავრაცია-კონსერვაციისა თუ სიძველეთმცოდნეობითი გამოცდილება. განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სემინარის მსმენელთა რაოდენობისა და კონტიგენტის შესახებ, აგრეთვე დასაბუთებას თუ ჩატარებული ღონისძიება რითი შეუწყობს ხელს არსებული ვითარების გაუმჯობესებას.
დაფინანსებულ ღონისძიებათა შედეგები - მონაწილეთათვის მისი შედეგიანობა - განხილული იქნება კომისიური წესით, საუკეთესო ახალგაზრდების შერჩევისას კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო გეგმავს საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებასთან მათი თანამშრომლობის მხარდაჭერას.

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს

**კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რესტავრაცია-კონსერვაციის სფეროში პროფესიული განათლების დონის ამაღლების ხელშესაწყობად**

**კონკურსის მიზანია:**

განახორციელოს ის პროექტები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამედროვე დასავლური ცოდნის გაზიარებას ქართველი პროფესიული საზოგადოებისათვის, ახალგაზრდებისათვის. დაფინანსდება: რესტავრაციის, კონსერვაციის, სხვადასხვა მეთოდოლოგიების შესახებ უცხოენოვანი საუკეთესო ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა. აგრეთვე: ამ ლიტერატურისა და მათში მოყვანილი დასკვნების მისაწვდომობისათვის აუცილებელი ღონისძიებები - სემინარები, პროფესიული პრეზენტაციები, რომლებიც ახალგაზრდობისათვის წარმოაჩენს სარესტავრაციო-საკონსერვაციო დარგის პრესტიჟულობას, მნიშვნელოვანებასა და დიდ პრაქტიკულ საჭიროებას.

კონკურსის პირობები:
საუკეთესო პროექტთა შერჩევის შემდგომ, განხორციელების დაწყებამდე განმცხადებელი ვალდებულია უზრუნველყოს შერჩეულ გამოცემაზე ნებართვის წარმოდგენა შესაბამისი ორგანიზაციიდან (გამომცემლობა, უნივერსიტეტი, საავტორო ჯგუფი თუ სხვა). სასურველია გამოცემა არ იყოს ორიენტირებული ფართო კომერციულ გათვლებზე, უპირველესად იგი უნდა გულისხმობდეს პროფესიული საზოგადოების საჭიროებას დარგში არსებული სიახლეების მიმართ.

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წ
მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს

**კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და რესტავრაცია-კონსერვაციის სფეროში ქართველი ახალგაზრდობის დაოსტატებისა და თანამედროვე დასავლური გამოცდილების გაზიარების ხელშესაწყობად**

**კონკურსის მიზანია**

მხარი დაუჭიროს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის დიაგნოსტიკისა და კონსერვაციის სფეროში უცხოელი მაღალკვალიფიციური ექსპერტების საქართველოში ჩამოყვანასა და პროფესიული თრეინინგების ჩატარებას სტუდენტებისა და სპეციალისტებისათვის.

**კონკურსის პირობები:**
პროექტთა წარმოდგენა შეუძლია ნებისმიერ არასამთავრობო ან სამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური ექსპერტების მოზიდვას საქართველოს კულტურული მემკვიდრებისათვის გადაუდებელი საჭიროებათა გათვალისწინებით. განაცხადს აუცილებელია თან ახლდეს მოწვეული სპეციალისტის გამოცდილების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია, მისი სამუშაო ადგილ(ებ)ისა და ჩატარებული კვლევ(ებ)ის ჩამონათვალი, აგრეთვე დასაბუთება, თუ ექსპერტის გამოცდილების გაზიარება რითი შეუწყობს ხელს საქართველოში კონსერვაცია-რესტავრაციის სფეროში არსებული ვითარების გაუმჯობესებას.

ბიუჯეტი:

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 6 000 ლარს.

კონკურსში უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებსაც გააჩნიათ თანადაფინანსების წყარო

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
20 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს

**კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ქართველი ახალგაზრდობისათვის თანამედროვე დასავლური გამოცდილების გაზიარების ხელშესაწყობად**

**კონკურსის მიზანია**

წამყვან სარესტავრაციო, საკონსერვაციო და ამ სფეროს სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრებში ქართველი ახალგაზრდების პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობა, საქართველოში მძიმე მდგომარეობაში მყოფი უნიკალური ნიმუშების გადარჩენისათვის აუცილებელი ცოდნის განსავითარებლად. კონკურსი დააფინანსებს სამგზავრო გრანტებს იმ სტუდენტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის, რომლებიც მიემგზავრებიან უცხოურ ცენტრებში რესტავრაცია-კონსერვაციის სფეროში დასაოსტატებლად.

კონკურსის პირობები:
განაცხადს თან უნდა ახლდეს ამგვარი ცენტრიდან (უნივერსიტეტიდან) მოწვევა, ენის ცოდნის სერთიფიკატი, საზღვარგარეთ მიმღები მხარის ვალდებულებები (სტიპენდია და სხვა), ცენტრის დახასიათება, განმცხადებლის პროფესიული ბიოგრაფია და დასაბუთება თუ რა აუცილებლობითაა გამოწვეული აღნიშნულ დარგში მისი საზღვარგარეთ მივლინება. აუცილებელია წარმოდგენილ იქნას იმ სასწავლო საათების, საგნებისა თუ საკითხების ჩამონათვალი და ხანგრძლივობა, რომლის დაუფლებაც არის დაგეგმილი უცხოეთში მივლინებისას. შესაძლებელია განმცხადებელთან საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს საექსპერტო კომისიის გასაუბრების საკითხის წამოჭრაც.
პირს რომელიც მიიღებს ამგვარ დახმარებას, დათქმული ვადების ფარგლებში საქართველოში დაბრუნებისას, შეუძლია მიმართოს სამინისტროს სამუშაო ადგილის მოპოვებისათვის სარეკომენდაციოდ.

ბიუჯეტი:

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტო

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს
**საქართველოს რეგიონებში სამუზეუმო დაწესებულების თანამშრომელთა პროფესიული დაოსტატებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად**

**კონკურსის მიზანია**

რეგიონალურ მუზეუმებში უზრუნველყოს დაცვისა და კოლექციათა შენახვის თანამედროვე პრინციპების გაცნობა და დანერგვა, ახალგაზრდობის მოზიდვა სამუზეუმო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, ცენტრსა და რეგიონებს შორის დაახლოება სამუზეუმო პრობლემათა ერთიანი ძალისხმევით მოსაგვარებლად.
კონკურსი ხელს შეუწყობს იმგვარი სემინარების, სამუშაო შეხვედრებისა და სასწავლო კურსების ორგანიზებას, რომლებიც ორიენტირებული იქნება ახალი ტექნოლოგიებისა და პრევენციული ღონისძიებების მნიშვნელობის, ქვეყნის მუზეუმებში თანამედროვე სტანდარტების დასანერგად.

**კონკურსის პირობები:**

განაცხადი შეიძლება შემოიტანოს პროფესიონალთა ჯგუფმა, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონალური მუზეუმების გააქტიურებას არსებული პრობლემების გაანალიზებისა და მოგვარების მიმართულებით.

ბიუჯეტი:

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს.
პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
10 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

---

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საუკეთესო ქართულ-ინგლისურენოვანი ვებ-გვერდის შესაქმნელად**

**კონკურსის მიზანია**

ხელი შეუწყოს საერთაშორისო სივრცეში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სრულად და ღირსეულად წარმოჩენას, იმ ვაკუუმის შევსებას, რომელიც ქართული კულტურის ინტეგრაციასთანაა დაკავშირებული საზღვარგარეთ.

კონკურსის პირობები:
ვებ გვერდი უნდა შეიცავდეს: რაც შეიძლება სრულ ინფორმაციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა სფეროსა და ძეგლების შესახებ, უნდა იყოს უხვად ილუსტრირებული და ინფორმაციული, მოტანილი ცნობები კვალიფიციური და მრავალფეროვანი. სასურველია ტექნიკური ჯგუფისა და პროფესიული წრეების თანამშრომლობა ვებ-გვერდის შექმნისას.
განსახილველად წარმოდგენილი უნდა იყოს:
საიტის კონცეფცია, სტრუქტურა, ასევე ყოველი ნაწილის სამაგალითო ვარიანტი: ტექსტებით, ილუსტრაციებით, თარგმანით, დიზაინით.

ბიუჯეტი:

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2,500 ლარს.
პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

---

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს

**ძველი თბილისის ისტორიულ ძეგლებზე არსებულ მცირე ხელოვნების ნიმუშთა ფიქსაცია-პოპულარიზაციის სამუშაოებზე**

**კონკურსის მიზანია**

შეიქმნას მონაცემთა ბაზა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი, დღემდე მივიწყებული სფეროს - ძველი თბილისის ისტორიულ ნაგებობებზე არსებული მცირე ხელოვნების ნიმუშების შესახებ (სადარბაზოს კარები, ცხაურები, კიბისა და აივნის მოაჯირები, ფარნები, ქუჩის წარწერები და სხვა). სისტემატიზაციისა და ამომწურავი ინფორმაციის არსებობა ხელს შეუწყობს ყოველდღიურად შემცირებული და უკვალოდ გამქრალი შესანიშნავი ნიმუშების დაფასებას, მათ გადარჩენასა და პოპულარიზაციას, სტიმულს მისცემს ქართველ ხუროთმოძღვართ აქტიურად გამოიყენონ ნიმუშები თავიანთ შემოქმედებაში.

კონკურსის პირობები:
დაგეგმილი კატალოგიზაცია უნდა ჩატარდეს არსებული საპასპორტო ფორმის შესაბამისად - ნიმუშების მისამართების, მდებარეობის, შენახულობის, თარილის მითითებით და დახასიათება-აღწერით, ხარისხიანი დაწვრილებითი ფოტოფიქსაციით;
შეგროვილი მასალა საავტორო უფლებების დაცვით დაარქივდება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მონაცემთა ბაზაში, გამოყენების უფლებით.

ბიუჯეტი:
თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 4000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

---

**კოდი 04-მ-01**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

**აცხადებს კონკურსს**

**გამოჩენილი ქართველი პოეტის ანა კალანდაძის ლექსებზე მუსიკალური ნაწარმოებების შესაქმნელად**
**კონკურსის საფუძველი:**
გამოჩენილი ქართველი პოეტის ანა კალანდაძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს კონკურსს პოეტის ლექსებზე ვოკალური ნაწარმოებებისა და ა კაპელა შერეული გუნდების შესაქმნელად.
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტი - ქართული პროფესიული საკომპოზიტორო მემკვიდრეობის გამდიდრება სხვადასხვა ჟანრის საუკეთესო ნაწარმოებებით.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია თანამედროვე ქართული მუსიკა გაამდიდროს ანა კალანდაძის ლექსებზე შექმნილი ახალი ნაწარმოებებით, გაააქტიუროს საქართველოს პროფესიული საკომპოზოტორო ცხოვრება, წაახალისოს ახალგაზრდა საკომპოზიტორო კადრები, ხელი შეუწყოს ქართველ შემსრულებელთა რეპერტუარის გამდიდრებას.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს შემდეგი ჟანრის ნაწარმოებები: სიმღერა, რომანსი, ა კაპელა შერეული გუნდი.
კონკურსზე გამარჯვებული ნაწარმოებებისთვის თითოეულ ჟანრში დაწესებულია სამ - სამი პრემია: I პრემია - 800 ლარი
II პრემია - 700 ლარი
III პრემია - 600 ლარი.

განაცხადების მიღების წესი: საკონკურსო ნაწარმოები წარმოდგენილი უნდა იქნეს დევიზით, ორ ეგზემპლარად.
ცალკე, დახურულ კონვერტზე, აღინიშნება იგივე დევიზი, ხოლო კონვერტში - ავტორის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი.

**საკონკურსო ნაწარმოებების ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 1 ნოემბერი.**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქN4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ხელოვნების დეპარტამენტი

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
**ტელ. 99 03 06**
**ორშაბათს და ოთხშაბათს**
**14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.**

---

**კოდი 04-თ-04**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**
**ა ც ხ ა დ ე ბ ს  კ ო ნ კ უ რ ს ს**

**პროფესიონალ მუსიკოსთა სამგზავრო გრანტზე**
**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის მუსიკალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილე პროფესიონალთა სამგზავრო გრანტების
მხარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია სამგზავრო გრანტით ხელი შეუწყოს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების წარმომადგენლებს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში, მასტერ-კლასებში, შესაძლებელი გახადოს ნიჭიერ ახალგაზრდათა წარგზავნა უცხოეთში, ამით დაეხმაროს მათი კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებას, ქართველ მუსიკოსთა წარმოჩინებას და ინტეგრაციას მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების სივრცეში, საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავებას.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მუსიკალური ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა პროფესიონალ მუსიკალურ მოღვაწეს უცხოეთიდან მიღებული მოწვევის საფუძველზე, რომლის პირობეზშიც სამგზავრო გრანტის გარდა სხვა ხარჯები (კვება, სასტუმრო, უცხოეთის ტერიტორიაზე გადაადგილების ხარჯები და ა.შ.) უზრუნველყოფილია მომწვევი მხარის, ან თანადამფინანსებლის მიერ.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2 500 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ვადები:**
*2004 წლის 15 სექტემბერი და 15 ნოემბერი (განაცხადები განიხილება მათი შემოტანიდან 21 დღის ვადაში)*

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქN4*
*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო*
*ხელოვნების დეპარტამენტი*
**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
*ტელ. 99 03 06*
*ორშაბათს და ოთხშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

---

**კოდი 04-მ-02**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისადა სპორტის სამინისტრო**
**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

**მუსიკალურ სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშესაწყობად**

**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის თავისუფალი პროექტებისა და ინიციატივების მხარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია იმ პროექტებისა მხარდაჭერა, რომლებიც შეესაბამება საქართველოს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის მიზნებს, მაგრამ არ თავსდება ერთი რომელიმე პრიორიტეტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ჩარჩოებში.
თავისუფლი პროექტებმი უნდა დაეხმარონ საქართველოს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა დარგში მოღვაწე ხელოვანთა ისეთი ინიციატივების (საკონცერტო პროგრამებისა და სპექტაკლების დადგმა, მუსიკალური ნაწარმოებების გამოცემა და სხვა) განხორციელებას, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოს თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების განვითარებას, პოპულარიზაციასა და ინტეგრაციას მსოფლიო თანამედროვე ხელოვნების სივრცეში.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მუსიკალური ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პროფესიულ მუსიკალურ ხელოვნებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სპეციალობის ყველა პროფესიონალს, საინიციატივო ჯგუფს, კერძო, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი:* **თბილისი, სანაპიროს ქN4**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**
**ხელოვნების დეპარტამენტი**

*შენიშვნა:*
კონკურსის გამოცხადებამდე სამინისტრიში შემოსული საპროექტო განაცხადები შემოტანილ უნდა იქნეს განმეორებით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
*ტელ. 99 03 06*
*სამშაბათს და ხუთშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

---

**კოდი 04-თ-02**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს  კ ო ნ კ უ რ ს ს**

**თანამედროვე უცხოური პიესების კრებულის გამოცემაზე**

**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის თეატრალური ლიტერატურის გამოცემის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია თანამედროვე უცხოური პიესების კრებულის გამოცემა. მსოფლიო დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშების გამოქვეყნებამ, რომლის დეფიციტს დიდი ხანია განიცდის თეატრალური, ლიტერატურული წრეები და ფართო საზოგადოება, ხელი უნდა შეუწყოს ქართული თეატრების რეპერტუარის მრავალფეროვნებას, პროფესიონალებისა და მკითხველისათვის თანამედროვე დრამატურგიის მიმართულებების და ტენდენციების გაცნობას, მთარგმნელობითი და საგამომცემლო საქმიანობის სტიმულირებას.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს თეატრალური ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ლიტერატურული და საგამომცემლო მოღვაწეობით დაკავებულ კერძო და იურიდიულ პირებს, საინიციატივო ჯგუფებს.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
კრებულის გამოცემის ბიუჯეტია 10 000 ლარი.
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ვადები:**
**პროექტის სამინისტროში განსახილველად წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2004 წლის 1 ოქტომბერი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქN4*
*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო*
*ხელოვნების დეპარტამენტი*
**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
*ტელ. 99 03 06*
*ორშაბათს და ოთხშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

---

**კოდი 04-თ-03**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს  კ ო ნ კ უ რ ს ს**

**თეატრალური ხელოვნების სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობისთვის**
**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის თავისუფალი პროექტებისა და ინიციატივების მხარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია იმ პროექტებისა ხელშეჭყობა, რომლებიც შეესაბამება საქართველოს პროფესიული თეატრალური განვითარების 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის მიზნებს, მაგრამ არ თავსდება ერთი რომელიმე პრიორიტეტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ჩარჩოებში. მხარდაჭერა ექნებათ პროექტებს, რომლებიც თავიანთი არსით მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ქვეყანაში თეატრალური ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციას (თეატრალური კრიტიკისა და ჟურნალისიტიკის განვითარების ხელშემწყობი პროექტები, სადადგმო ხარჯები ახალი სპექტაკლებისათვის, რეგიონების თეატრების სადადგმო ჯგუფების მიწვევა და სხვ.).

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახვითი ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა სპეციალობის მქონე ყველა პროფესიონალს, საინიციატივო ჯგუფს, კერძო, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**კონკურსი ცხადდება 2004 წლის 10 აგვისტოდან**
**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**

*მისამართი:* **თბილისი, სანაპიროს ქN4**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**
**ხელოვნების დეპარტამენტი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*შენიშვნა:*
კონკურსის გამოცხადებამდე სამინისტრიში შემოსული საპროექტო განაცხადები შემოტანილ უნდა იქნეს განმეორებით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
*ტელ. 99 03 06*
*სამშაბათს და ხუთშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

---

**კოდი 04-თ-04**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

**პროფესიონალ თეატრალურ ხელოვანთა სამგზავრო გრანტზე**

**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილე პროფესიონალთა სამგზავრო გრანტების
მხარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია სამგზავრო გრანტით ხელი შეუწყოს პროფესიული თეატრალური ხელოვნების წარმომადგენლებს (რეჟისორი, მსახიობი, დრამატურგი, კრიტიკოსი, თეატრმცოდნე, სცენოგრაფი) საერთაშორისო თეატრალურ ფორუმებში, კონფერენციებში, სემინარებში მონაწილეობას. პროექტების განხორციელება დაეხმარება ქართული თეატრის მოღვაწეთა ინტეგრაციას საერთაშორისო კულტურულ პროგრამებში, საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავებას.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს თეატრალური ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა პროფესიონალ თეატრალურ მოღვაწეს უცხოეთიდან მიღებული მოწვევის საფუძველზე, რომლის პირობებშიც სამგზავრო გრანტის გარდა სხვა ხარჯები (კვება, სასტუმრო, უცხოეთის ტერიტორიაზე გადაადგილების ხარჯები და ა.შ.) უზრუნველყოფილია მომწვევი მხარის, ან თანადამფინანსებლის მიერ.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2 500 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ვადები:**
*2004 წლის 15 სექტემბერი და 15 ნოემბერი (განაცხადები განიხილება მათი შემოტანიდან 21 დღის ვადაში)*

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქN4*
*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო*
*ხელოვნების დეპარტამენტი*
**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**

*ტელ. 99 03 06*
*ორშაბათს და ოთხშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

ათენი-2004

| 20 აგვისტო | | |
|---|---|---|
| **ტყვიით სროლა** | | |
| სროლა სამი პოზიციიდან. 50მ. | | ქალები |
| ოქრო | ლუბოვ გალკინა | რუსეთი |
| ვერცხლი | ვალენტინა ტურისინი | იტალია |
| ბრინჯაო | ვან ჩენგეი | ჩინეთი |
| მცირე კალიბრის შაშხანა. მწოლიარე მდგომარეობიდან სროლა. 50მ. | | ვაჟები |
| ოქრო | მეთიუ ემონსი | აშშ |
| ვერცხლი | კრისტიან ლუში | გერმანია |
| ბრინჯაო | სერგეი მარტინოვი | ბელორუსია |
| **ძიუდო** | | |
| +100კგ. წონითი კატეგორია | | ვაჟები |
| ოქრო | კეისუკე სუზუკი | იაპონია |
| ვერცხლი | ტამერლან ტმენოვი | რუსეთი |
| ბრინჯაო | დენის ვან დერ გესტი | ჰოლანდია |
| | ინდრიკ პერტელსონი | ესტონეთი |
| +78კგ. წონითი კატეგორია | | ქალები |
| ოქრო | მაკი ცუკადა | იაპონია |
| ვერცხლი | დაიმა ბელტრანი | კუბა |
| ბრინჯაო | თეა დონღუზაშვილი | რუსეთი |
| | სონ ფუმინი | ჩინეთი |
| **ცურვა** | | |
| ბატერფლაი. 100მ. | | ვაჟები |
| ოქრო | მაიკლ ფელპსი | აშშ |
| ვერცხლი | იან კროკერი | აშშ |
| ბრინჯაო | ანდრეი სერდინოვი | უკრაინა |
| გულაღმა. 200მ. | | ქალები |
| ოქრო | კრისტი კოვენტრი | ზიმბაბვე |
| ვერცხლი | სტანისლავა კომაროვა | რუსეთი |
| ბრინჯაო | რეიკო ნაკამურა | იაპონია |
| თავისუფალი სტილი. 800მ. | | ქალები |
| ოქრო | აი სიბატა | იაპონია |
| ვერცხლი | ლორა მანოდუ | საფრანგეთი |
| ბრინჯაო | დაიანა მანზი | აშშ |
| თავისუფალი სტილი. 50მ. | | ვაჟები |
| ოქრო | მაიკლ ფელპსი | აშშ |
| ვერცხლი | დუე დრაგანია | ხორვატია |
| ბრინჯაო | როლანდ მარკ სხუმანი | სამხ. აფრიკა |
| **ფარიკაობა** | | |
| გუნდური პირველობა. დაშნა | | ქალები |
| ოქრო | რუსეთი | |
| ვერცხლი | გერმანია | |
| ბრინჯაო | საფრანგეთი | |
| **ნიჩბოსნობა** | | |
| ორვაციანი კანოე. | | ვაჟები |
| ოქრო | პეტერ ხოხშორნერი - პაველ ხოხშორნერი | სლოვაკეთი |
| ვერცხლი | მარკუს ბეკერი - შტეფან ჰენზე | გერმანია |
| ბრინჯაო | იაროსლავ ვოლფი - ონდრეი შტერბაჩეკი | ჩეხეთი |
| ბაიდარკა. ერთეულთა თანრიგი | | ვაჟები |
| ოქრო | ბენუა პეში | საფრანგეთი |
| ვერცხლი | კემბელ უოლში | ბრიტანეთი |
| ბრინჯაო | ფაბიენ ლეფევრი | საფრანგეთი |
| **ველოსპორტი** | | |
| ტრეკი 500მ. | | ქალები |
| ოქრო | ანა მირსი | ავსტრალია |
| ვერცხლი | ცზიან იონგუა | ჩინეთი |
| ბრინჯაო | ნატალია ცილინსკაია | ბელორუსია |
| ტრეკი 1000მ. | | ვაჟები |
| ოქრო | კრის ჰოი | ბრიტანეთი |
| ვერცხლი | არნო ტურნანი | საფრანგეთი |
| ბრინჯაო | შტეფან ნიმკე | გერმანია |
| **მძლეოსნობა** | | |
| სპორტული სიარული. 20კმ. | | ვაჟები |
| ოქრო | ივანო ბრუნეტი | იტალია |
| ვერცხლი | ხავიერ ფრანსისკო ფერნანდესი | ესპანეთი |
| ბრინჯაო | ნათან დიკსი | ავსტრალია |
| სირბილი. 10000მ. | | ვაჟები |
| ოქრო | კენენისა ბეკელე | ეთიოპია |
| ვერცხლი | სილეში სიჰინე | ეთიოპია |
| ბრინჯაო | ზერსენაი ტადესე | ერიტრეა |
| **ძალოსნობა** | | |
| 75კგ. წონითი კატეგორია | | ქალები |
| ოქრო | პავინა თონგსუკი | ტაილანდი |
| ვერცხლი | ნატალია ზაბოლოტნაია | რუსეთი |
| ბრინჯაო | ვალენტინა პოპოვა | რუსეთი |
| **მაგიდის ჩოგბურთი** | | |
| წყვილთა თანრიგი | | ქალები |
| ოქრო | ვანგ ნანი - ჟანგ ინინი | ჩინეთი |
| ვერცხლი | ლიე ინ სილი - სეოკ იუნ მი | კორეა |
| ბრინჯაო | გუო იუე - ნიუ იანფეინი | ჩინეთი |
| **მშვილდოსნობა** | | |
| გუნდური პირველობა | | ქალები |
| ოქრო | კორეა | |
| ვერცხლი | ჩინეთი | |
| ბრინჯაო | ტაივანი | |
| **ბადმინტონი** | | |
| წყვილთა თანრიგი | | ვაჟები |
| ოქრო | კიმ ტონ მუნი - ჰა ტე კვონი | კორეა |
| ვერცხლი | ლი ტონ სუ - იუ იონ სუნი | კორეა |
| ბრინჯაო | ენგ ჰიანი - ფლანდი ლიმპელე | ინდონეზია |
| **ბატუტზე ხტომა** | | |
| | | ქალები |
| ოქრო | ანა დოღონაძე | გერმანია |
| ვერცხლი | კარენ კობურნი | კანადა |
| ბრინჯაო | შუანგ შანშანი | ჩინეთი |

# კიდევ ერთი ოქრო სხვისთვის

კახა ფაჩუაშვილი
*ათენიდან*



*კიდევ ერთი ქართული ოქრო - ამჯერად გერმანიას.*

ვინც იტყვის, ქართველი უნიჭოაო, - არ დაუჯეროთ. ორგანიზაციასა და დისციპლინაში მოვიკოჭლებთ, თორემ ნიჭით ბარე ორს ვჯობნით და ვაჯობებთ კიდეც. ნაპოლეონის გენერალი არ იყო, რომ ამბობდა: ერთი ქართველი მამლუქი სამ ფრანგ ჯარისკაცს სჯობს, მაგრამ ქართველთა ასეული ფრანგთა ასეულთან ახლოსაც ვერ მოვაო.

ეს არის ჩვენი გაჭირვება და სატკივარი. ნედლეული, იცოცხლეთ, ბევრი გვაქვს, მაგრამ მიმართულება ვერ მიგვიცია. ჰოდა, მიდის ეს გამოუყენებელი ნედლეული საზღვარგარეთ და უცხოელთათვის სახელს და დიდებას სჭედს. კიდევ ერთმა ქართველმა გაითქვა საქვეყნოდ სახელი - ოღონდ, ამჯერად გერმანიისთვის.

ანა დოღონაძე ოლიმპიური ჩემპიონია ბატუტზე ხტომაში. გერმანიამ, ქართველის ხელით, კიდევ ერთი ოქრო მიითვალა. საამაყოა, როცა შენიანს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ხედავ. მას მთელი მსოფლიო უყურებს და მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით ეგებება, მაგრამ გული გწყდება, უცხოურ ჰიმნს რომ ამღერებენ და არა შენსას. არადა, მტერი ჩვენს ქვეყანას რომ ასვენებდეს, საქართველოს სამი ოქრო ექნებოდა და მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცეოდა, როგორც ერთ დროს - ხორვატია, რომელმაც გადამწყვეტ ომში გამარჯვების შემდეგ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა.

ამ სტრიქონების წერისას გამოაცხადეს, - თქვენს წინაშეა ოლიმპიური ჩემპიონი ანა დოღონაძე გერმანიიდან - როგორია? ჩემი დამტვრეული ინგლისურით ყველას ვუხსნი, რომ ანა წარმოშობით ქართველია, მაგრამ აშკარად არ იჯერებენ და ტუტუცად მთვლიან. ალბათ, ვეცოდები კიდეც - საწყალი, როგორ უნდა, ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავდეს და სხვის ოქროებს იჩემებსო. არა, ერთი ომი უნდა მოვიგოთ. აშკარად გვჭირდება.

ანამ სამივე გამოსვლა უმაღლეს დონეზე ჩაატარა. პირველში 27,30 ქულა მოაგროვა და მესამე ადგილზე გავიდა; მეორეში 39,40 და ანა უკვე მეორეა რუსი ნატალია ჩერნოვას შემდეგ; ფინალში კი გერმანიის ნაკრების ლიდერი შეუდარებელი იყო. 39,60 ქულა და ანა დოღონაძე ოლიმპიური ჩემპიონია. რაც შეეხება რუსუდან ხოფერიას გამოსვლას, ქართველი ათლეტი, საბოლოო ჯამში, ფინალს მიღმა დარჩა - 2 მეათედი დააკლდა ფინალში მოსახვედრად. მას ჰოლანდიელმა ანდრეა ლენდერსმა აჯობა. რუსუდანმა პირველი გამოსვლა ჩააგდო; დაბალი შედეგი აჩვენა და მეორე გამოსვლაში მისი აღმოფხვრა ველარ მოახერხა. საბოლოოდ 66,70 ქულით ხოფერია მე-9 ადგილზე გავიდა.

გუშინ ოლიმპიურ სარბიელზე კიდევ ორი ქართველი გამოვიდა. ასპარეზობა დაასრულეს ძიუდოისტებმა. მძიმე წონაში საქართველოს ღირსებას ლაშა გუჯეჯიანი იცავდა, მაგრამ ბოლომდე ვერ დაიცვა. ლაშა ახალგაზრდა ფალავანია. მას 19 წელი 12 აგვისტოს შეუსრულდა და, ბუნებრივია, რომ გამოცდილება აშკარად აკლია. ჩვენებური პირველივე წრეში იპონით დამარცხდა თურქ სელიმ თათაროღლუსთან. არც სანუგეშო ტურნირში გაუმართლა ახალგაზრდა ქართველს. საქმე ის არის, რომ თურქი მომდევნო ბრძოლაშივე გამოეთიშა ოქროს მაძიებელთა კოლონას და ლაშამაც ისე დაასრულა ოლიმპიური თამაშები, ტატამზე ერთზე მეტად არც კი გამოჩენილა.

ამის მიუხედავად, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა გვასახელა. საქართველო ოქრო-ვერცხლით დამშვენებული აქამდე არასდროს ყოფილა და, რაკიღა ძიუდოისტთა მარჯვენით დამშვენდა, ესე იგი, შოთა ხაბარელის შეგირდებმა აშკარად გვასახელეს. საქართველოს ნაკრების მწვრთნელი დავით მარგოშვილისგანაც მედალს ელოდებოდა, მაგრამ დათოს არ გაუმართლა. პირველივე წრეში ის მსაჯების ბუნდოვან გადაწყვეტილებას შეეწირა. არბიტრმა რაღაც გაუგებარი იპონი დააფიქსირა და ამით საფუძველშივე ჩაკლა მარგოშვილის ოლიმპიური ამბიციები. ძიუდოისტები სამშობლოში ზეგ ბრუნდებიან.

კიდევ ერთი ქართველი, რომელმაც ოლიმპიადაზე გამოსვლა დაასრულა, მოკრივე კონსტანტინე კუპატაძეა. კენჭისყრამ ისე განსაჯა, რომ კუპატაძე პირველი წრიდან გათავისუფლდა. მეორე ეტაპზე კი ქართველ მოკრივეს კორეის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი კიმ სონგ გუკი დაუპირისპირდა. შეიძლება ითქვას, ეს თანაბარი ძალის მეტოქეთა შეხვედრა იყო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, კორეელი უფრო სწრაფი აღმოჩნდა და კუპატაძეს 11 დარტყმით მეტი მიაყენა - 25:14; ასეთია ამ ბრძოლის საბოლოო შედეგი და ქართველი მოკრივე ტურნირს გამოეთიშა.

დღეს შეჯიბრებაში გიორგი ასანიძე ერთვება.

# ჯერ დისკვალიფიკაცია, მერე ჩემპიონობა

გიგა გურასაშვილი

*უთქვამთ, - ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო! მართალია, ხალხური ნათქვამი ზუსტად არ შეეფერება იმას, რაც ათენის ოლიმპიურ წყალში 200 მეტრზე გულაღმა ფინალურ გაცურვას მოჰყვა, მაგრამ მორალი ერთია - რისთვისაც სხვას განიკითხავ, იგივე, შეიძლება, შენც დაგემართოს.*



*პირსოლმა დისკვალიფიკაციაც იგემა და ჩემპიონობაც.*

კვირას ამერიკელმა მოცურავეებმა ერთი ამბავი ატეხეს, - იაპონელმა კოსუკე კიტაჯიმამ 100 მეტრზე ბრასით ცურვის ფინალში ჩვენს თანაგუნდელ ბრენდან ჰანსენზე უსამართლოდ გაიმარჯვა; სასტარტო ბაქნიდან რომ გადახტა, დაწინაურების მიზნით, ბატერფლაის მიმართაო. მსაჯებმა, - ასეთი არაფერი შეგვიმჩნევიაო. Washington Post-მა ამერიკელებს მოუწოდა, - ღირსეულად წაგება ისწავლეთო. თავად ჰანსენმა კი კაცურად თქვა, - რას მიედმოედებით, იაპონელმა მაჯობა, მორჩა და გათავდაო.

ორი დღის წინათ 200 მეტრზე გულაღმა ფინალურ გაცურვაში იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა ამერიკელი არონ პირსოლი. თუ იაპონელის შემთხვევაში, რამდენიმე ამერიკელის გარდა, არავის შეჰპარვია ეჭვი, მათი თანამემამულის შემთხვევაში, ყველაფერი ასე დაიწყო და შემდეგი განვითარება ჰპოვა:

ავსტრიელი მარკუს როგანი 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ჩემპიონად გამოაცხადეს. ეს მაშინ, როდესაც მისი ამერიკელი მეტოქე, საკმაო უპირატესობით, თან ოლიმპიური რეკორდით - 2.23,37, მიცურდა აუზის კიდესთან, მაგრამ არონ პირსოლი, რომელიც აღნიშნულ დისციპლინაში მსოფლიოს უსწრაფესი შედეგის - 1.54,95 ავტორია, დისკვალიფიცირებულად ცნეს. მიზეზი - ცურვის ტექნიკის დარღვევა. თავად დაზარალებული ასე არ თვლიდა.

გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ამერიკელებმა მსაჯებში საპროტესტო ფურცელი აფრინეს და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მათი მოთხოვნა დააკმაყოფილეს.

"იმ შემთხვევაშიც, თუ ჩემი დისკვალიფიკაცია ძალაში დარჩებოდა, მე საკუთარ თავს მაინც ჩემპიონად ვცნობდი. რაც გულაღმა დავცურავ, არასდროს არავის არ მოუსჯია ჩემთვის დისკვალიფიკაცია...

დარწმუნებული ვიყავი, რომ შედეგს გადახედავდნენ და ჩემთვის სასარგებლო განაჩენს გამოიტანდნენ, რადგან არაფერი დამიშავებია", - იტყვის მოგვიანებით პირსოლი.

ანუ - პირსოლს ტიტული დაუბრუნეს, ხოლო ისინი ვინც მას ფეხდაფეხ მისდევდნენ, საწყის ადგილებს დაუბრუნეს. ამგვარად, როგანი მეორეზე ჩაქვეითდა, მეორეზე დაწინაურებული რუმინელი რაზვან ფლორეა - მესამეზე, ხოლო პირსოლის დისკვალიფიკაციით მესამე ადგილზე დროებით აღზევებული ბრიტანელი ჯეიმს გოდარდი ცარიელტარიელი დარჩა.

"როდესაც ტაბლოს შევხედე, შოკირებული დავრჩი. იმაზე ვფიქრობდი, რა დანაშაული მიმიძღოდა. ჩემთვის ეს მედალი მთელი სამყაროა. წარმოიდგინეთ, რა დღეში უნდა ყოფილიყვნენ დანარჩენები - მაგალითად, მარკუს როგანი, რომელსაც ოქროს მედალი გადასცეს, მერე კი ჩამოართვეს. ისინი კვარცხლბეკზე აიყვანეს, მერე კი აღმოჩნდა, რომ ეს მათი ადგილი არ იყო. ეს ლამაზი არაა. კარგს არ ვუსურვებ იმას, ვინც ასე "იხუმრა", - არ ხუმრობდა ჩემპიონი.

ბუნებრივია, ახლებური გადაწყვეტილებით, ახლა უკმაყოფილონი ბრიტანელები და ავსტრიელები დარჩნენ. მათაც გააპროტესტეს, მაგრამ - ამაოდ. მოთხოვნა უარყვეს. ისე კი, ზოგი სპეციალისტის აზრით, - პირსოლმა, მართლაც, დაალვია ასპარეზობის რეგლამენტი, რაც ვიდეოჩანაწერზეც ჩანსო. თუკი ვინმესგანაა მოსალოდნელი, რომ რკინის ქალამნები ჩაიცვას და სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში აპელაცია შეიტანოს, ასეთ რამეს ბრიტანელებისგან უნდა ველოდეთ, რადგან საქმე ბრინჯაოს მედალს ეხება.

თავის მხრივ, როგანი დარწმუნებულია პირსოლის კეთილსინდისიერებაში და ბედნიერია იმითაც, რომ "ვერცხლი" მოიპოვა: "ერთი ხანობა "ოქროზე" ვფიქრობდი, მაგრამ ის, რაც მოხდა, სამართლიანია".

და კიდევ, იცით, ვინ ატეხა იაპონელთან დაკავშირებული ზემოთ ნახსენები აჟიოტაჟი?- ვინ და... არონ პირსოლმა.

არ ვიცით, პირსოლმა დააშავაარ დააშავა, მაგრამ ერთი რამ ცხადია - 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკელი გახლდათ უძლიერესი. მან ეს საკვალიფიკაციოზეც დაადასტურა, როდესაც მეტოქეებს მთელი ორი კორპუსით გაუსწრო.

რაც შეეხება გუნდურს, აქ უკვე ამერიკელები ლიდერობენ და, ალბათ, ასეც ჩაამთავრებენ. მათმა ისტორიულმა მეტოქეებმა კი, რომლებიც თავდაპირველად ლიდერობდნენ, უპირატესობა მხოლოდ სამი დღით შეინარჩუნეს. ასპარეზობების მეოთხე დღიდან კი ჩვეულ ადგილს ამერიკელები დაუბრუნდნენ. ოკეანისგაღმელები პირველობას ყველაზე მეტად მაიკლ ფელპსს უნდა უმადლოდნენ. რამდენჯერმე ვთქვით, რომ 19 წლის მოცურავე ათენს რვა ოქროს მედლის დაუფლების ამბიციით ეწვია. მართალია, ის რვაგზის ჩემპიონობის ოცნებას დაემშვიდობა, მაგრამ არც იმით უნდა იყოს უკმაყოფილო, რომ ახლა ხუთგზის ოლიმპიურ ჩემპიონად იწოდება; მეხუთე ტიტული გუშინ 100 მეტრზე ბატერფლაიში მოიპოვა; თან, ოლიმპიური რეკორდით - 51,25.

ათენი-2004

# ИЗБИЕНИЕ МЛАДЕНЦА

კახა ფაჩუაშვილი
*ათენიდან*




*ლიტვამ საბერძნეთი "გატყიპა".*

რუსებს ერთი კარგი გამოთქმა აქვთ - **избиение младенца**. ზუსტად ეს მოხდა ჰელინიკონის კალათბურთის დარბაზში. ლიტვამ სამაგალითოდ "გატყიპა" საბერძნეთი; ბოლოს კი 22 ქულა აკმარა - 98:76; მხოლოდ - 22, რადგან ბერძნები ძალიან გამწარდნენ - იმდენად, რომ სკამებიდან წამოიჭრნენ და მოედანზე გადასვლას ეშურებოდნენ. ლიტვა მიხვდა, რომ ცოტა გადაამლაშა და გაჩერდა. მასპინძლებს უფლება მისცა, მცირედით მაინც დასწეოდნენ და საკუთარი გულშემატკივრის თვალში ოდნავი რეაბილიტაცია მოეხდინათ. ამიტომ, ლიტველებმა ბერძნებს მხოლოდ 22 ქულა აკმარეს. არადა, რომ დასჭირვებოდათ, 40 ქულასაც მოიგებდნენ. ერთი პირობა, 40 ქულას აღარაფერი ეკლდა, მაგრამ ტრიბუნებზე მღელვარება დაიწყო და ბალტიისპირელებმაც გადაწყვიტეს, ოდნავ დაეშოშმინებინათ დაუცხრომელი ბერძნები. ერთ-ერთ ეპიზოდში სონგაილა ფართან მარტო დარჩა. მას შეეძლო, ბურთი კალათში "ჩაეთხარა", მაგრამ ტრიბუნებს მოერიდა და, უბრალოდ, ჩააგდო.

ბერძნებს ჭკუიდან გადასვლამდე ცოტა დააკლდათ და გამწარებულებმა ბოლოს სიმღერა შემოსძახეს, რომ ამ არასასურველი პერსპექტივიდან თავი დაეღწიათ. ესეც ბერძნული ხასიათის თავისებურებაა - განწირულები სიმღერას იწყებენ. იქნებ, ამ ხასიათის გამო ხდებოდა, რომ ბერძენ-სპარსელთა ომებში ელინები, თითქმის, ყოველთვის იმარჯვებდნენ.

ლეგენდა სამასი სპარტელის შესახებ მოგვითხრობს: ერთხელ სპარსეთის მეფე ქსერქსემ ბერძენთა პოზიციების დასაზვერად მსტოვრები გაგზავნა. რას აკეთებენ სპარტელებიო, - იკითხა მეფემ. მოახსენეს, - დიდო მეფეო, ზოგი ყვავილებს კრეფს, ზოგი დაფნის გვირგვინს წნავს, სხვები კი წვერს იპარსავენო. მეფე გაოცდა.

ახლაც განწირულმა გულშემატკივრებმა სიმღერა შემოსძახეს, რომ ემოციებისგან დაცლილიყვნენ და შედარებით მსუბუქად მაინც გადაეტანათ მძიმე რეალობა - მათი ოცნება ხუხულასავით დაინგრა. ბერძნები ვარაუდობდნენ, რომ კარგი გუნდი ჰყავდათ და მედლებსაც ელოდებოდნენ; მით უფრო, რომ ელინებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ლარი ბრაუნის "დრიმ თაიმს", მაგრამ, თურმე, ჯერ სად ხარ - ლიტვამ ბერძნები მიწაზე დააბრუნა.

მე ელინიკონში ლიტვის საქომაგოდ წავედი, მაგრამ ხმა აღარ ამომიღია. ჩემს გვერდით ისეთი მომხიბვლელი, 15-16 წლის გოგონა იჯდა და ისე ემოციურად ქომაგობდა ბერძნებს, რომ გაჩუმება გადავწყვიტე. იმ გოგონას ცოდვით დავიწვი. ძალიან შემეცოდა, როცა ანგარიში კატასტროფული გახდა; სახედამანჭული ეხუტებოდა თავის კავალერს, თითქოს საშველად უხმობსო. ეს რომ ბერძენ კალათბურთელებს ენახათ, მოედანზე მოკვდებოდნენ და ლიტვას ასე უნიათოდ არ დანებდებოდნენ. არც ბალტიისპირელები გაწირავდნენ ასე ულმერთოდ ბერძნებს.

იმ გოგონას ადგილზე ჩემი თავი წარმოვიდგინე. 1980-იანი წლების შუაში კაუნასის "ჟალგირისი" მუდმივად უგებდა თბილისის "დინამოს" თბილისშიც და კაუნასშიც, თანაც - დიდი ანგარიშით, დაახლოებით ისე, როგორც ლიტვამ მოუგო საბერძნეთს. სპორტის სასახლეში სიმწრისაგან ცრემლები მცვიოდა. მაშინ ბავშვი ვიყავი და საბონისს უკანასკნელი სიტყვებით ვაგინებდი. ბევრი არაფერი მესმოდა და - იმიტომ. მხოლოდ იმას ვხვდებოდი, რომ ჩემი გუნდის დამარცხება სწორედ საბონისის ბრალი იყო. ვერაფრით იშორებდნენ თავიდან ამ აბეზარა გიგანტს ქართველი კალათბურთელები. ბურთს ბურთზე აგდებდა, გენიალურ გადაცემებს არიგებდა, მოკლედ, ძალიან მამწარებდა. ასევე გაამწარეს ის ბერძენი გოგონა ევროპის საუკეთესო კალათბურთელმა შარუნას იასიკიავიჩუსმა და მისმა მეგობრებმა.

სწორედ ამიტომ აღარ ამომიღია ხმა და ლიტველთა განუმეორებელი შეტევებისთვის ტაშიც აღარ დამიკრავს. არადა, ფანტასტიკურ კომბინაციებს ათამაშებდნენ - ხუთი გადაცემით; ხან სამფაზიანი შეტევებითაც კი. მოკლედ, ლიტველებმა ბერძნები ძალიან დაჩაგრეს. იმ უშვერი ლანძღვა-გინების გამო კი, ბავშვობაში რომ წამომცდებოდა ხოლმე, ჩემს ერთ ლიტველ მეგობარ ჟურნალისტს "საბასთან" ბოდიში შევუთვალე, - თუ ვნახე, თვითონ გადავცემ-მეთქი, - დავუმატე.

ლიტვაში მესტუმრე და შენი გაზეთისთვის უამრავ ექსკლუზიურ მასალას გაგაკეთებინებო, -შემპირდა. ის "ლიტუვას რიტასის" (ლიტვის ყველაზე მდიდარი და გავლენიანი გაზეთია, "ლიტუვას რიტას" ლიტვის დილას ნიშნავს) ფოტორეპორტიორია. გაზეთს მარტო სათავო ოფისში, მწერალი ჟურნალისტების სახით, 200 თანამშრომელი ჰყავს. კვირაში, ჩვენი გაზეთის მზგავსად, ექვსჯერ გამოდის და 240 ათასი ეგზემპლიარი იბეჭდება; ვრცელდება მთელი ლიტვის მასშტაბით და უცხოეთში მომუშავე ლიტველთათვის; აქვს ექვსი-შვიდი დასახელების ყოველკვირეული დამატება და საკუთარი გამომცემლობა. იმდენად მდიდარია, რომ საკუთარი ტელევიზიაც კი აქვს. ჰოდა, ამ გაზეთის ფოტოკორესპონდენტი მეუბნება, - ლიტვაში მესტუმრე და ექსკლუზიური მასალები ჩემზე იყოსო.

ლიტვა კი შეუდარებელია. და გუშინდელი მატჩის გათვალისწინებით, ოქროს მედლის რეალური კანდიდატიც. ლარი ბრაუნმა აშკარად რაღაც უნდა იღონოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამერიკა ლიტვის მომგები არ არის. ამერიკელთა თამაში, რაც ვნახე, ტიმ დანკანზეა აწყობილი, მაგრამ მას გვერდით მსგავსი კვალიფიკაციის მოთამაშე არ ჰყავს - ისეთი, რომელიც, დანკანის განეიტრალების პირობებში, ლიდერის ფუნქციებს იტვირთავდა. ფორვარდები - ლებრონ ჯეიმსი და კარმელო ენტონი, კარგ ფორმაში იმყოფებიან, მაგრამ ლარი ბრაუნი მათ ძირითად ხუთეულში არ ათამაშებს, ოდომი კი დანკანის პარტნიორად ვერ გამოდგება. მოკლედ, ბრაუნს დიდი თავსატეხი აქვს. მან ლიტვის წინააღმდეგ სიურპრიზი უნდა მოიფიქროს. ამერიკა ლიტვას დღეს ხვდება.

## ოლიმპიურ გარყვნილობას - არა!




საბერძნეთის სასამართლომ უარყო ათენის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთა მოთხოვნა, რომელიც ჟურნალ "ფლეიბოის" აგვისტოს ბერძნული გამოცემის გავრცელების აკრძალვას ეხება.

თამაშების ორგანიზატორთა გულისწყრომის მიზეზი კი ისაა, რომ ჟურნალის ერთ-ერთ გვერდზე გაშიშვლებულ მოდელებთან ერთად სპორტული ინვენტარი ფიგურირებს. ინვენტარი ჯანდაბას, გულისტკივილის მიზეზი სულ სხვა რამაა. ორგანიზატორთა ყურადღება ოლიმპიურმა რგოლებმა მიიპყრო. ჟურნალში რგოლებიც, ოლიმპიური მოძრაობის ცნობილი ლოზუნგებიც და სპორტული ტერმინოლოგიაც, ერთგვარად, სექსთანაა დაკავშირებული. ამავე ჟურნალში ისიც წერია, თუ როგორ უნდა მიაღწიოთ "ექსტაზის ხანგრძლივობის 2004 წამს" და თან "ლოგინში გაიუმჯობესოთ შედეგები".

ერთი სიტყვით, ორგანიზატორებს, სასამართლოს ჩარევით, სურდათ, დაეცვათ ოლიმპიური სიმბოლოები და უახმსად გადაკეთებული ლოზუნგი - SITIUS, ALTIUS, FORTIUS. თუმცა, მათი მცდელობა ამაო გამოდგა - ჟურნალი კვლავაც გაყიდვაშია.

"ჩვენ არანაირი მიზეზი არ გვაქვს, გავაქილიკოთ ან მასხრად ავიგდოთ ოლიმპიური სიმბოლოები; მეტიც, ჩვენს ჟურნალში ბევრ სერიოზულ სტატიას ვუძღვნით ოლიმპიურ თამაშებს, - აცხადებს გამოცემის მთავარი რედაქტორი გიორგოს კიპარისისი, - უბრალოდ, ცოტაოდენი შოუს ელემენტები გამოვიყენეთ".

ფეხბურთი

# "რეალის" მორიგი ბლიც-ტრანსფერი

### მადრიდელებმა ჯონათან ვუდგეითი იყიდეს




*ვუდგეითი "რეალის" მორიგი შენაძენია.*

წლევანდელ სატრანსფერო ზაფხულში მადრიდის "რეალის" აქტიურობა ვალტერ სამუელის - ერთი ცენტრალური მცველის, შეძენით სულაც არ შემოიფარგლება. სამუელის ტრანსფერის განხორციელების შემდეგ სამეფო კლუბი ლონდონის "არსენალისა" და საფრანგეთის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველის, პატრიკ ვიეირას შეძენას ლამობდა. ინგლისურმა კლუბმა ვიეირა არაფრის დიდებით დათმო, "რეალმა" კი მყისვე სხვა ფეხბურთელი შეიძინა, თუმცა სულ სხვა ამპლუის, არა დამცველი ან ნახევარმცველი, არამედ თავდამსხმელი. ინგლისის ნაკრებისა და "ლივერპულის" ფორვარდი მაიკლ ოუენი ახლა უკვე "რეალის" წევრია. თუმცა, სამეფო კლუბი არც ამ ტრანსფერის შემდეგ გაჩერებულა. "რეალმა" კიდევ ერთი მცველის შეძენა გადაწყვიტა და საინტერესო კანდიდატურების ძიებაც დაიწყო. პრეზიდენტმა პერესმა კამაჩოს იტალიელი ფაბიო კანავაროს კანდიდატურა შეთავაზა. ცნობა იმის შესახებ, რომ "რეალი" იტალიის ნაკრების კაპიტნის გადაბირებით დაინტერესდა, თავდაპირველად არც ისე რეალური ჩანდა. თუმცა, შემდეგ მოვლენები საკამოდ სწრაფად განვითარდა. "რეალი" და "ინტერი" სატრანსფერო თანხაზე მალე შეთანხმდნენ, თავად კანავარო კი, მადრიდელთა წინადადების გამო, თავის აღტაცებას არ მალავდა. "მილანში ბედნიერი ვარ, მაგრამ "რეალში" თამაშზე ნებისმიერი ფეხბურთელი ოცნებობს, მათ შორის - მეც. ეს მსოფლიოს ყველაზე დიდებული გუნდია", - ამბობდა კანავარო. რატომაც არა, 30 წლის მცველისათვის მადრიდის "რეალში" გადასვლა, მართლაც, დიდი წარმატება იქნებოდა. მაგრამ, კანავარო ვერც იმ ფაქტს გაექცეოდა, რომ თებერვლიდან მოყოლებული მუხლის ქრონიკული ტრავმა აწუხებს. თავად ფეხბურთელს ამ თემაზე საუბარიც არ სურდა. ამბობდა, რომ ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა და ამჟამად ჩინებულ ფორმაში იმყოფება. მიუხედავად ამისა, სკეპტიკოსები ირწმუნებოდნენ, რომ "რეალში" გადასასვლელად კანავაროს სწორედ ეს მუხლის ტრავმა შეუშლიდა ხელს; და მართლებიც აღმოჩნდნენ. "რეალმა" უკან დაიხია. გადაიდო დაგეგმილი შეხვედრა კლუბების პრეზიდენტებს შორის. მადრიდელებმა "ინტერს" მოსაფიქრებელი დრო სთხოვეს და განაცხადეს, რომ კანავაროს ტრანსფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგებოდა, თუ კანავაროს კანდიდატურას კლუბის ყველა ხელმძღვანელი დაეთანხმებოდა - მწვრთნელი, და რა თქმა უნდა, სამედიცინო განყოფილება. ძნელი სათქმელია, თუ ვის არ მოეწონა კანავარო, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ "რეალმა" საბოლოოდ გადაიფიქრა. დღის წესრიგიდან ამოიღეს არგენტინელი მცველის ფაბრიციო კოლოჩინის შესაძლო ტრანსფერის საკითხიც. "მილანის" ცენტრალური მცველის მიმართ ინტერესს მადრიდელები ჯერ კიდევ მანამ იჩენდნენ, სანამ კანავაროთი დაინტერესდებოდნენ.

"ლივერპულში" გადავიდა ხაბი ალონსო, "რეალ სოსიედადის" საყრდენი ნახევარმცველი, რომლის შეძენა, ასევე, სურდა "რეალს". ასე და ამრიგად, მადრიდელებს ჯერ ვიეირას, შემდეგ კოლოჩინის, კანავაროს და ხაბი ალონსოს ტრანსფერები ჩაეფუშათ. ზაფხულის სატრანსფერო სეზონის დასრულებამდე კი სულ რაღაც ათი დღე რჩება. ნუთუ "რეალი", რომელიც დაცვითი სტილის ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელის შეძენას გეგმავდა, მხოლოდ სამუელის გადაბირებით შემოიფარგლა?

არა - გუშინ მადრიდლებმა კიდევ ერთი მცველი შეიძინეს და ამ ფეხბურთელის ოფიციალური წარდგენა დღეს შედგება. ამ ტრანსფერის შესახებ ინფორმაციები გუშინ დილიდან ვრცელდებოდა, საღამოს კი უკვე ცნობილი გახდა, რომ გარიგება შედგა. ინგლისის ნაკრებისა და "ნიუკასლის" ცენტრალური მცველი ჯონათან ვუდგეითი ახლა უკვე "რეალის" ფეხბურთელია. უცნობია, თუ როდის დაებადათ მადრიდელებს ამ ფეხბურთელის შეძენის სურვილი, თუმცა ცხადია, რომ ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. მხარეები უმალ შეთანხმდნენ ფინანსურ საკითხებზე. "ნიუკასლი" ვუდგეითთან გამოთხოვებას დასთანხმდა. ინგლისური კლუბის მწვრთნელი, სერ ბობი რობსონი აცხადებდა, რომ "ჯონათანის წასვლა ძალიან წყვეტს გულს, თუმცა "რეალში" წასვლას მას ნამდვილად ვერ დაუშლის"; მით უმეტეს, რომ, ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ, "ნიუკასლი" 20 მილიონ ევროს მიიღებს. რობსონი იმასაც ამბობდა, რომ ვუდგეითს ტრავმები აწუხებს და, შესაძლებელი იყო, სამედიცინო შემოწმება ვერ გაევლო.

თუმცა, ეს არ აღმოჩნდა პრობლემა. ვუდგეითი გუშინვე ჩაფრინდა მადრიდში და, ყოველგვარი სიძნელეის გარეშე, გაიარა სამედიცინო შემოწმება. გუშინვე მან "რეალთან" 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

თავად ფეხბურთელი სამეფო კლუბში გადასვლით უზომოდ ბედნიერია. ის ადრეც ხშირად აცხადებდა, რომ ესპანეთში თამაში სურს. ამბობენ იმასაც, რომ ვუდგეითმა კარგა ხნის წინათ დაიწყო ესპანური ენის შესწავლა. ვინ იცის, ვუდგეითის "რეალში" გადასვლა, იქნებ, ჩვენთვის აღმოჩნდა სიურპრიზი, თორემ სინამდვილეში დიდი ხნის გადაწყვეტილი ამბავი იყო...

## ბექჰემური იდილია

რაღას არ ამბობდნენ დევიდ ბექჰემის სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ - ცოლს თავის ასისტენტთან ულალატაო; მოკლედ, ხან რა დააბრალეს და ხანაც რა.

ამისთანა კაცის მნახველი არა ვართო, - ამასაც გაიგონებდით უცხოურ პრესაში; ცოლიანი კაცი ამდენ ქალს ხვდებოდეს, საშინელებააო. კაცმა რომ თქვას, ვის რაში ეკითხება, ვინ ვის ხვდება. პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება განა აქვს ვინმეს? შესაძლოა, მართალიც იყო ყველაფერი, რაც კი პრესაში იწერებოდა, მაგრამ ამას უკვე არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ისაა, რომ დევიდისა და ვიქტორიას ოჯახურ ცხოვრებას ამით არაფერი დააკლდა. "პირველ ხანებში ძალიან მაღიზიანებდა ყველა რომ ჩემს პირად ცხოვრებაში ერეოდა. უფრო სწორად, ვერც ერეოდა და ათას სისულელეს წერდა, ახლა კი ამას ყურადღებას აღარც ვაქცევ. ვიცი, რომ მართალი არ არის და რეაგირების მოხდენა უფრო ცუდია. საბაბი მიეცემათ წერონ", - აღნიშნა ვიქტორიამ.

ინგლისური ტაბლოიდის "სანის" ინფორმაციით, ვიქტორია მესამე ბავშვზეა ფეხმძიმედ -ანუ ოჯახს რღვევისა არაფერი ეტყობა, როგორც ამას მიმომხილველები ვარაუდობდნენ. წყვილი ამჟამად მაროკოშია, სადაც შეიტყო კიდეც ვიქტორიამ თავისი ფეხმძიმობის ამბავი. მშობლებმა ისე მოახერხეს, რომ ორივე შვილი - ბრუკლინიც და რომეოც შინ დატოვეს, თავად კი განცხრომას მიეცნენ.

"ყოველთვის ორ შვილზე ვოცნებობდი, ახლა კი, როცა ორი უკვე მყავს, მესამეც მომინდა. მინდა, ის გოგო იყოს, თუმცა ვისაც ღმერთი გვიბოძებს, იმას დავჯერდებით", - განაცხადა დევიდმა. რამდენადაც ცნობილია, ვიქტორიას არავისთან არ აქვს დადებული სამუშაო კონტრაქტი, ამდენად თამამად შეუძლია, მთელი თავისი დრო შვილს დაუთმოს.

TV-სპორტი

### შაბათი. 21 აგვისტო

**НТВ+СПОРТ**
08:30 "ოლიმპიური ოდისეა"
09:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. დღის ანონსი
09:40 "ოლიმპის შვილები"
09:45 ოლიმპიური პრესცენტრი
10:00 გადაძახილი
11:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. ჩოგბურთი. ერთეულთა ნახევარფინალები
12:45 გადაძახილი
14:10 ოლიმპიური პრესცენტრი
14:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. 51კგ. წინასწარი შეხვედრები. პირდაპირი ტრანსლაცია
15:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. ტყვიით სროლა. ვაჟები. მცირეკალიბრიანი პისტოლეტი. 25მ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. 51კგ. 75კგ. წინასწარი შეხვედრები. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ძალოსნობა. ქალები. +75კგ. პირდაპირი ტრანსლაცია
19:10 ოლიმპიური პრესცენტრი
19:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. მშვილდოსნობა. ვაჟები. გუნდური პირველობა. ფინალი
19:45 ოლიმპიური თამაშები ათენში. ბადმინტონი. ვაჟები. ფინალი
20:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ცურვა. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:30 "ოლიმპიური დღე". უმთავრეს ასპარეზობათა ფრაგმენტები
22:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ვაჟები. ბრაზილია - რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 "მითი და რეალობა"
00:10 "თემა"
00:40 "ოლიმპიური ოდისეა"
01:40 ოლიმპიური თამაშები ათენში. კალათბურთი. ვაჟები. ლიტვა - აშშ
04:20 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ვაჟები. მეოთხედფინალი. მალი - იტალია

**НТВ+ФУТБОЛ**
07:30 ოლიმპიადის დღიური
08:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. მაგიდის ჩოგბურთი. ერთეულთა ნახევარფინალები
10:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ცხენოსნობა. გუნდური პირველობა. პირდაპირი ტრანსლაცია
11:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ვაჟები. იტალია - ჰოლანდია. პირდაპირი ტრანსლაცია
13:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ცხენოსნობა. გუნდური პირველობა. პირდაპირი ტრანსლაცია
14:00 ოლიმპიური პრესცენტრი
14:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ქალები. აშშ - რუსეთი
15:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ქალები. მეოთხედფინალი. გერმანია - ნიგერია
17:15 ოლიმპიური პრესცენტრი
17:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ბატუტზე ხტომა. ვაჟები. პირადი პირველობა. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ოლიმპიადის დღიური
19:45 ოლიმპიური პრესცენტრი
20:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ჩოგბურთი. ვაჟები. მატჩი მე-3 ადგილისთვის. ქალები. ერთეულთა ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფარიკაობა. ვაჟები. რაპირა. გუნდური პირველობა. ფინალი
00:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ძალოსნობა. ვაჟები. 85კგ.
00:45 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. 75კგ. წინასწარი შეხვედრები
01:45 ოლიმპიადის დღიური
02:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ტულუზა" - პსჟ



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# უპონტო "PONTO"



"ასე ხედავს PONTO შალვა რამიშვილს



Fashion Show

სლენგის გამოყენებას მაქსიმალურად ვერიდები ხოლმე, მაგრამ ამ კვირაში კვარიათში გახსნილ ხელოვნების ფესტივალ "პონტო"-ს მონაწილეთა უმეტესი ნაწილი არამცთუ მხოლოდ სლენგზე ლაპარაკობს, არამედ სლენგის გარეშე ჩამოყალიბებული აზრიც კი რთულად ესმის. ვინაიდან ყველას თავის ენაზე უნდა ელაპარაკო და მე კი ძალიან მინდოდა, რომ მათ მიერ "ორგანიზებული" ფესტივალის შესახებ ჩემი აზრი სცოდნოდათ, ჩემი ანტისლენგური პრინციპები დავარღვიე და "PONTO"-ს "უპონტო" დავარქვი. სიტყვა "ორგანიზებული" შემთხვევით ბრჭყალებში არ ჩამისვამს. ფესტივალს ორგანიზებულის გარდა რაც გინდა, შეგიძლია უწოდო. არაორგანიზებული, ქაოსური, აფერისტული, უბადრუკი, მიფუჩეჩებული, გაუგებარი, არაპროფესიონალური, უპასუხისმგებლო, მასხარად ამგდები და, რა თქმა უნდა, უპონტო ("ბეზპონტა"). მოკლედ, ყველაფერი იმის გარდა, რაც მას "ორგანიზატორებმა", თუ ასეთები საერთოდ გააჩნია, ასე ხმამაღლა, პრეტენზიულად და წინდაუხედავად შეარქვეს - ხელოვნების ფესტივალი "პონტო". როდესაც რაიმე პროექტის განხორციელებაა გეგმაში, სპონსორს ვერაფრით იშოვი. უპონტო "პონტოს" კი სპონსორების ხმაურიანი სია მოჰყვება - ღვინო "ძველი თბილისი", ლუდი "კასტელი", "პროკრედიტბანკი", "ნიკორა" "ჯეოსელი", "ბორჯომი"... ნეტავ თუ გაიკითხეს, ფულს რაში დებდნენ, რას აფინანსებდნენ? თუ გეგმაში მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული მომღერლების, მსახიობების, პოეტების, როკ-ჯგუფების, მხატვრების მათ ხარჯზე დასვენება, სმა და გაშავება ჰქონდათ, ჩათვალონ, რომ ხუთიანზე გამოუვიდათ, მაგრამ თუ ფესტივალის სპონსორებს ხელოვნების დაფინანსების რაიმე პრეტენზია გააჩნიათ - მაშინ ამაოდ. ამ ფესტივალურ ვაქხანალიას ხელოვნებასთან არავითარი კავშირი არ აქვს. გატყუებთ, აქვს ერთი - მასში პრინციპულად არ მოიწვიეს "არტიმედის" არც ერთი ციური ფსევდოვარსკვლავი. ეს კი ოდნავ კარგად მეტყველებს "ორგანიზატორთა" გემოვნებაზე.

ფესიტივალის პროგრამის ყოველი დილა, 11 საათზე "პახმელია შოუ-თი" იწყება. თუ ვინმე გამაგებინებს, ამ ნატურალისტურ და საკმაოდ უგემოვნო სახელწოდების ღონისძიებაში რას გულისხმობდნენ? ნუთუ მართლა მხოლოდ იმას, რაც რეალურად განხორციელდა - ფესტივალის თითქმის ყველა მონაწილე წინა ღამეს იაფფასიანი, ფალსიფიცირებული სასმელით გამომთვრალი ("პახმელია" მხოლოდ ცუდმა სასმელმა იცის), დილაობით კვარიათის სანაპიროზე თბილი არყითა და ცხელი ლუდით, "ფესტივალურ-შემოქმედებით" მოღვაწეობას იწყებდნენ. ვინც "პახმელია შოუს" ცოცხალი გადაურჩებოდა, იმათ ორგანიზატორები სპორტულ-გასართობ თამაშობებს სთავაზობდნენ. შემდეგ კი "ტამტამ-show", "Samba-Show" "Fashion-show", "თხილკურთხევა" (რას ნიშნავს, არ ვიცი), სპექტაკლი "გიჟები" (აქტუალური), დისკოთეკა, რომანსის საღამო (ვისთვის, გაუგებარია) და არც ერთხელ არშემდგარი "შალვა რამიშვილის დებატები სხვადასხვა თემაზე" მოდიოდა. ფესტივალის "ორგანიზატორებმა" საკუთარი ავანტიურის გადასარჩენად და ოდნავ გასაპრესტიჟებლად ყოველთვის მომუშავე, მაყურებლის ულალატოდ შემკრები სანახაობის მომწყობი სუხიშვილების "ასსა" მოიწვიეს. ჩემი აზრით, ნამდვილად სწორი გათვლა გააკეთეს და ფესტივალად წოდებულ დილეტანტურ ქაოსს პროფესიონალიზმისა და ხელოვნებასთან მიახლოვების ოდნავი ელფერი შესძინეს. "PONTO"-ს მონაწილეთა უმრავლესობის აუცილებელი სტილი გაუპარსაობა, სახელოებშემოხეული მაისურები, ქალებზეც და კაცებზეც უამრავი ვერცხლის, ძვლის ან ხის აქსესუარები, ასევე სქესის მიუხედავად, გრძელი, ნოტიო ჰავისგან დახვეული, მაგრამ დაუვარცხნელი თმები, ლუდის ბოთლი ხელში და, რაც მთავარია, სიმთვრალე იყო. მთვრალები მღეროდნენ, მთვრალები ყანყალებდნენ სცენაზე, მთვრალებს ხმა უვარდებოდათ, საკუთარი ლექსები ავიწყდებოდათ. მთვრალები ტექნიკურად მართავდნენ კონცერტებსა თუ დისკოთეკებს. მთვრალებს სინათლე უქვრებოდათ, ტექნიკა უფუჭდებოდათ, განათების ლამპიონები უფეთქდებოდათ. მაგრამ მთვრალები იყვნენ და არ აწუხებდათ.

უპონტო PONTO-ს საგულდაგულოდ შედგენილი პროგრამის ყველა ღონისძიებაზე დასასწრებად საკუთარი თავი ვერ გავიმეტე. მით უმეტეს, რომ კონცერტები და დისკოთეკა, გინდა არ გინდა, სარფიდან ბათუმამდე ისედაც ყველას ესმოდა და არ აძინებდა. ამიტომ არჩევანი მხოლოდ სამ საღამოზე გავაკეთე.

### 15, 16 აგვისტო. შალვა რამიშვილის დებატები სხვადასხვა თემაზე (გონიოს ციხესიმაგრე. 18.00)

ქართული ტელევიზიის ჩემთვის ამოუცნობი არხი "202" და მისი ტელედებატების მთავარი, ერთადერთი და განუმეორებელი მომხიბვლელი წამყვანი შალვა რამიშვილი, ისევე როგორც მთლიანად არხი, ცალკე წერილის ღირსია. ამიტომ, ახლა მხოლოდ იმას მოგიყვებით, მე, როგორც ნამდვილი იდიოტი, როგორ მივენდე ფესტივალის პროგრამას და შალვა რამიშვილის მოსასმენად გონიოს ციხეს როგორ ვესტუმრე. პროგრამით მითხრეს, 18 საათზეო - მეც მივედი. კარებში მოლარე გოგონასგან შევიტყვე, რომ ორგანიზაციული ცვლილებების გამო დებატები 21 საათისთვის იყო გადატანილი. 21 საათზეც წავედი. ბილეთები ვიყიდე. გონიოს ულამაზეს ციხესიმაგრეში შევედი. ენითაუწერელი ნახატების გამოფენა დავათვალიერე, გასაყიდად გამოტანილი გოჩა მანველიძის "მგლები" არ ვიყიდე. თითქოს, ნაფტალინში ჩადების წინ გასამზეურებლად, გასანიაველად გამოკიდებული უსეზონო თექის უგემოვნო ნაწარმი ვიხილე. ალიგატორებისოდენა კოღოებს სისხლის ბოლო წვეთამდე ვებრძოლე, დავმარცხდი და ორმოცი წუთის ლოდინის შემდეგ გავარკვიე, რომ გამოჩენილი დებატოლოგი არ მობრძანდება. არ ვიცი, კოღოების შეეშინდა, არ ვიცი, გონიოს ციხესიმაგრეს ვერ მიაგნო, არ ვიცი, დებატებისთვის თემატიკა ვერ გამოძებნა, მაგრამ ფაქტია, რომ მე შალვა რამიშვილის და მისი შეხედულებების გაცნობის გარეშე დავრჩი.

### 16 აგვისტო. Fashion Show

16 რიცხვში დანიშნულ Fashion Show-ზე ჩვიდმეტში დაგვიბარეს. ორგანიზატორულმა სიზუსტემ კვლავ თავი იჩინა. მაგრამ კონცერტზე აღმოვჩნდით. კვარიათის სასტუმროს ბუნგალოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მხოლოდ სპეციალური საშვების ან ბილეთების წარდგენის, მარკირების, თორმეტფურცლიან რვეულში გრამატიკული შეცდომებით ჩამოწერილი გვარების სიის გადამოწმების შემდეგ, როგორც იქნა, თითო-თითო შეგვიშვეს. მაგიდასთან დავსხედით, ცხელი ლუდი მოვატანინეთ და Fashion-ისთვის მოვემზადეთ. საგანგებოდ აშენებულ ფიცრულ სცენაზე მუსიკოსები კი ტრიალებდნენ და რაღაცას უკრავდნენ, ხმას აყენებდნენ, მაგრამ ჩვენ ფესტივალის პროგრამამ კიდევ ერთხელ შეცდომაში შეგვიყვანა და ჩვენს თავს დამტყდარი უბედურება ვერ გვაგრძნობინა. დიდი ხანი გვეგონა, რომ მუსიკოსები, უბრალოდ, რეპეტიციას გადიან და აი, ახლა, სადაცაა დაასრულებენ და Fashion-იც დაიწყება. ბოლოს, როგორც იქნა, საკუთარი უბედურება დავიჯერეთ, რეალობას თვალებში ჩავხედეთ და მივხვდით, რომ ორგანიზატორებმა მახე დაგვიგეს და ჩვენ ბაკურ ბურდულის და ჯგუფ "სტინგის" კონერტზე ვიმყოფებით (თუ ამას კონცერტი შეიძლება ვუწოდოთ). ვუსმინეთ, ვუსმინეთ როკ-მუსიკოსებს, მათი შესრულების უცნაურ მანერას და პლასტიკას ვუყურეთ და ბოლოს მივხვდით, რომ ვგიჟდებით. როკი საერთოდ არ მიყვარს, თანაც ასეთი, ჩვენ ძალებს აღემატებოდა. ამ ფასად არც მოდა მოგინდება, არც Fashion და არც თბილი ლუდი. ავდექით და წამოვედით. მოდა ვერ ვნახეთ. ალბათ, მოდას ცოტა ჩამოვრჩებით, მაგრამ არა უშავს, ცოცხლები ხომ გადავრჩით?!

### 18 აგვისტო. 21.00. "ასსა"

მესამე და სამართალი. PONTO-ს არაორგანიზებულობის კულმინაცია სწორედ ეს საღამო აღმოჩნდა. გაწვიმდა. აპარატურა დასველდა, მწყობრიდან გამოვიდა. განათება ჩაქრა. მაგიდებსა და სკამებს უშუალოდ შეკრებილი ხალხის თანდასწრებით აწყობდნენ. ქოლგებს შლიდნენ. კვარიათის ბუნგალოს ეზო ხალხით გადაიჭედა. ყველა დასველდა, მაგრამ სამსაათიანი ლოდინის მიუხედავად მაინც არ დაიშალა. ასსა - ასსა! თორმეტისთვის, როგორც იქნა, ტექნიკური ხარვეზების, ყინულივით სრიალა სველი სცენის, დაძაბული მუსიკოსებისა და მოცეკვავეების, კოკისპირული წვიმის, ცუდი ჟღერადობისა და ხედვადობის ფონზე კონცერტი დაიწყო. და ყველას ყველაფერი დაავიწყდა - წვიმაც, სისველეც, საათობით ლოდინისაგან დაღლა და იქვე ეზოში, მუხლამდე წყალში ისეთი მასობრივი ცეკვა გაჩაღდა, რომელიც მხოლოდ სუხიშვილების შემხედვარეს შეიძლება მოგინდეს.





ასსამ PONTO-საც გაუძლო

დღეს, 21 აგვისტოს ქაუნთ ბეისი ასი წლის გახდა

# ქველი არისტოკრატი




ჯაზს ადამიანების რანგირების სრულიად გამორჩეული მეთოდი აქვს. იქ დიდი მნიშვნელობა არ აქვს იმას, გრაფი უფრო დიდი წოდებაა, პერცოგი თუ თავადი. როგორც არ უნდა იყოს, უილიამ "ქაუნთ" ბეისი ყველა დროის უდიდესი ჯაზმენია, რომელმაც ფორმა მისცა მთლიანად ჟანრს.

დღეს ბეისის იშვიათად იხსენიებენ, როგორც პიანისტს. მან მუსიკის ისტორიაში თავი დაიმკვიდრა, როგორც დიდი ჯაზ-ბენდის ჩამომყალიბებელმა. 60-წლიანი კარიერის განმავლობაში ის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ორკესტრს ხელმძღვანელობდა და თან თავისი განსაკუთრებული სტილით ჯაზურ აკომპანიმენტში ახალ სტანდარტებს სახავდა. ქაუნთ ბეისი 1904 წელს, ნიუ ჯერსიში, მრეცხავი ბილ ბეისის ოჯახში დაიბადა. ფორტეპიანოზე დაკვრა მან მას შემდეგ დაიწყო, რაც მიხვდა, რომ ბავშვობის მეგობარი სონი გრირი დასარტყამ ინსტრუმენტზე დაკვრისას აშკარად ჯობდა. ბევრი სხვა ახალბედა მუსიკოსის მსგავსად, ბეისიმ სკოლა არ დაამთავრა და ბედისა და დიდების საძიებლად ჰარლემში გაემგზავრა. სწორედ იქ გაიცნო კაცი სახელად თომას "ფეთს" უოლერი, რომელიც მოგვიანებით მისი მენტორი გახდა.

პირველი გარღვევა 1930-იანი წლების დასაწყისში მოხდა, როცა ბეისი ბენი მოთენ კანზას სითი ბენდს შეუერთდა. სწორედ იქ იქმნებოდა და იხვეწებოდა ბიგ ბენდებისათვის დამახასიათებელი ახალი სტილი, რომელიც მოგვიანებით ბეისის სავიზიტო ბარათად იქცა. მოთენის გარდაცვალების შემდეგ, 1935 წელს, ბენდს სათავეში ბეისი ჩაუდგა, შემდეგ კი საკუთარი, ცხრა ინსტრუმენტიანი ჯგუფი ჩამოაყალიბა სახელად "ბარონს ოფ რითმ". როგორც ამბობენ, მუსიკოსმა მეტსახელი "ქაუნთი" 1935 წელს მიიღო. ერთ-ერთმა რადიო წამყვანმა გადაწყვიტა, რომ უბრალოდ ბილი ბეისით ასეთი დიდი ადამიანის მოხსენიება სირცხვილი იყო და მას გრაფი იგივე ქაუნთი უწოდა.

"ბარონს"-ს გასტროლების მოწყობაში პროდიუსერი ჯონ ჰემონდი ეხმარებოდა. მისივე შეწყობით ჩაიწერა ისეთი ჰიტები, როგორებიცაა One O' Clock Jump, Jumpin' at the Woodside და Swingin' The Blues.

ბეისის ბენდი წამყვან მუსიკალურ ძალად ათწლეულების განმავლობაში რჩებოდა. ის აკომპანიმენტს უკეთებდა ფრენკ სინატრას, ტონი ბენეტს, სემი დევის ჯუნიორს. მას უშუალოდ ქაუნთ ბეისი 1984 წლამდე, გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. დღესდღეობით ორკესტრში მხოლოდ ოთხი ისეთი მუსიკოსი შემორჩა, რომელთაც დიდ მაესტროსთან უშუალოდ უმუშავიათ, დანარჩენები ბეისის კვალზე გაზრდილი ახალი თაობის წარმომადგენლები არიან.

9 ოქტომბერს ქაუნთ ბეისისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი საღამო იგეგმება. კოლუმბიის უნივერსიტეტის რუნი არლიჯის სახელობის დარბაზში ქაუნთ ბეისის ასი წლის იუბილესადმი მიძღვნილი წვეულება გაიმართება. ამ დღეს ქაუნთ ბეისის დღე დაერქმევა.

## თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორის თამაზ ვაშაკიძის
# განცხადება

გუშინ, გაზეთ **"24 საათში"** გამოქვეყნებული ინფორმაციის მეშვეობით გავიგე, რომ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის თამარ ქვარიანის განცხადებით, 26 ივნისს განთავისუფლებული ვარ დაკავებული თანამდებობიდან. დღემდე მე არ მიმიღია არანაირი ოფიციალური ბრძანება განთავისუფლების შესახებ. ჯერ კიდევ 29 ივნისს მე ჩავატარე სახელმწიფო გამოცდები სასწავლებელში. ასევე ვასრულებ დირექტორის მოვალეობას და 16 ივლისს ვიღებ მინისტრ გიორგი გაბაშვილისგან წერილს, რომელიც სასწავლებლის დირექტორის მიმართაა დაწერილი. ასევე, 26 ივნისიდან ვაგზავნი რიგ წერილებს სასწავლებლის დირექტორის სტატუსით, რომელთაც სამინისტრო ოფიციალურად იბარებს.

ვთხოვ კულტურის სამინისტროსა და ქალბატონ თამარ ქვარიანს ახსნა-განმარტებას ჩემ განთავისუფლებასთან დაკავშირებით და ასევე, მოვითხოვ წარმომიდგინოს ოფიციალური ბრძანება განთავისუფლების შესახებ.

## ათეულები

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| "ბოლო სიგარეტი – მარტივი გზა" | ალენ კარი | "რუსთავი 2 პრინტი" | 5.2 |
| "მგლები" | გური მანჯელიძე | შპს "თბილისელები" | 3.6 |
| "ალქიმიკოსი" | პაულო კოელიო | | 2.4 |
| "ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე" | ჯოან როულინგი | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 2.4 |
| "მე შემიძლია ცხოველების ხატვა" | რეი გიბსონი | გია ქარჩხაძის გამომცემლობა | 2.4 |
| "მწვანეთვალება ანგელოზი" | ნინო ნუგლაძე | შპს "თბილისელები" | 2.4 |
| საბავშვო მოთხრობები | ვაჟა-ფშაველა | "საქართველოს მაცნე" | 2.4 |
| "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა" | პაულო კოელიო | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 0.8 |
| კრებული 2 ტომად | პაოლო იაშვილი | "ლიტერატურის მუზეუმი" | 0.8 |
| "მე შემიძლია ადამიანების ხატვა" | რეი გიბსონი | გია ქარჩხაძის გამომცემლობა | 0.8 |




### საუკეთესო ევროპული ალბომები ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით




| შემსრულებელი | სახელწოდება | ხმისჩამწერი კომპანია |
|---|---|---|
| Red Hot Chili Peppers | Live In Hyde Park | "უორნერ ბროსი" |
| ანასტასია | "ანასტასია" | "ეპიკი" |
| ავრილ ლავინი | Under My Skin | "არისტა" |
| Maroon 5 | Songs About Jane | JPMG |
| Bohse Onkelz | Adios | Regal/23/SPV. |
| The Streets | A Grand Don't Come For Free | Locked On/679 Recordings |
| Keane | Hopes And Fears | "ისლენდი" |
| აშერი | Confessions | "არისტა" |
| ნორა ჯონსი | Feels Like Home | Blue Note |
| Die Lollipops | Tanzen, Lachen, Party Machen | Edel |

## TV პროგრამა

21 აგვისტო

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **10.55** საბავშვო ფილმი **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი "ქანცგაწყვეტილ ცხენებს ხოცავენ" **15.20** მხ. ფილმი "სიყვარული წესებით და წესების გარეშე" **17.00** ველური სამყაროს ამბები **18.00, 21.00, 00.00** კურიერი **18.20** თანამედროვე ტექნოლოგიები **19.15** სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობები" **22.00** "ფსიქო"- "ხუთი მარტივი პიესა". რეჟ. ბობ რაფელსონი (18). **00.20** მხ. ფილმი "გოთიკა" მთ. რ-ში: ჰოლი ბერი, რობერტ დაუნი (18).

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **08.15** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** ცირკი **11.00** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.20** მხ. ფილმი "ბოროტმზრახველთა ასოციაცია" (გ) **14.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **15.15** სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" **16.10** დოკ. სერიალი "ზეციური სპილოს დაცემა" **16.55** ფეხბურთი. თბილისის "თბილისი" - გორის "დილა" **18.55** იმღერე რამე **19.25** ტელეზღაპარი - ლუდვიგ მე-14 **19.40** დრო და ადამიანები - ზ. ფროიდი **20.35** ფორტუნა **21.15** "პოლიტიკური მკვლელობები"- მ. ლ. კინგი **22.00** "საღამოს საუბარი"- აბრამ გრემელია **22.50** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **23.05** "ყველაზე, ყველაზე საკვირველი"-ხელქმნილი საოცრებანი **00.15** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.35** მუს. არჩევნები **01.10** მხ. ფილმი "მარტინ გერის დაბრუნება" (12)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "ტელეფონის ჯიხური" (15) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ახალი დროება" (ჩაპლინი) (გ) **17.00** მუსიკა **18.00** მულტფილმი **20.00** მხ. ფილმი "ბორნის იდენტიფიკაცია" (მეთ დეიმონი) (12) **22.00** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "ტვინ პიქსი" (18)

### მზე

**09.00** მულტფილმი "პრინცესა შეჰერაზადა" **09.30** საბ. სერიალი "პატარა მოჩვენებები" **10.00** მულტფილმი "პინოქიო" **11.35** საბ. სერიალი "ნოე კიდობანი" **12.30** მხ. ფილმი "ჩარლის ანგელოზები" (გ) (კამერონ დიასი) **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.30** მხ. ფილმი "მრისხანების მართვა" (გ) (ჯეკ ნიკოლსონი) **16.30** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **17.10** ვესტერნი მზეზე "მარტოხელა მტრედის დაბრუნება" **18.05** სერიალი "ვერაიანის დაბრუნება" **19.00** დეტ. სერიალი "სამეფო სკანდალი" **20.30** მხ. ფილმი "ადგილთა გაცვლა" (გ) (ედი მერფი) **22.30** მხ. ფილმი "ნეტა მალე ჩაძაღლდე" (15) (რობერტ ინგლუნდი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" (გ) **21.00** ქიმერიონი -რ. ესაძე **22.00** მხ. ფილმი "ინდოჩინეთი" (15)

### იმედი

**07.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 03.00** ქრონიკა **07.45** ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **09.15, 02.30** ტვ-მარკეტი **09.45** ოლიმპიური თამაშები: მძლეოსნობა, წყალბურთი, ფრენბურთი (კაცები) იტალია-ჰოლანდია, ცხენოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი. **13.10** ფრენბურთი (გაგრძელება), ცხენოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი. **15.10** ცხენოსნობა (გაგრძელება), მაგიდის ჩოგბურთი (გაგრძელება), კალათბურთი (კაცები) ახალი ზელანდია-არგენტინა, ბადმინტონი (ფინალები). **17.10** კალათბურთი (გაგრძელება), წყალბურთი (კაცები), ბადმინტონი (გაგრძელება), მშვილდოსნობა (ფინალები). **19.20** მშვილდოსნობა (ფინალები) (გაგრძელება), მძლეოსნობა, ცურვა, ძალოსნობა. **22.20** მძლეოსნობა (გაგრძელება), ძალოსნობა (გაგრძელება), კრივი, ფეხბურთი (კაცები), კალათბურთი (კაცები) ანგოლა-საბერძნეთი. **01.00** ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **03.15** იმედის მელოდიები

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "ლამაზმანი და ურჩხული" (გ) **19.45** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **21.30** მხ. ფილმი "ამაოების ბაზარი" (15)

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Трагедия нерки". **06.50** Приключенческий фильм **"ПОТЕРЯЛСЯ СЛОН". 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.10** "Смак" **10.30** Док. фильм "Тайная любовь вождя". **11.20** Дневник XXVIII летних Олимпийских игр. **12.10** Вия Артмане в исторической мелодраме **"ЗОЛОТОЙ ВЕК". 14.00** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". **14.30** Эдвард Радзинский. "Загадка императора". Вечер третий. **15.20** Спецрасследование. "Цветочная мафия". **16.10** На XXVIII летних Олимпийских играх. **17.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. **18.10** Новый Кинг-Конг в приключенческом фильме **"МОГУЧИЙ ДЖО ЯНГ". 20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время. **21.20** Комедийный боевик **"БРИЛЛИАНТОВЫЙ ПОЛИЦЕЙСКИЙ". 23.10** На XXVIII летних Олимпийских играх. **01.10** Майкл Дуглас в оскароносном триллере **"ТРАФФИК". 03.30** Сериал **"ДОКТОР КУИНСИ". 05.20** "Империя чужих".

### НТВ

**06.25** Остросюжетный фильм **"ДРУГИЕ 48 ЧАСОВ". 08.00, 12.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.20** Детское утро на НТВ. "Улица Сезам". **08.45** Лариса Кадочникова в фильме **"ВЕЧЕР НАКАНУНЕ ИВАНА КУПАЛА". 10.05** Кулинарный поединок. **11.05** Квартирный вопрос. **12.20** Криминальная Россия: троих надо убрать. **12.50** Вкусные истории. **13.00** Жан Марэ в приключенческом фильме **"ТАЙНЫ БУРГУНДСКОГО ДВОРА". 15.05** Коллекция Национального географического общества. Крокодил - гигант. **16.20** "Женский взгляд". Римма Маркова. **16.55** Своя игра. Новый сезон. **17.55** Сериал **"ЛИНИЯ ЗАЩИТЫ: ПО ПРАВУ МАТЕРИ". 19.35** Марат Башаров в фильме **"СВАДЬБА" 22.00** "Российская империя. Александр II". Фильм Леонида Парфенова. Часть 2. **23.20** Кэри Грант в фильме **"К СЕВЕРУ ЧЕРЕЗ СЕВЕРО-ЗАПАД" 01.50** Дэрил Ханна в триллере **"ЦЕПЬ"**

## იაპონური ხატვა



## სკანვორდი



# არშემდგარი სენსაცია



წინა თვის სენსაციური ამბავი – ბრიტანელი ტურისტის მიერ მელბურნის ძველმანების ერთ-ერთ ბაზრობაზე "ბითლზის" ნივთებით სავსე ჩანთის აღმოჩენის შესახებ, არ გამართლდა. პიტ ნეშის, "ლივერპლელი ოთხეულის მემკვიდრეობის აღიარებული ექსპერტის (ნეში ასევე "ბითლზის" ბრიტანული ფან-კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელია) აზრით, ნაპოვნი რარიტეტები ნამდვილი არ არის. შეგახსენებთ - ჩანთა 41 წლის ფრეიზერ კლოტონმა 35 ამერიკულ დოლარად შეიძინა და დარწმუნებული იყო, სულ მალე მილიონებს ამოიღებდა.

ცნობა აღმოჩენის შესახებ მსოფლიოში უსწრაფესად გავრცელდა. რამდენიმე პოპულარული საინფორმაციო სააგენტო იუწყებოდა, რომ ნაპოვნ ნივთებს შორის იყო "ბითლზის" სიმღერების ალტერნატიული ვერსიების ჩანაწერები. ჩანთის ავსტრალიურ "წარმოშობას" ბევრი იმით ხსნიდა, რომ ეს ნივთები ეკუთვნოდა ჯგუფის ხმის რეჟისორს მელ ევანსს, რომელიც ავსტრალიაში გადავიდა საცხოვრებლად. ექსპერტი ნეში ირწმუნება, რომ ავსტრალიაში ნაპოვნი ნივთები (საკონცერტო პროგრამები, აფიშები, ფოტოები), არის სხვადასხვა კოლექციონერებთან დაცული რარიტეტების ასლები. ამ ვერსიას ეთანხმება ფირმა Apple-ის წარმომადგენელიც. ჯერჯერობით კლოტონის კომენტარი ექსპერტის დასკვნაზე უცნობია.

# MTV-ის ახალი კერპები

პოპულარულმა მუსიკალურმა ტელეარხმა საზეიმოდ გამოაცხადა, რომ წელს "წლის კერპის" სტატუსს ჯგუფ "ქიუას" მიანიჭებს. სწორედ ამიტომ, მუსიკოსების პატივსაცემად 17 სექტემბერს გაიმართება კონცერტი ლონდონის Billingsgate-ის ბაზრის ტერიტორიაზე. კონცერტის ვიდეოჩანაწერს ოქტომბერში აჩვენებენ. "ქიუასთან" ერთად ამ საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ის მუსიკოსები და ჯგუფები, რომელთა შემოქმედებაზეც ოდესმე ზეგავლენა მოუხდენია რობერტ სმიტის ჯგუფს.

შეგახსენებთ, "ქიუა" 25 წელიწადია ქმნის ჰიტებს. უკანასკნელი ალბომი კი წლის დასაწყისში გამოუშვა.



# ოსბორნების გზაზე



ოფიციალური ცნობის თანახმად, "ოსბორნების" რიგით მეოთხე სეზონი უკანასკნელი იქნება პოპულარული რეალითი-შოუს ისტორიაში. მეოთხე სეზონის პირველი ეპიზოდის პრემიერა 13 სექტემბერსაა დაგეგმილი MTV-ის ეთერში. "შოუს დასრულების დროა. ჩვენს სახლს ტოვებენ რეჟისორები და ოპერატორები საკუთარი აპარატურით. მართალია, მოვიწყენთ, მაგრამ სამაგიეროდ, სიმშვიდე იქნება", - თქვა შერონ ოსბორნმა.

ამჟამად ოზი და შერონ ოსბორნები საკუთარი ტრადიციული ფესტივალით – "ოზფესტივალის" საორგანიზაციო საკითხებით არიან დაკავებულნი. როგორც ცნობილია, წლევანდელი ფესტივალისთვის ოზიმ შეკრიბა "ბლექ საბათის" შემადგენლობა. ტურნე ფლორიდის 4 კონცერტით დასრულდება. რაც შეეხება რეალითი-შოუების მაყურებელს, ისინი არ მოიწყენენ. ბრიტნი სპირსი მათ ახალ გასართობს უმზადებს. მომღერალი აპირებს მთავარი როლი შეასრულოს საკუთარ საქორწინო რეალითი-შოუში. ბრიტნი კამერებს დართავს უფლებას, მომავალ მეუღლესთან – კევინ ფედერლაინთან ერთად გადაიღონ ქორწილიდან პირველი სამი კვირის განმავლობაში. ცნობილი გახდა, რომ ამ ეტაპზე მომღერალი მოლაპარაკებებს მართავს MTV-ის ხელმძღვანელობასთან – ბრიტნის სურს გამოჩნდეს ახალდაქორწინებულთა გადაცემაში Newlyweds-ში. როგორც ჩანს, ამ მეთოდებით პოპვარსკვლავს სურს შეცვალოს საზოგადოების შთაბეჭდილება მის მორალურ სახეზე, რომელიც შეიქმნა მისი 24 საათიანი ქორწინების გამო. მორიგი ქორწილი ბრიტნის ნოემბერში აქვს დაგეგმილი.







საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge



მეუღლე ნუნუ ნიშნიანიძე, შვილები რუსუდან ამირეჯიბი, კოტე ნიშნიანიძე, სიძე მარკ მალენი, რძალი თეონა გალუაშვილი, შვილიშვილები ნიკა, მარიამ, ნოდარ, ლუკა, ანასტასია, და ნანული კოტრიკაძე, დიშვილები მარიამ და ლევან ჩხარტიშვილები, ხათუნა და გია კოტრიკაძეები, სიძე დავით გოგია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნოდარ კონსტანტინეს ძე ნიშნიანიძე**

**პანაშვიდი 22 და 23 აგვისტოს 5 სთ,
გამოსვენება 24 აგვისტოს 3 სთ,
მისამართი: ყაზბეგის (ყოფილი პავლოვის) 55.**

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.